

# ႵႠႰ-ႧႥႤႪႨ

ქართული ღირებულებები




# [illegible]

## ქართული ღირებულებები

+ 2016 +

UDC (uak)

რედაქტორი
ირმა რატიანი

შემდგენლები

ამირან არაბული
მაკა ელბაქიძე
თამაზ ვასაძე
ნანა ფრუიძე
თამარ შარაბიძე

ტექნიკური რედაქტორი
მირანდა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე
ალექსი კახნიაშვილი

წიგნის დიზაინი
ზანგო სტუდია / zango studio

გამოყენებულია თენგიზ ყუბანეიშვილის გრაფიკული
ნამუშევრები საოჯახო არქივიდან

## სარჩევი


8 .......... მომავლის მწერალი (ირმა რატიანი)

12 .......... „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, ძილშიაც იმას ვდუდუნებ"

20 .......... „ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია"

27 .......... „ნეტავი იმას, ვინაცა პირნათლად სოფლად იარა"

62 .......... „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანერთი!"

72 .......... „მონა ვარ, მონა ბუნების, ღონე არა მაქვს დავისა"

98 .......... „ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა"

110 .......... „მით ვაქებ ვაჟკაცობასა, არ იყიდება ფულადა"

127 .......... „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა"

130 .......... „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი"

140 .......... „ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა"

146 .......... „უსამართლობა სიმართლეს რისთვისა სჯაბნის ძალათი"

154 .......... „გულზედ მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა"

166 .......... „ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს"

189 .......... „თუ ჩვენ თვითონ არ შევისწავლეთ ჩვენი ქვეყანა, სხვები ჩვენ ვერ შეგვისწავლიან"

197 .......... „განუვითარებელი, გაუზრდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი დუმა იქნება"

221 .......... „მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრეს იარაღთაგანია ერის წინსვლისა"

234 .......... „თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა"

238 .......... მცირე ლექსიკონი





\+ + +

...მაინც წინ მივალ, მაინცა,
არ მეშინიან შარისა,
გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა.
მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა,
მოთაყვანე ვარ ყოველისა
იმათ ტკბილის და მწარისა.
სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,
დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი
და გამომჯრელი კარისა...
სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ,
მუდამ მთქმელი ვარ ამისა,
ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ
მთიდან ყვირილი ხარისა.

„დაგვიანებული პასუხი აკაკის", 1913 წ.

# მომავლის მწერალი

კულტურის ძლიერების საფუძველს მხოლოდ მისი თვითმყოფადობა, სიძველე თუ ისტორიული მნიშვნელობა, როდი წარმოადგენს, არამედ შესატყვისობა უმაღლეს ღირებულებათა ძირეულ შკალასთან, რომელიც განსაზღვრავს ყოველი ერისა და მისი კულტურის ეთიკურ-ზნეობრივ მოდელს. სწორედ ამგვარი ღირებულებათა რიგს განეკუთვნება ეთნიკური თუ რელიგიური ტოლერანტობა, არჩევანის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, როგორც პიროვნების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ზნეობის ინდიკატორი, აგრეთვე, სხვა ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებები, რომელთა გააქტიურება საზოგადოებრივი თვითშეგნების ზრდის წინაპირობას წარმოადგენს, ხოლო სწორი ინტერპრეტაცია – სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და პროგრესის გარანტიას.

ღირებულებათა დანერგვისა და შემეცნების მრავალი საშუალება არსებობს, თუმცა, ერთ-ერთი საუკეთესო მათ შორის კულტურული ადაპტირების გზაა, სადაც განსაკუთრებული ადგილი კომუნიკაციის მხატვრულ-ლიტერატურულ ფორმას უჭირავს.

ქართული წერილობითი ძეგლები და ზეპირი სიტყვიერების ნიმუშები წარმოაჩენს ძირეულ ღირებულებათა განვითარების ფაზებსა და მნიშვნელობას ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. ასევე, საშუალებას იძლევა, დადგინდეს და შეფასდეს საზოგადოების მოქმედი ეთიკური სტანდარტები.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართველი გენიოსის, მწერლისა და ჰუმანისტის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. ვაჟას პოეზია, პროზა თუ პუბლიცისტიკა

სრულად აირეკლავს არა მარტო თავისი დროის მოთხოვნებს, არამედ – ქართული ცნობიერების არქეტიპებში, უძველეს ფოლკლორსა და ტრადიციებში დაცულ ფასეულობებს.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა ორიენტირებულია ღირებულებათა უმაღლეს შკალაზე, სადაც თავს იყრის ქართულ სააზროვნო სივრცესა და ხალხურ სიტყვიერებაში დაცული ფუნდამენტური ფასეულობანი: ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა, სოციალური და გენდერული თანასწორობა, კანონის წინაშე თანასწორობა, ერისა და პიროვნების, აზროვნებისა და სიტყვის თავისუფლება, სიცოცხლის, განათლებისა და ბედნიერების უფლება, აღმზრდელობითი კონცეფცია, ლიბერალიზმი, შემწყნარებლობა, და სხვ., რაც მიმართულია ქართველთა მსოფლმხედველობრივი, ეროვნული, ეთიკური და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ. და არა მხოლოდ ქართველთა! შექმნა რა „კაი ყმის" უკვდავი კოდექსი, დაფუძნებული ზოგადადამიანურ ღირებულებებზე, ვაჟა-ფშაველამ მით მთელ კაცობრიობას მოჰფინა თავისი სიტყვა.

წინამდებარე წიგნში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთა ძალისხმევით, თავმოყრილია ის აზრობრივი და სიტყვიერი მარგალიტები, სრული ტექსტები თუ ფრაგმენტები, რომლებიც განსაკუთრებული სიძლიერით ავლენს ქართველი გენიოსის პროგრესული აზროვნების სიღრმეებს. წიგნი კიდევ ერთხელ, ამჯერად უფრო კომპაქტურ ფორმაში, დაადასტურებს, რომ ვაჟა-ფშაველა ჰუმანიზმის უნივერსალური იდეების მქადაგებელია. მისი შემოქმედება, უდავოდ, დიდძალ მასალას გვთავაზობს პიროვნული თავისუფლებისა და ეთნიკური თანასწორობის თემებზე. მწერალი არ ურიგდება ადამიანის ჩაგვრას ნებისმიერი ნიშნით, რელიგიურ და ეთნიკურ შევიწროებასა და ანგარიშსწორებას,

პიროვნებისა და მთელი ხალხის უფლებების დარღვევას. თავის ნაწერებში ის იცავს განსხვავებული კულტურული სივრცისა და აღმსარებლობის პირთა უფლებებს. მის შემოქმედებაში იკვეთება ის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც დღევანდელ დემოკრატიულ და ლიბერალურ საზოგადოებაშია აღიარებული. მის ტექსტებში რეფლექსირებული და რაციონალიზებული ღირებულებები მიზნად ისახავს მისი თანამედროვე საზოგადოების აღზრდასა და ხალხში პროგრესული იდეების დანერგვას. ეს ღირებულებები, რა თქმა უნდა, ხშირად არ ემთხვევა იმდროინდელ დომინანტ იდეოლოგიას, პირიქით, ხშირად საპირისპიროც კი არის, მაგრამ ქართველი მოაზროვნე თავისი დიადი ნიჭიერებით, განათლებით, აზროვნების მასშტაბურობით, ჰუმანიზმით, მაღალი ქრისტიანული მორალითა და პრინციპებით დიდად უსწრებს თავის დროს.

ვაჟა-ფშაველა იყო და რჩება მომავლის მწერლად.

ირმა რატიანი

„ღმერთო,
სამშობლო
მიცოცხლე,
ბილწიაც იმას
ვჯუჯუნებ"



# ლექსებიდან

\+ + +

...ღმერთი რომ კაცსა გააჩენს,
თანვე დაუწერს ბედსაო,
ზოგს მისცემს ბატონობასა,
სხვას კი დაუხრის ქედსაო.
ვენაცვლე უფლის სახელსა,
ჩვენს დამბადებელს ღმერთსაო:
ვერთგულობ მამა–პაპასა,
იმათში მიდგა ფესვები...

„გლეხის სიმღერა", 1888 წ.

\+ + +

... უფლის კურთხევა ანთია
სამშობლოს მცველის ფარზედა...
თამარ დედოფლის ნაკოცნი
ბეჭდად უსვია ხმალზედა.

ერთხელ სჯობია სიკვდილი
შავს ყოფნას ქვეყანაზედა!

„ხმა სამარიდამ", 1893 წ.

\+ + +

... მოვიდნენ, მოდგნენ აჩრდილნი,
წინაპართ გმირთა სახენი,
ჯაჭვ-მუზარადით მორთულნი,
წარსულთა დროთა ქართველნი.
სდუმან, ხმას ერთიც არ იღებს,
მხოლოდ ცრემლს ჰღვრიან გმირები...
რა ტურფა სანახავნია
ამ დროს მამულიშვილები!
ნაჭრილევიანი სახე აქვთ,
ნაჭრილევიანი თავები...
ნეტავი გამაგებინა,
ტანთ რად აცვიათ შავები? ...

„ზმანება", 1901 წ.

\+ + +

... მანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს, –
კეთილსა ვყვანდე ზიარად;
ვერ მივცემ მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად...
ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი, –
ჯერ ისევა ვარ ფხიანად...

„დამსეტყვე, ცაო", 1903 წ.

\+ + +

... მიტომ გაგვზარდა დედამა,
მისთვის გვეტყოდა ნანასა —
ტანზე აბჯარი ავისხათ,
მუდამ ვლესავდეთ დანასა,
რომ შიშს ვუგდებდეთ გულშია
მეზობელს მეტიჩარასა.
არ ვაქელინოთ სამშობლო
მეტოქეს ათასგვარასა.
გამოვეთხოვეთ ნათესავთ,
ცოლ-შვილს და თავის ყანასა;
სიკვდილს სიცოცხლე აღვუთქვით
და პირი — სისხლით ბანასა.
ცოცხალის თავით ვერ მივცემთ
მტერს თავის მიწის ღალასა.
გაჭირდისლა კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?!

...სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შაგვეცილება,
თორემ ისეთს დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება...

„მხედართა ძველი სიმღერა", 1904 წ.

\+ + +

...ადგილო კურუმ-კურუმო,
ველიან-ჭალიანაო,
სამოთხესავით ლამაზო,
მიყვარხარ ძალიანაო,
რადა ხარ სულ მუდამ დინჯი
შე შურთხის თვალიანაო?
იმსჭვალვის აზრით ქვეყანა
კაციან-ქალიანაო!..

„ადგილო კურუმ-კურუმო", 1906 წ.

\+ + +

..ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან ნაშობი ოცნება
გულს ლახვრად გავიყარეო.
არ მიმეფარო თვალთაგან,
დამიცევ, დამიფარეო,
ბევრი ვაება ვიხილე,
ბევრი დღე ვნახე მწარეო.
მზის სხივებივით ბრწყინავენ,
რაც მე ცრემლები ვღვარეო.
ის მოიგონე, მაინცა,
ბეჩავო არე-მარეო!..

„ჩემის კაცობის გვირგვინო", 1910 წ.

\+ + +

...ხომ ჰხედავ, კარგი ყოფილა
თავის მშობელი მხარეო.
მაშ ისევ იგი გერჩივნოს,
იმასვე დაეხმარეო.
სხვის ლოცვას იმის წყევა სჯობს,
ვით დედის სიტყვა ცხარეო, –
თავში შვილისთვის მწარეა,
ბოლოს კი ტკბილზე მტკბარეო...

„ვლ. მესხიშვილის საიუბილეოდ", 1913 წ.

\+ + +

ბალღი რასაცა ვხედავდი,
იმასვე ვხედავ დღესაცა:
რაც ადამის დროს ჰქონია,
ის გულივე აქვ დედასა.

...დიან ძველებრივ ნისლები
უცვალებელის წესითა,
არა დგებიან ერთ ალაგს
უფესვოები ფესვითა.

...მიტომ ვმღერ დაუცხრომელად,
საფლავშიც ჩავალ მღერითა:
„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
ტანჯულ ქართველი ერითა!

„ბალღი რასაცა ვხედავდი", 1915 წ.

## პ ო ე მ ე ბ ი დ ა ნ

\+ + +

...ეგებ ინებოს ბატონმა,
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა;
თუ ამას გავიგონებდი,
არ ვიტირებდი მკვდრებზედა:
იმავ დღეს, შვილო, დედილამ,
ჭრილს ჩავიცომდი კაბასა,
არ ვიგლოვებდი იმიერ
ჩემს ჯულურას და საბასა;

თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც კი მოვიგონებდი,
რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
გაქლეტას გავიგონებდი.
გულიდამ ეკლის სალტასა
მაშინის მოვიფონებდი.

მძიმეა თავის ქვეყანა,
თავის წყალ-ჭალა ძლიერა!
მინაც ტკბილია მშობლური,
გულს რომ ეყრება ფხვიერა...

„ბახტრიონი", 1892 წ.

„ყოველი
ნამდვილი
პატრიოტი
კოსმოპოლიტია"

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

... ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ – ეს „ნაციონალიზმი მუდამ იქნება ჯანსაღი და არასდროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა...

... სიყვარული ერთგვარი უნარია ცხოველთა ბუნებისა და მით უმეტეს, ადამიანისა, დიდი მადლი ბუნებისაგან მინიჭებული ადამიანისათვის, ხოლო ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორც ნამდვილ დედას?.. არა მჯერა, არა მწამს და რა ვქნა! ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავმომწონეობა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამოწვეული, ერთხელ და ერთხელ დაჩემებულის ჭკუის ლიტინისა, ვიდრე ნამდვილი მიმართულება გულ-ღვიძლიდან ამომდინარე და მასში ფესვებდადგმული. ეს მიმართულება ქარისაგან მონაბერია და უნდა ისევ ქარმა გაფანტოს, განაბნიოს...

„მცირე შენიშვნა", 1910 წ.

\+ + +

... როცა ამისთანა ხანა დადგება, მაშინ ხდება ამგვარი მაგალითები, რომ ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს და პატრონი – ძაღლს; მამისეულს ივიწყებს კაცი და პაპისასა ჰფიცულობს. ეს ის დრო გახლავთ, როცა ბედაურები იხოცებიან და ვირებსა ჰრჩებათ მეიდანი... განა ბედაური აზრები არ იხოცებიან და ვირაზრებს არ ჰრჩებათ ბურთი და მოედანი?

... სხვათა შორის, ესეც უნდა ითქვას: ბედაურს აზრებს როგორილაც ვერა ჰგუობს ცხოვრება, რადგან ვირაზრების

წიხლი მწვავეა, ხშირია, მრავალზე უმრავლესია. ძალაც უმრავლესობაშია მუდამ, ქვეყანა როცა გარყვნება, აზრებიც გარყვნილია მაშინ...

„სხვათა შორის“, 1910

\+ + +

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში.

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებ-

ლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მის შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის ილვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით, „მეფე ლირით ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორიც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით” და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორიც თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება.

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფნის ავ-კარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონო-

მიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლეს-თან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვა-თამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ.: არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამი-დანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზ-რდოდ, ნანა – მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობს, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირ-ველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო, სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენი-ერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხო-ლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რა-

ტომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ.

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუაგონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი სალსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ილვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად

იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი", 1905 წ.



„ნეტავი იმას,
ვინაცა პირნათლად
სოფლად იარა"



# ლექსებიდან

\+ + +

...შავეთში გადაგდებული
ადგომას ჰბედავს მკვდარია,
მაცხოვრის შობა შაიტყო,
შავეთის ტყდება კარია...

„ვარსკვლავი", 1886 წ.

\+ + +

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულისპირს სისხლი სცხებოდა.

ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

„არწივი", 1887 წ.

\+ + +

...რა კაცი ჰქვიან იმასა,
ვინც ჯავრის ხდება ვირადა!
ადე, შაჰხედე ქვეყანას,

გორიდამ გორის პირადა!
წელან რო ჩალად არ გიჩნდა,
დაგიფასდება მეირადა...

„რა - გინდა ბედმა მიმტყუვნოს", 1890 წ.

+ + +

...სულ თავისაკენ რად ითლი,
ცოტა ქვეყანას არგია...

„საახალწლოდ", 1890 წ.

+ + +

...არ ვარგა ერთურთის კილვა,
უგზოდ სიტყვების რახუნი...

„საახალწლოები", 1892 წ.

+ + +

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდან
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრკელადა;
ვუხისლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა...

...ნუ მავლევ ქვეყანაზედა
გაცივებულის ლეშითა, –
თვალებში მადლდაკარგულსა,
შუბლზე გაკრულის მეშითა.

გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიოდ–მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნურა დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა, –
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.
მფარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა დრო–ჟამი
სულ ბოლოს ამოქშენისა.
სული – შენ, ლეში – მიწასა, –
აღარა ვგლოვობ ამასა;
თევზი – წყალს, ცასა – ვარსკვლავი,
შვილი – დედას და მამასა.

„ჩემი ვედრება", 1893 წ.

\+ + +

...ზოგმა გაყიდა ნამუსი,
დღეს ის სულ-ხორცით სხვისია,
მისგან რას კეთილს მოელით,
ვინც გულ-გონებით მქისია!
აღარც ქვეყნის ხმა აშინებს,
აღარც რომ მსჯავრი ღვთისია!..

„ქებათა-ქება" (ჯანღმა დაჰფარა ქვეყანა...), 1893 წ.

\+ + +

...ის არ გვაფიქრებს, გვაღარდებს,
მტერი კარს გვადგა მრავალი;
არც რომ გვწადიან შევიტყოთ
ჩვენის წყლულების წამალი!

...ბრბო მაინც არ გათეთრდება,
რაც უნდა ჰხეხო ქვიშითა...

„ქებათა-ქება" (ქრთამი ვაძლიე მუზასა...), 1893 წ.

\+ + +

...თეთრს თეთრი ჰქვია ყველგანა,
შავი დარჩება შავადა!..

...ვერვინ მოიხვეჭს სახელსა
მართალთ მტრობით და კბენითა,
თუნდ ისე წახდეს ქვეყანა,
არც-კი ითქმოდეს ენითა...

„ქებათა-ქება" (მოქუჩდნენ ამრეზილები...), 1894 წ.

\+ + +

...ძნელია შურით აღძრული
ბრაზი და გულის ქავილი!..

„არწივი და ყვავი", 1895 წ.

\+ + +

...ვაი, რომ ცუდი ბევრია,
პოვნა ძნელია კარგისა!..

„სიკვდილი გმირისა", 1899 წ.

\+ + +

...ღმერთო, ნუ დამცემ იქამდე,
ბოროტს შავეკრა ზავითა,
ნუ მაგრძნობინებ ამასა
ჩემის ცოცხალის თავითა!
სხვაფრივ რაც უნდა გამხადე,
თუნდ გასათრევი კავითა!..

„ჩემი ახალი მეკვლე", 1900 წ.

\+ + +

...უმსგავსს არც სიცოცხლე მინდა
და არც სიკვდილი სწორედა!..
ქვადვე მერჩივნა გაჩენა, –
გამოვდგებოდი ყორედა...
...ურგები შვილი დედასა
ნეტავი რადა ჰყავისა!..

„ეულის სიმღერა", 1902 წ.

\+ + +

დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!..

„დამსეტყვე, ცაო", 1903 წ.

\+ + +

ვიცანი, ღმერთო, სამყარო, –
ეს შენი დანაბადები, –
იმისი ავლა-დიდება
და შიგ საგძალი ნადები;
მბოჭავს, არ მათავისუფლებს
გარს შემორტყმული ბარდები;
დღეს გულსაცა სწვავს, კუჭსაცა
გუშინ ნაჭამი ქადები.

...განგების გასართობნი ვართ,
ჩვენის ჭირით და ლხინითა,
ამის მეტს ვერ თუ შესძლებდა
ღმერთმა ინება იმითა –
დაგვღალოს, ოფლი გვადინოს,
მერე გაგვაძღოს ძილითა,
რომ ბოლოს სიტკბო ვიგემოთ
გამსჭვალულებმა ჭირითა.

ალბათ, ასე სჯობს, ჩვენ ვცდებით,
ვერ ვსაზღვრავთ ჩვენის ტვინითა
იმას, რაც წარმოსდინდება
სიწმინდის ჭურჭლის პირითა!

„ვიცანი, ღმერთო, სამყარო", 1903 წ.

\+ + +

… ტირილისა და მღერისა
ცხოვრებამ მომცა მასალა!
მწადის სიცოცხლეს ვმსახურო,
თუმც ბევრი მასვა სამსალა.
ვერ მომკლა უგუნურთ ძრახვამ,
ვერც გრძნობათაგან დამცალა…

„საახალწლო სიმღერა", 1907 წ.

\+ + +

… ტკბილი ისაა მუდამა,
რაც იშოვება ძვირადა…

„საახალწლო სიმღერა", 1909 წ.

\+ + +

... პოეტად ვიხსენიები,
თუმცა ხარი ვარ ლაბაო;
ჩემისთანები ბაგებზე
ასი, ათასი აბაო.

ტანფეხშიშველი დავდივარ,
ცოლს არ მიცვია კაბაო;
შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემის გრძნობების ფაფაო,
ამგვარი საჭმლის კეთებას
დიდი სდომნია ჯაფაო...

„დავით გურამიშვილის ხსოვნას", 1913 წ.

\+ + +

მადლობელი ვარ, დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა.
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,
მაინც ღმერთს ვმადლობ, – ეშმაკს შეჰშურდა.

„მადლობელი ვარ, დამბადებელო", უთარიღო

## პ ო ე მ ე ბ ი დ ა ნ

\+ + +

... კაცის ხასიათს ვინ იცნობს?
გასაგებია ძნელადა,
რაც გვიყვარს, რაც რომ გვებრალვის,
თუკი ჩავიგდეთ ხელადა,
არ დავინანებთ, გავქელავთ,
მოვეკიდებით მგელადა...

„მონადირე", 1886 წ.

\+ + +

... ამბობს: „ომის დროს ვიომოთ,
არა–და, – ვიქნიოთ ცელია,
ნადავლით, ნაყაჩაღარით
კაცის დარჩომა ძნელია!

...რად მინდა მაშინ სიცოცხლე,
ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა?
შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ,
თოფისასა და ხმლისასა?..
შენ უნდა საჩეჩელს ეჯდე,
ან არა, – ჰქსოვდე წინდასა...
ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვს,
როცა ხმალს ჰხედავ მტრისასა!

...მითც არ მოჰსვლია ჩემს ხმალსა
სისხლით შეღებვის ჯერიო.

ჩემი ფრანგული მტერსა ჰკლავს,
ძმაზედ არა აქვს ხელიო.

...კაცისად იარაღისა
აყრა სიკვდილთან სწორია.
ეხლა-ღა მოხვედ ჭკვაზედა,
ეხლა მაიეც გონია?
ხომ იცი, საქართველოო,
ყველა კუთხიდან მტრიანი,
მგზავრის მიშვებ უიარაღოს,
კაცი არა ხარ ღვთიანი? ...

„გოგოთურ და აფშინა", 1887 წ.

\+ + +

... ნეტავი ცეცხლი ციური,
ვისაც კი გულში ჰნთებია,
ჯერ არ გაუქრეს, თუ გაქრეს,
ისივაც ამოჰგზნებია!
მკვდარია უგრძნობი კაცი,
უსაზარლესი მკვდარზედა,
მით რომე სიცოცხლე უდგას
სალის ყინულის ტახტზედა.
არ ებრალება მოყვასი,
მის წინ რო აცვან ჯვარზედა.
ისე მოკვდება, ვერ შედგეს
ერთის წამს ტრფობისა მთაზედა.
შორს არის, მეტად შორს არის
დაშორებული მაზედა.
ჭაობში არის ჩაფლული,

ვიცნობ მოწამლულს ხმაზედა.
საზარელია დადგომა
უგრძნობელობის გზაზედა! ...

„ბახტრიონი", 1892 წ.

+ + +

... ვიქნები, ის სჯობს, ჩემს ქერქში,
თუნდ სულ უსაქმო, მშიერი;
ხეირს ვერ ჰნახავს ვერ როდის,
სუსტს რომ ძმადა ჰყავს ძლიერი!

სხვისა იმედით მცხოვრები,
ბრიყვი იქნება, ტიალი,
ხელიდან არ ჩამოერთმის
ტანჯვა-წვალების ფიალი...

„მეჯლისი ლომისა", 1892 წ.

+ + +

... სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს ძმას — ტირილი დისაო,
ტყესა — ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს — ყმუილი მგლისაო.
ვაჟკაცსა — ომში სიკვდილი,
ხელში — ნატეხი ხმლისაო,
ომს — ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო...

„სტუმარ-მასპინძელი", 1893 წ.

\+ + +

... ეს ჩვეულება მტკიცედ გვაქვს:
წმინდად შენახვა კერისა,
პირობის დაურღვევლობა,
ძმად შინ შენახვა მტერისა.
– ეგ რომ წესად გვაქვს, ისალა
სისხლით დაბანა სისხლისა;
მტრობისთვის მტრობა უზომო
წესია ჩვენის მიწისა.
რა ცოდვა არი, რა მადლი,
ასლანმა უკეთ იცისა! ...

„სისხლის ძიება", 1897 წ.

\+ + +

... დღეს ხომ ის კაცობს, თქვენც უწყით,
ვინც უფრო არის ჭკვიანი.
ვის ფიქრიც სხვისას მჯობია,
ვისაც სიტყვა აქვს გზიანი.
უკლო არც როდის არი ვარგა
ბუმბულა, გოგრა-ბზიანი?
– . –
ძმა, როგორც გამიგონია,
უნდა ძმას სჭერდეს მხარსაო,
სულთა-მხუთავის ძმობასა
სჯობს კბილით ჰკვნეტდე ქვასაო...

„ჰაოს და ქართლოს", 1899 წ.

\+ + +

... უფალს ჩვენს გამოსაცდელად
საწყლობა მოუგონია:
ათასის ჯურის საწყალი,
ათასის ჯურის ვაება,
გულის საკლავი სურათი,
სცდილობს დათესოს ღვთაება...
ნეტავი იმას, ვინაცა
პირნათლად სოფლად იარა:
თავის ნაღვაწის ნაყოფი
საწყლებსაც გაუზიარა;
არავის ვნება არ მისცა,
გული არ დაუზიანა, –
მოყვასთ ნათელის ფიქრითა
ბნელეთი გაუმზიანა...
ნეტავი იმას, ვინაცა
სულით ამაღლდა, გადიდდა,
დათრგუნა გრძნობა დაბალი,
ცის კიდურამდე ავიდა,
პირნათლად, გულ-დასვენებით
ცივს სამარეში ჩავიდა.
ერის გლოვა და ტირილი
ბალიშად უდევს თავითა, –
ვერც სააქაო აშინებს,
ვერც საიქიო დავითა...
ნეტავი იმას, ვინაცა
მოძმისთვის თავი გასწირა –
მთელი თავისი სიცოცხლე
კეთილსა მსხვერპლად შესწირა...

ვინა ხართ, აბა, ასეთი,
გნახოთ, მეჩვენეთ თვალითა
მე თქვენ თავს შემოგევლებით,
დავიწვი ცეცხლის ალითა!
სავსეა ჩვენი ცხოვრება
პირამდე ცოდვა-ბრალითა.
რა დიდი ასპარეზი გვაქვს
კეთილის საქმის სარგავი,
ბევრი ხრიოკი ალაგი,
შრომით და მადლით სარწყავი,
დამწიფებული იარა,
ნესტარით გამოსარწყავი.
ბევრია, ძალიან ბევრი,
მაგრამ ვინ არის მნახავი?!
ყველაც არ ნატრობს იმასა,
რომ მოკვდეს დაუძრახავი! –
უსაქმოდ კაციც არ ვარგა.
მხოლოდ ფიქრების მჩმახავი!..

მიწა ვართ, მაინც მიწა ვართ,
ბევრი აიღეთ, დაიღეთ,
მიწობას ვერ ავიცილებთ,
ათასჯერ ქრთამიც გაიღეთ!
სული მადარდებს მე, სული,
იმისი ყოფნა – თვისება...

საწყალთ სულები, ნეტავი,
სიკვდილზე რასა სჩადიან?
მაწუხებს, ძლიერ მაწუხებს,
იმათზე მიჰქრის გონება.

ერთს, იქნებ, კიდეც ეწყინოს,
ვიცი, სხვას მოეწონება.
რატომ? აქ დატანჯულების
იქაც კარგია ღონება?..
კარგია განა, იფიქრეთ,
ვიცი, გჭირსთ თავის წონება,
ერთს ადგილს ნამონავარის
ორი-სამ ადგილას მონება? ...

„სული ობლისა", 1903 წ.

+ + +

... დიდის ხნისაა
უჩინარი ხმა –
დღესაც გვეძახის:
„აგერ შენი ძმა,
ჰაა, არ მოჰკლა,
გიყვარდეს იგი...
გახსოვდეს მუდამ
წესი და რიგი!
ნუ იზამ ავსა,
ნუ ჰლუპავ თავსა.
ნუ გაასალებ
თეთრად შენ შავსა
და არ დაარქვა,
შავს, კაცო, თეთრი,
ამას გენუკავ,
ამასა გვედრი!
ოჰ, ეს საწყალი,
მის სამართალი

უყურადღებოდ,
ობლადა რჩება,
მილიონ წელთა
განმავლობაში,
საკვირველია,
რომ არა კვდება, –
ისევ მხნე არი
და არა სცხრება.
ხმა ეს ხალხს ებრძვის,
სვინიდისს – ხალხი, –
მაზედა ბრუნავს
ამ სოფლის ჩარხი.
იმის ხელთ განვლეს
ხალხთ და მეფეთა,
ხარჯის მიმცემთ და
ხარჯის მკრეფეთა.
აბა გაჰხედეთ
საუკუნეთა!
ისტორიისა
ნახეთ ფურცლები,
რამდენი სჩანს იქ
კარგი, ურგები,
ფრანგ-ინგლისელნი,
სპარსნი, თურქები,
მთელი მსოფლიოს
მცხოვრებნი ვინცა,
ამ ხმისა ბაფსე
კვლავ აიკინძა,
ვინც ისვინდისა,
ვინც ფარი ჰყო,

ის ხომ დადაბლდა.
და რამდენს მოდგმა,
წყევლა და მოთქმა
ჰკრულავს და ჰქოლავს.
კაცი კაცისგან
რამდნითა ჰშორავს!
რამდენი მოკვდა
მამულისათვის,
მას შაეწირა
ვით ხატს ზვარაკი,
რამდენმა გასცა
თავის სამშობლო,
როგორც ჩალა–ბზე,
არ არის არაკი.
ვისი ბრალია,
ვისი კვალია?
სხვის არაფრისა –
ამ ხმის ძალია,
დღეს რომ ქვითინებს,
ფრიად მწყრალია!...

„სვინდისი", 1913 წ.

# მოთხრობებიდან

+ + +

... „– წინავ კიდევ რა გვიჭირდა, – ამბობდა ნადირა, – ხალხი ცოტა იყო, კარგი ვაჟკაცები ვიყავით. ეხლა ქალაჩუნა ხალხიღაა, გაბევრდა ის არი და ერთს მტკაველს მიწაზედ სჭამენ ერთმანეთს... მაშინ განა ეგრე იყვის!”.

„სურათი ფშაველის ცხოვრებიდამ”, 1881 წ.

+ + +

... ძველად, ძველისძველად, როგორც ყველამ ვიცით, კაცობრიობა განადირებული სცხოვრებდა... იმ დროის კაცი თავისფერის კაცის ხორცს დაუზარავად შაექცეოდა. შაჭმის ნება იმასა ჰქონდა, ვინც ვის მოერეოდა; მკვლელი თავის მსხვერპლს კაცს სულ წინ-წინ გულს ამოარიღებდა და შასჭამდა, რა არის, ერთიორად გულადი გავხდეო, თვალებსაც ზედ დააყოლებდა, იქნება, ერთიორად შორს დავინახოვო. ეხლაც თუმც ეს ჩვეულება არის, მაგრამ სხვა სახით მოქმედობს: გულს იმიტომ ამოვარიღებთ ხოლმე ერთიმეორეს ამ მეცხრამეტე საუკუნეში, რომ იგი გული სამავნებლოდ მიგვაჩნია ჩვენის მშვიდობიანობის და მყუდროებისთვის; თვალებსაც დავთხრით ხოლმე კაცნი ერთმანერთს, მაგრამ საჭმელად კი არა, არამედ იმიტომ რომ ერთმა მეორე დავაბრმავოთ, – სხვისი სიბრმავე გვიყვარს.

„გოჩი”, 1886 წ.

\+ + +

... „საკვირველია, რომ ჯიში არ გასწირავს კაცსა“...

„მოგონება“, 1888 წ.

\+ + +

... იქნება სოფელში ყველა ერთმანეთის მტერი და მოშურნე იყოს, მაგრამ სოფელს კი, მთელს სოფელს ცალკე თავის თავისათვის კარგი უნდა. ტყუილად კი არა სვამენ გლეხნი მაღალის „სორტის სადღეგრძელოს და ამბობენ: „ღმერთო, შენ გაამრავლე ქვეყნიერება, ქვეყნის წყალობით ჩვენი სოფელიო!

თუ ვინმემ სოფლისთვის სამავნეო საქმე ჩაიდინა, ან სიტყვა დახარჯა, მაშინ მძლავრი ხმა გაისმის: „ეგ არ მოხერხდება, შვილოსან, არ იქნება, არა, სოფელი დაიღუპება!

თუ დამნაშავე სოფლის წინაშე ხელშესავალია, მაშინ სოფელი ჯოხს ეძებს დამნაშავის გასაწურთნავად, და თუ არა, ქუდს მოიგლეჯს და ჩივის: „ნუ დაგვღუპავთ, ბატონო; თქვენის ცოლ-შვილის სადღეგრძელოდ, შეიბრალეთ ჩვენი საწყალი თავი.

თუ რომელიმე სოფლის მოხელე, მამასახლისი იქნება თუ სუდია, „საყელოში იწევს“, სოფელი უწყრება: „ბატონყმობა დიდი ხანია გადავარდა, შენ გინდა ისევ დაიბრუნო!? ჩემი დაყენებული ხარ, თუ ჭკვიანად არ იქნები, შველა მაქვს, მალე გადაგაყენო. სოფელი დუმაა, ნელ-ნელა მოთალე, შვილოსან, ის გირჩევნიან. შენ სოფელს გინდა გაუმკლავდე? ეჰეე, დიდი ძალა აქვს სოფელსა; თუ მოინდომა, მალე ყირაზე გადაგატარებს!“

დიაღ, უყვარს სოფელს თავი და უფრთხილდება კიდეც თავის თავს ბევრით მეტად, ვიდრე ცალკე წევრნი სოფლისანი ერთმანეთს.

„ჩვენი სოფელი“, 1889 წ.

\+ + +

... განა ყველა, რაც ხმელია,
კაცისგან საწუნარია?!
ათასს ცოცხალსა ბევრჯელა
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.

ვაჰ, რა ძნელია, კვდებოდეს,
ივარგებოდეს სახელი!

„ხმელი წიფელი", 1888–1889 წწ.

\+ + +

... „ყველანი თავის ჭირისა სტირით...
... „ქუდი კაცს ნამუსისათვის ჰხურავს, განა მარტო სიცხე-სიცივისათვის?

„დათვი", 1889 წ.

\+ + +

... ან კი რას ვამბობ? ლეშითა
განა გამძღება სვავია!
და თუ გამძღება, დარჩება,
დღეც დაადგება შავია.

მუდამ არ მოგეშველება
სხვისი ფარი და ხმალია.
იფიქრე საბოლოოდა,
თუ რა მოგელის ხვალია.
ვა, თუ დაგადგეს გულზედა
ეგ გამოხრული ძვალია!..

„ერთგული მეგობარი", 1890 წ.

+ + +

... „კაცსავით ბოროტი, შეუბრალებელი არც ერთი სულიერი არ იქნებაო; კაცს დიდი მადლიც შეუძლიან და მალიან დიდი ცოდვაცაო", – იტყოდა ხოლმე მამაჩემი...

„ხოლერამ მიშველა", 1892 წ.

+ + +

მრავალგვარია სოფელი, მისი მდებარეობა, მცხოვრებთა ზნე–ხასიათი. ერთი საზოგადო თვისება სოფლებს ისა აქვს, რომ აქა ჰბუდობს უმეცრება, დათარეშობს ცრუმორწმუნეობის გუნდი, აქა მეფობს უსრუნველობა, თუმცა კეთილი ცხოვრება, სიმართლით რომ ვსთქვა, სოფელსაც უყვარს და გრძნობა თავის დაცვისა ხელში ფარად ალუპყრია. უნივერსიტეტად სოფელს ქადაგ–მკითხავების ქოხმახობა დაუფუძნებია, სადაც გონიერებისა და ზნეობის გაკვეთილებს მცხოვრებთ უვიცნი, უმეცარნი და ბრიყვნი მამანი და დედანი უკითხავენ... უმთავრესი სოფლის მოთხოვნილება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ერთადერთი, გამძღომაა. როცა ჰშიან სოფელს, მარტო მაშინ ამუშავებს გონებას სიცოცხლის სახსრის მოსაპოვებლად, და როცა გაიძღობს კუჭს, მაშინ გონებას დაამინებს, აღარა სწადიან ფიქრი, სჯა, მოსაზრება. რადა, რისთვის? თითქოს გამძღომა, როგორც შედეგი მეცადინეობისა, ფიქრისა, იმავე დროს მიზეზიცაა გონების აღფრთოვანებისა, „სწავლა შევიძინო"–ს სურვილის აღორძინებისა? იმიტომ, რომ მარტო გამძღომაა სოფლის საგანი, მარტო გამძღომაში ჰხედავს კაცის დანიშნულებას. სოფლის იდეალი ფეხმოკლე და ფრთაშეკვეცილია. ამაზე მეტი არ უსწავლია, ამაზე მეტი არავისგან არ გაუგონია. ან კი გამძღომას რა სწავლა უნდა. დედის მუცლიდამვე თანა ჰყვება ყველა სულიერს. განა მარ–

ტო ადამიანს! მოკლედ რომ ვსთქვა, მოსანათლავია ხელახლად სოფლის გონება და მონათვლით კი მაშინ მოინათლება, როცა სოფელს აზრი ესტუმრება, სხვა აზრი, გარდა გაძლომისა და ისიც ისეთს პატივისცემას მოიპოვებს, ისეთს ეხტიბარს გაიკეთებს, როგორიც პირველსა აქვს გაკეთებული.

... სოფელს მოსწონს ყველაზე მეტად კარგი წლის მოსავალი. კაცად ის მოსწონს, ვინც იმას პატივსა სცემს, ვინც იმას არ აწუხებს, არა სძარცვავს. თუ არითმევ თავისს კუთვნილსა და საკეთილოდ ჰხმარობ, სოფელს არ დაეწუნები. თითონ რომ ლოთია სოფელი, რატომ ლოთი კაცი არ მოსწონს? არ მოსწონს და მოდი, მოაწონე მალად, კაცია და გუნება. არა უშავს რა, ამ ულოღიკობისათვის სოფელი ნუ დაგვეწუნება, რა ვუყოთ, წესია და კანონი: კაცი თავის თვალში ძელს ვერა ჰგრძნობს და სხვისაში კი ბეწვსაც ჰხედავს.

მაშ, მათე მღვდელი რადლა მოსწონს სოფელს? იმიტომ, რომ ყოველს კვირა-უქმეს სწირავს და ქადაგებასაც ეტყვის, ხალხს გუნებაზე აყენებს, სოფლის ფიქრი მოძრაობაში მოჰყავს. კარგად უწყის მამა მათემ, რომ თუ მარტო ხორცისათვის იზრუნა კაცმა, სული დაჰკნება და, თუ სული დაჰკნა, მაშინ ლეშიც გაიხრწნება. უწყის მღვდელმა, რომ თითონ მწყემსია და სოფელი სამწყსო, თუ არ მოუარა, არ უდარაჯა სოფლის სულსა და გულს, დაიღუპება, მგელი წარიტაცებს. კიდევ რად მოსწონს მათე მღვდელი სოფელს? იმიტომ მოსწონს, რომ შებრალება იცის, მუდამ იმაზე კი არ არის დამდგარი, რაც შეიძლება მეტი მოვხვეჭო და მოვხვეტოვო, არამედ გრძნობს, ბეჩავსაც შებრალება უნდაო.

... სოფელს ცოტა მიზეზი ეყოფა კაცის შესაძულებლად, მით უმეტეს – ეკლესიის მოსამსახურისა...

... ძველს დროში სოფლის ჭკვიანი კაცი სხვა იყო და ეხლანდელი ჭკვიანი სხვაა. წინად იმას ბევრი საქველმოქ-

მედო საქმე ებარა. სოფლის მოკეთისა და მტრის დახვედრა, სოფლის შინაური საქმეების წარმოება იმას ებარა და აწარმოებდა კიდეც სოფლისავე სასარგებლოდ. „სოფელი ვინა და ერთი კაციო, იმიტომ ამბობდენ ძველები, მაგრამ მაშინაც ბრმად როდი ემორჩილებოდა ჭკვიანს კაცს სოფელი? არა, სოფელი ჰხედავდა ჭკვიანის კაცის მოქმედებაში თავის სარფა-სარგებლობას, აგრეთვე იმის რჩევაში, და იმიტომ მისდევდა იმას კვალდაკვალ, პატივს იმიტომ სცემდა, ფეხზედ წამოუდგებოდა, როცა ჭკვიანი სოფლის ყრილობაში გაჩნდებოდა ყავარჯენს დაბჯენილი. იგი წამალი იყო სოფლისა და, როგორც სნეულს ალაღებს და აიმედოვნებს წამალი, ისე სოფელს აძლევდა იმედს ჭკვიანის კაცის ყოლა. ჭკვიანია, მაგან იცის ჩვენი ავი და კარგიო, ავს არ მოინდომებს სოფლისათვისაო. მარტო ენით როდი იყო ჭკვიანი კაცი სოფლისათვის სასარგებლო, არამედ თავის მარჯვენითა და ოფლითაც; იმას ძლიერი მარჯვენა ჰქონდა ლაშქრობის დროს და მშრომელი — მშვიდობიანობაში... ობოლი და ქვრივ-ოხერი იმის მარჯვენა ძუძუთი იკვებებოდენ; იმას ოჯახიშვილს ეძახდენ, იმას „კაცი ერქვა სახელად. აი კაცი ის არისო, — ამბობდა სოფელი...

„სოფლის სურათები", 1891–1893 წწ.

\+ + +

... ერთი გამაძღარი სვავი კლდის თავზე იჯდა. სიმაძღრით ძლივსღა ქშინავდა, მაგრამ თვალებს უფრო მამაცად ატრიალებდა და სულხარბად დასჩერებოდა უფსკრულში ლეშის გროვას. — ხა, ხა, ხა! — სთქვა მან სიცილით ბოლოს, — უყურე, აბა, უყურე იმ ბრიყვს, იმ საცოდავს, იმ მატლს, იმ ბეჩავს! ნეტავი ერთი ლუკმა მაინც გამოვიდოდეს

და მერე ეთქვა ჩემზე აუგი სიტყვა, მერე დავეძრახე. ღმერთმა შემარცხვინოს, სასწორზე აგვწონეთ, ძმაო, თუ ორი ათასი ბულბული არ ავიწონო. ჰაერში რომ შევინავარდებ, გავშლი განზე მხრებს, ათასი ვერსიდამაც კი დამინახავს ადამიანის თვალი და იმ ძლივს, თუ თავს არ წააღებ ვერც კი დაინახავ თვალით; მფრინავი არავის უნახავს, თურმე ჯაგებში, ბარდებში ძვრება და რაღაცას ქლურტულებს და ამისთვის აქებენ. ქლურტულებს თურმე მძინარა, თვალებდახუჭული. ჩემი თვალების ტოლა არც კი არის, რომლებიც არადროს არ მეხუჭება და მუდამ მზად მიჭირავს საჭმლისა და მძოვრისკენ. ის კი ქლურტულებს და ქლურტულებს, საჭმელ-სასმელი არც კი აგონდება და თანაც ჩემს წყევლა-კრულვას დასძახის არემარეს...

— „ყრაანტ, ყრაანტ!" — მოისმოდა. სვავისკენ მოსეირნობდა შავი ყორანი. ჯერ გაეთამაშ-გამოეთამაშა გულზვიადად მჯდომარე სვავს, ფრთაც გაუტყლაშუნა ფრთაზე, უნდოდა ზეზე წამოეგდო, მაგრამ სიმაძღრით დამძიმებული სვავი რომ ვერ დაძრა ადგილიდან, მის გვერდით შორიახლო დაეშვა და ჩამოჯდა კლდეზედ.

— ყორანავ, ყორანავ! — მიუბრუნდა სვავი ყორანს და მედიდურის კილოთი დაუწყო კითხვა: — როგორიაო? რას მიამბობდი იმ დღეს ბულბულზე, ლამაზად მღეროდაო? ნეტავი მეც ბულბულად მაქციაო?! უჭკუოვ, უტვინოვ!

— ჰო, იმასვე გიამბობ, რაც მიამბია შენთვის: მისი მღერა არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში, და არ დაიჯერებ, მისი სიმღერის გაგონება აგერ იმ ლეშის გროვასაც კი მირჩევნია.

— აბა როგორი იყო, როგორი? მიამბე! — დაეკითხა კვლავ სვავი.

— მშვენივრად გალობდა, მშვენივრად! რამდენჯერ გავმძღარვარ ლეშით, სხვადასხვა ცხოვლისა თუ ფრინვლის

ხორცით, ჩემს სიცოცხლეში ისეთი სიამოვნების წამი არ გამომივლია; მაშინ კი, როცა ბულბულის მღერას ვუგდებდი ყურს, ჩემმა გულმა ფეთქა დაიწყო, მისი მგარა-მგური, ხმაურობა თითონ მევე კარგად მესმოდა. მთელი ღამე არ დამდგარა, არ დაუსვენია. მთელი ჭალა იყო და ის.

... აი თურმე რასა მღერის ბულბული: „ამოდით ყვავილნო, შვენიერნო, ტურფანო, დედამიწის ანგელოზნო, თქვენ დაგედევით მტლედ, თქვენ გენაცვალეთ. უთქვენოდ ღმერთმა ნუ მომცეს ერთის დღის სიცოცხლე, თქვენა ხართ, თქვენა, ჩემი სიცოცხლე. ტყეო, დედამიწის გვირგვინო, მუდამაც იხარე ფოთოლით და ნაყოფით, მუდამ მწვანობდე, მუდამ ჰლაღობდე და მე, საბრალო შენი მგოსანი, გიმღერდე, ვაქებ-ვადიდებდე შენს შვენებას, შენს შემოქმედს. უმანკოება შენი ნუმც შეიბღალება რაიმე ცოდვით, რომ არ მატირო მწარედ, გული არ დამიდაგო!

წყაროსნო, წმინდაო, ანკარად მდინარნო! რმედ გადენსთ ბუნება, რათა ყველა ცხოველს მოუკლათ წყურვილი, დასაჯკნობ-გასახმობად გამზადებულნი მცენარენი მორწყოთ, გაახაროთ, გაანედლოთ, თავი მაღლა აალებინოთ; ნუ დაივიწყებთ, თქვენი ჭირიმე, უკანასკნელ მატლს, უკანასკნელ ჭიას, რადგან იმასაც სიცოცხლე სწყურია. ნურც დაიშრიტებით: იდინეთ, იწანწკარეთ. თქვენ რომ გხედავთ, ჩემს გულში წმინდა გრძნობა და დიადი სიყვარული თქვენსავითა წანწკარებს. უფალო, ღმერთო, აკურთხე წყაროსნი, აკურთხე ყვავილნი, დამილოცე ტყე, თქვენს მადლს და დიდებას ვეთაყვანე!

მზეო, ყოველის არსის ნუგეშო, გაათბე, გაახარე ყველა შენის მადლიანის სხივით, ხოლო ნუ დასწვავ, ნუ დაჰგვალავ, ნუ გააფუჭებ კაცის და ბუნების მარჯვენის ამაგს; შენ, ნიავო ციურო, მოუშველე მზეს, ერთად შესავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე! ძალნო ბუნებისანო, მოგროვდით ჩემთან, მოისმინეთ მუდარა ჩემი: აგერ სოფლები, აგერ ქოხები, იქვე

ობლები, უბადრუკნი, ბეჩავნი ტირიან. მიეშველეთ, მტირალი გააცინეთ, მშიერი გაამღეთ, თქვენს ძალასა და მადლსა!.. ახ, საბრალონი! რამდენი ტირის, რამდენი ოხრავს და იმათი ცრემლი კი ჩემს გულში ზღვასავითა გუბდება, მე სულს მიხუთავს, სიცოცხლეს მიწამლავს.

„რამდენი მწყემსი ტირის და იმათ სარჩოს ითრევენ სვავნი და ყორანნი, უმსგავსნი, უმადლო, უკეთურნი ფრინველნი, სხვისა ცრემლით თავის მასაზრდოვებელნი, სხვის საფლავზე მოკიჟინენი. მზარავს და მშხამავს იმათი მოგონება" და სხვა და სხვა.

– რაო? სვავნი და ყორანნიო? – სთქვა სვავმა მრისხანედ: – იმისმა მზემ, სვავი და ყორანი იმის ცალი და ანათალი არიან, იმასავით მარტო ქლურტულებენ და ვერ სიამოვნებენ ამ წუთისოფლის სიამოვნებით. რა ღმერთი გაგიწყრა, რომ მაშინვე არ გადაუხტი და თავი არ გაუჩეჩქვე იმ წუწკს, იმ უბადრუკს, იმას! იმდენს ვალაპარაკებდი განა ჩემს თავზე, მე რომ იქა ვყოფილიყავი?! არამი არ იქნებოდა მაშინ ჩემი სიცოცხლე ჩემს თავზე, თუ მაშინვე არ გავგლეჯდი შუაზე?

– ეგრე პირდაპირ რომ ეთქვა მშრალის სიტყვით, მეც ბარემ იმას ვუზამდი, მაგრამ ისე ლამაზად, მოხდენით ამბობდა, რომ გავშეშდი, კლანჭები ხის ტოტზე მიმეწება, ნისკარტი გამიშეშდა, დამამონა, დამაუძლურა. დარწმუნებული ვარ, შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ალაგას, ხმას ვერ ამოიღებდი, კრინტსაც ვერ დასძრავდი. გავგლეჯდი კი არა, დღეს საღამოსაც იქვე უნდა წავიდე და კიდევ მოვისმინო ბულბულის მღერა და, თუ გნებავს, შენც წამობრძანდი. შენ ამოიყარე იმისი ჯავრი. ადვილია მისი მოკვლა, მისი დაჭერა. თვალდახუჭული გალობს მუდამ; დილით მე თითონაც ვნახე, თვალები ეხუჭა და ისე მოთქვამდა.

– მე წამოვალ, – სთქვა სვავმა, – და ამ დღესაც დავა-

წევ, გაჩვენებ იმის სეირს.

... ცოტა ხანმა გაიარა და ჯერ თითქოს კვნესასავით რაღაცა ხმა შემოესმათ.

– აგერ, აგერ, დაიწყო, დაიწყო! – სთქვა გახარებულმა ყორანმა, – დაუგდე ყური, ის არის, ისა, გალობს, დაიწყო, აბა ახლა შენ იცი, როგორი ამოიყრი ჯავრს!

კვნესას წკრიალი მოჰყვა ჯერ ნელა, ნელა, დინჯად და ბოლოს ამაღლდა ხმა ღვთიური.

სვავმა თავი აიღო და თვალები გაახილა. გაიჩმუჩნა. შუალამემ მოატანა. ბულბული გალობდა და სვავიც „ოჰ, ოჰ, ოჰ, – იმახდა, – მართლაც, მართლაც გულსა ჰკოდავს, ყორანო!..

გათენდა, შეეყარა ბინდი ნათელს, ყორანი მიაშტერდა სვავს და შენიშნა, რომ წუწიანს თვალებზე ორი ცრემლი მიჰკრობოდა, დაღვრემილიყო.

– აბა, ბიძიავ, რას აპირობ, მოჰკალი, თუ შეგიძლიან, რას გარინდებულხარ, გაჩუმებულხარ? – უთხრა თავმომწონედ ყორანმა.

– ფიქრებში წავედი, ფიქრებმა გამიტაცეს. აღარ მინდა დანაპირები.

– მე ხომ გითხარი, ვერაფერს გაუბედავ-მეთქი. ხომ გახსოვს?

– მახსოვს და არც გიტყუვნია, – სთქვა სვავმა ამოოხვრით.

შუადღე იქნებოდა, რომ სვავი და ყორანი დიდს ხევში ისხდენ გვერდის-გვერდ და ლეშსა წიწკნიდენ...

„სვავი", 1896 წ.

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

კაცს რომ ფიქრი არა ჰქონდეს, შენი მტერი, რომ კაცის ყოფნა იქნებოდა წუთისოფელში: მაშინ ხომ ვეღარც ენა იენავებდა და დამუნჯდებოდა მთელი კაცობრიობა. სამართლით რომ ვსთქვათ, ენა უფრო ცოდვიანია ფიქრზე; ფიქრს რა ცოდვა აქვს, მანამ საქმედ არ გადიქცევა? არაფერი. შემწყვდეული ერთს ძვლის კოლოფში, ფიქრი ფიქრობს თავისთვის, ჩუმად. კაცის ფიქრი, რასაკვირველია, კოწიწობს, რაღაც კოშკებს აშენებს, მერე ისევ არღვევს, მაგრამ არც ასაშენებელი მასალის ჩქამი-ჩქუმი ისმის შენების დროს და არც დარღვევის ჩხრიალ-გრიალი. რადგანაც ენა მყვირალაა, კიდეც იმიტომ არის იმის ყვირილის სამზღვრად გალავნები გაკეთებული: ამას იქით ნუ გადააბოტებ, ენავ, თორემ „დამავლებისო". ფიქრისთვის კი ჯერ მიჯნები არავის დაუნიშნავს: ის თავის საქმეს ჩუმ-ჩუმად აკეთებს... მე კი ღმერთმა დამიხსნას და ზოგის თავში ეს ფიქრი ხანდახან კვამლად გადიქცევა; ამ კვამლს ოცნებას ვეძახით. თქვენს მტერს, რაც ეს კვამლი იმას, ვის თავშიაც ასტყდება, ავარდება, საქმეს დაჰმართებს: თვალებს უბრმავებს, ყურებში ბამბას უცობს...

... ფიქრიანი და მოსაზრებიანი კაციც ძლიერ უფრთხის ოცნებას, — უფრთხის იმიტომ, რომ ოცნება — ჯერ ერთი, ტვინს ულაყებს კაცსა და მეორე — საქმეს აცდენს. ფიქრიანი კაცი მხოლოდ ფიქრობს და მაგრადაცა ფიქრობს. რას ფიქრობს? — ჰმ!.. განა ცოტა რამ არის საფიქრებელი ქვეყანაზე! ნაბიჯს ვერ გადასდგამ, რომ ფიქრი არ იყოს საჭირო. ფიქრიანი კაცი სწორედ ასე იქცევა. რა ქნას: ჰხედავს, რომ მწერიც კი, რომელსაც ბუნებამ დაატყო ტანზე

თავი და თავზე თვალები, თავის შესახება ფიქრობს. მოდი და შენ, ადამიანი, გაჩენილი, დაბადებული მეფედ — ნუ იფიქრებ. სირცხვილიც იქნება! დიაღ, ფიქრიანი, მოსაზრებიანი ადამიანი ყველაფერზე ფიქრობს, რაც კი რამ ცხოვრებაში ხდება: არაფრისათვის არც თვალებს, არც გონებას არ ზოგავს, ოღონდ კი სიმართლე, სინამდვილე შეიტყოს, თავისა და ქვეყნის სასარგებლო რამ გაიგოს; ეძიებს მიზეზს, უკვირდება რა შედეგს. გალარიბდა ფიქრიანი კაცი. გაიგებს, რადაც გალარიბდა. გამდიდრდა, — ამის მიზეზიც ესმის. სოფელს უყვარს ფიქრიანი კაცი, — ესმის რადაც უყვარს იგი სოფელს და ამიტომ უფრთხილდება თავის ფიქრს — არ დავკარგო, არ გავასუსტო ჩემის გონების ძალები, თორემ პატივისცემას დავკარგავ, ეხტიბარი გამიტყდებაო...

... ფიქრიანი კაცი არადროს უსაქმოდ არ დადგება: პურის ჭამის დროსაც კი საქმეს აკეთებს: ისეთს რასმე იფიქრებს, რომ უეჭველად, თუ საქმედ აქცია, გამოდგება და ან კი რას არ აქცევს იგი გამოსადეგს ფიქრს საქმედ. მალე, ძალიან მალე სჭამს პურს მადიანად და ჰკიდებს საქმეს ხელს მადლიანად. ცოცხალი, მეტად ცოცხალი კაცი სასიამოვნო სანახავია, ფიქრიანის კაცის საქმის კეთება, იმის საუბარი, იმისი სიარული, ყველაფერი და თუ მათქმევინებთ — ძილიც. ფიქრიანს რომ სძინავს და ჰნახოთ, მაშინვე ეტყობა, რომ დაღლილს დასძინებია, თვალს ატყუებს და თუ ადგა, მადლიანად ადგება, მადლიანად მოიქცევს მარჯვენას; იგი არა ჰგავს იმ უფიქრებელს ადამიანს, სიფხიზლის დროსაც რომ სძინავს...

... იმაზე მეტი სასჯელი არა მიერგება რა ფიქრიანს, როგორც ერთს ჭერს-ქვეშ ყოფნა უფიქრელ-უზრუნველთან. მისი სიფხიზლეც აწუხებს და ძილი ხომ შეაძრწუნებს! დიდხანს ყელში ბრაზმორეული ყურს უგდებს იგი უფიქრელის

ხვრინვას; რამდენჯერმე კიდეც ჩასძახებს: „რა არი, რა ამბავია, კაცო! ძილი შეიძლება და მაგეთი? თუ გაიგონა — ხომ რა კარგი, თუ არა და წიხლსაც ლამაზად ჩააზელს, რათა აღეხილნეს მისნი მკვდარნი და ზარმაცნი თვალნი და სდუმდეს ხმა მისი უგემური. უფიქრელს, ცოტა არ იყოს, კიდეც ეჯავრება ფიქრიანი; ეჯავრება, რადგანაც იმათი ბუნება ერთმანეთს არ ეგებება, არ ეთანხმება.

„ფიქრიანი", 1891 წ.

\+ + +

... ჩვენს ცხოვრებაში სხვა ხოლერაცა ბუდობს, უფრო სასტიკი, უფრო მავნებელი. ნეტავი ერთ დღეს მაინც ამ მეორე ხოლერამ ისე ააყაყანოს ხალხი, როგორიც ეს ბაცილა — ბაქტერიების დედა აყაყანებს ქვეყანას ამ სამი-ოთხი თვის განმავლობაში. ერთის მხრით რომ იფიქროს კაცმა, იმას დაასკვნის, რომ ალბად სხვა არაფერი არა უჭირს რა ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას და იმიტომ არავინა ყაყანებს, არავინ რას ამბობს, მაგრამ ამგვარი ფიქრი ტყუილი ფიქრი გამოდგება. მაშ სხვა ხოლერა არა ბუდობს ჩვენში და არ გვმუსრავს?!

აბა გადავავლოთ ჩვენს მხარეს თვალი, აბა კარგად დავუკვირდეთ ჩვენს გარემოებას, ჩვენს წამხდარს საქმეს, თუ მართლა უარესის ხოლერით არ ვიყოთ ავად. ამ ხოლერას ვერ ვუპოვნეთ ვერსაიდამ წამალი, იმაზედ არც სისუფთავე სჭრის, არც დეზინფექცია. აბა ხოლერა, ნამდვილი ხოლერა ეს გახლავსთ. ეს ისეთი ხოლერაა, რომ განა ორი ათასში ათასს მოჰკლავს და ათასი გადარჩება?! არა, ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს. რატომ ამ ხოლერაზედ არა ყაყანებს, არა ჰღაღადებს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი

მოძმე? იქნება ის ხოლერა არსად არსებობდეს და მე მეჩვენებოდეს მარტო?

არა, არსებობს, მაგრამ იმდენი ვერა ჰხედავს იმას, ამ „ბაცილების" დედას, და იმდენი ხმაურობა, ქრიამული იმიტომ არც ისმის ამ მეორე ჯურის ხოლერაზედ.

ათასი უსამართლოდ დაჩაგრული დღევანდელ ჩვენის ცხოვრების გარემოებათაგან, იგივე ხოლერის მსხვერპლი, მისგან მოკლული არ არის?

მოვიგონოთ ასიათასობით უმეცარნი, უსწავლელნი, უბირნი, ცხოვრებას რომ ეთრევინებიან, სცხოვრობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ათენ-აღამონ, იგივე ხოლერისაგან მოკლულნი არ არის?!...

... ამ წინაზედ ჩემის მეგობრის წერილი მომივიდა. ხოლერა ჩვენც გვესტუმრაო, მწერდა, იქნება მეც მიმსხვერპლოს და ეს ჩემი წერილი უკანასკნელიღა იყოსო. სიკვდილი სიკვდილიაო, მაგრამ რად უნდა მოვკვდე ისე, რომ ჯერ არაფერი გამიკეთებია, ჩემის ქვეყნისათვის არაფერი მირგიაო. ამ სიტყვებმა დამაფიქრა. მართლაც, ესეც ერთი უმადურობა უნდა იყოს წუთისოფლისა; გაისტუმროს ისეთები, ვისაც რამ შეუძლიან არგოს ქვეყანას, ვისაც გული ერთიორად სტკივა სიკვდილის დღეს, ვკვდები და კი არაფერი გამიკეთებიაო, არაფერს კეთილად მოსაგონებელს არა ვსტოვებ წუთისოფელშიო. სიკვდილი ხომ სიკვდილია, და ამ ფიქრის გამო, სიკვდილს მეორე სიკვდილიც ზედ ერთვის.

დღეს შევიტყე, რომ ჩემი მეგობარი ხოლერას გადარჩენია, არც ტყეში გაქცეულა დასამალად, როგორც სხვები გარბოდენ თხებივით, და ვნახოთ ერთი, რა საქმეს დაიწყობს ქვეყნის სასარგებლოდ. თუ მართლა გააკეთა რამ, ნეტავი ჩემს ორსავ თვალებს და, თუ ტყუილი აღთქმა გამოდგა, მაშინ პირველი მე ვიტყვი, ნეტავი ხოლერას გადაეტანე, რა-

კი მაგისთანა უკეთური გამოხვიდოდი–მეთქი. მაშინ აშკარად დავრწმუნდები, რომ ჩემს მეგობარის მარტო ქვეყნის მოტყუება სდებია გულში და „უკანასკნელად იმიტომ მწერდა წერილს, რა არის, ეს წერილი, თუ ვინიცობაა ჩემს მეგობარის ხოლერა შეიწირავდა, მე გაზეთში გამომექვეყნებინა: აი, რასა მწერდა ესა და ეს, რა წადილი ჰქონდა გულში და რა საქმე გვიყო ამ წყეულ–შეჩვენებულმა ხოლერამ, რა კაცი დაგვაკლოვო. სხვა ან კი რა მეთქმებოდა?! ესეც სახელია, მაგრამ წუთისოფ-ლისათვის მოპარული, დაუმსახურებელი, არამი სახელი!!...

„ფიქრები" (ხოლერის გამო), 1892 წ.

\+ + +

...ეს კი არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ადამი-ანი თავის ცხოვრების ავკარგის მიზეზს არ ეძებს, საკეთილოს არ ახეირებს და მავნებელს არ სპობს, ცალკე ადამიანი, ერთი ღერი კაციც კი ვერ წარმართავს კეთილად თავის ცხოვრე-ბას, განაღამც ერმა შესძლოს უამისოდ. სწორედ ამ „რადა-რისთვინაობის" ბრალია დღეს, რომ ვწყევთ და ვკრულავთ ძლიერს, როცა სუსტს ჩაგრავს, – როცა მდიდარი ღარიბს ატყავებს, – როცა ერთი მეორეს ჩაგრავს, ტვინსა სწოვს და ერთი ერი მეორეს და სხვადასხვა...

„ფიქრები", 1902 წ.

\+ + +

გაისმა კვალად მწუხარე ხმა ზარისა. ეს ნიშანია იმისა, რომ ყველას გული მოიცვას მწუხარებამ. როცა ადამიანი სწუხს, მაშინ მიდრეკილება აქვს კეთილის საქმნელად, ფიქ-რთა და გრძნობათა გასაწმენდად...

... სინანული? ცოდვილთათვის არ არსებობს იგი; შავი ძალებისათვის ღმერთს არ გაუჩენია სინანული. დღეს სინანულში ჩავარდნილან მართალნი, ქვეყნის ერთგულნი, ენანებათ დღესდღეობით დაჩაგრული სიმართლე; სწყინთ, რომ ვერ მოუპოვეს მას გამარჯვება, დღეს ესენი არიან ნამდვილნი მარცხულნი, რადგან სულით მარცხულობა ბევრით აღემატება ჭკუით მარცხულობას...

... ხოგჯერ დამარცხება გამარჯვებას სჯობია, რადგან ყველასათვის აშკარად გამოჩნდება დამარცხების მიზეზი, ყველა გაიგებს, ყველა შეიგნებს და სამერმისოდ აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს და უკეთეს ბრძოლის და შრომის საშუალებას მოიპოვებინებს

გაითვალისწინეთ ყველამ თვითეული თავისი სიტყვა, გადადგმული ნაბიჯი, ასწონ-დასწონეთ. უვარგისი დაიწუნეთ საჯაროდ, ნუ შეგრცხვებათ. სირცხვილი და ცოდვა ის არის, როცა ადამიანი ჭირსა ჰმალავს. გამომჟღავნება თავის შეცდომისა და ცოდვებისა იგივე გმირობაა. ხოლო ნუ შეინანებთ ნურავის დახოცილ ნათესავთ, მით უმეტეს საქვეყნოდ. უმსხვერპლოდ არსად რა გაკეთებულა, არც გაკეთდება, ნუ შეინანებთ დანგრეულს და გადამწვარს სახლ-კარს, რადგან სინანულით არც მკვდრები აღსდგებიან და არც სახლი და კარი განახლდება...

ღმერთმა დაგიფაროთ, ამას ამბობდეთ: ჩემთვის ჭკვიანად რომ ვყოფილიყავ, ხომ არც ეს უბედურება დამემართებოდა. ეს მადლისა მატლად ქცევა გამოვა, – მადლში ცოდვის შერევა, მისი გაბათილება. რა დაგვრჩენია ბოლოს? რა ვსთქვათ? რა ვიფიქროთ?...

„დიდ-მარხვა", 1906 წ.

+ + +

... ყოველი საქვეყნო მოღვაწე, ყოველი ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანი ყოფილა და არის გაზაფხულის მსგავსის სულისა. მხოლოდ მათ განუცდიათ გაზაფხული სულისა. პატარა, ვიწრო გრძნობისა და ტვინის ადამიანი, თუ იგი მდიდარია, თავს ბედნიერად ჰრაცხს, რადგან ყოველგვარი მოთხოვნილებას ცხოველურს, ფისიკურს იკმაყოფილებს; შეიძლება ფიქრობდეს, მე განვიცდი გაზაფხულს სულისასო, მაგრამ დიდად მოტყუებული იქნება, რადგან ამგვარი ადამიანი მხოლოდ გამანადგურებელია იმისა, რაც გაზაფხულის შემოქმედების წყალობით მიგვიღია ადამიანებს. იგი სიცოცხლეს, როგორც მთელს, არაფერს ჰმატებს, მხოლოდ დაკლებით აკლებს...

„საგაზაფხულო ფიქრები", 1915 წ.

+ + +

... კაცს საზოგადოების თვალში ორი თვისება ჰხდის პატივსაცემლად: გონებრივი განვითარება და პატიოსნება...

„სოფ. თიანეთი", ივნისის 14, 1885 წ.

„ბიყვრღეთ,
კაცნო,
რთძანრთი!"



## მოთხრობებიდან

\+ + +

„გამარჯვებათ" რამდენჯერმე ვუთხარი დიდს, საზარელ კლდეს, მაგრამ ყური არ მიგდო, იდგა თავისთვის დინჯად, ყურსაც არ იბღერტდა, თითქოს ბუზიც არ აჭრენოდეს.

— ხომ არ დაგემინა, შავ-კლდეო, ბოღმა-ნაღველით შედედებულო, უბედურო, უდაბურო, გულღრმუკო! — გავუმეორე კვალად, — კაცი ვარ, სალამს გაძლევ, რატომ ბოდიშს არ იხდი?..

— ბოდიში? — სთქვა კლდემ და შუბლშეკრულმა გადმომხედა მაღლიდან, — რას ემახით კაცნი ბოდიშს?.. ჰო, ვიცი, ვიცი... ერთმანეთს სულ მუდამ დღე გამარჯვებას ეუბნებით ენით, ხოლო საქმით ერთურთის დაღუპვაზე სდგეხართ. კლდე იმით არის კლდე, რომ ენას არ ალაკლაკებს წალმა-უკუღმა. როგორი გაგეხარდებოდა, როგორი მადლობელი იქნებოდი, როგორი ქება-დიდებით მომიხსენებდი, შენს „გამარჯვებაზე" გაგიმარჯოს, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, თავს შემოგევლეო, რომ მეთქვა, არა? უმეცარო! არ გესმის, გამოუცდელი ხარ, ჯერ ბევრი რამ გაკლია, ბევრისაგან ბევრი...

— ჩვენ კაცნი ამას ზრდილობას ვეძახით. ბოდიშის მოხდა ვალად გვძე ადამიანის შვილთა.

— ჰმ, ჰმ, ჰმ! — გაიღიმა უგემურად, — უზდელთ ვინ მოგცათ ზრდილობა?! ერთმანერთს სჭამთ, ერთმანერთსა ჰქლეტთ, ვითომ კლდე ბრიყვია, არ იცისო, გგონიათ? ვიცი, ყრმაო, ვიცი! დიდი ხანია აქედან დავყურებ ქვეყანას... რაც იქ სისხლი და ცრემლი დაღვრილა და იღვრება, აქ ჩემს გულში გუბდება, აქა გროვდება. ბუნებაში ჩემზე უშნო ერ-

თი ქმნილებაც არა გგონიათ. მთას რომ უცქერით კაცნი, მე მუდამ თვალს გადამაცილებთ თავზე, რათა ჰპოვოთ რამ სხვა თვალისთვის საამური – ყვავილი, ბალახი და სხვა. უნდა გაიცნოთ ჩემი გული, უნდა ჩაიხედოთ შიგ, იქნება მაშინ აღარ გეუშნოვოთ, აღარ შემიჯავროთ. თუ ვინმე სასოებამიხდილი, თავმობეზრებული დამადგება თავსა და ამბობს: აქედან უნდა გადავვარდე, რომ მოვრჩე ტანჯვას, მოვისპო სიცოცხლეო, – თვალებსწინ საზარელს სურათს დავუყენებ სიკვდილისას, ვაგრძნობინებ – ნუო; დაიშლის – ხომ კარგი, არა და – ჩემს კალთაზე სიკვდილს ჰპოვებს. იმის სულის დალევის წამი გულში ჩამეწვეთება და ტანჯვად მექცევა. დიდის ტანჯვის მტვირთველი ვარ, იმიტომ მუდამ მუნჯი, მუდამ პირქუში ვდგავარ, არ არის ჩემთვის მოსვენება, არ ვიცი, ლხინი რასა ჰქვიან. არ ვარ უმადლო. ნუ, ნუ სცოდებთ ღმერთსა, ნუ მიკიჟინებთ უდაბურ-უბედურებას, ნუ დამწამებთ გულღრმუვობას.

– ახ, რა კარგად ლაპარაკობ; რომ ჩამოხვიდოდე სოფლად და კაცთა შორის დაიწყებდე საუბარს, რა დიდს მადლს ისამდი! მერე როგორი უჭირს ქვეყანას კარგი მთქმელი, კარგი ჩამგონებელი!... კაცი კაცს არ უჯერებს, კარგსაც რომ ეუბნებოდეს – ესეც წესია ერთნაირი ბუნებისა, მაგრამ როცა დაინახავდენ – კლდე ლაპარაკობსო, მთლად სმენად გადაიქცეოდენ ადამიანის შვილნი; შენ შეგეძლო ანგელოზებად გარდაგექმნა კაცნი. მე მრწამს ესა: იოტის ოდნად არ ვეჭვობ, რომ წინააღმდეგი რამ მოხდეს, თუ გაჰბედავ და იქაც ეგრე აუჩქარებლად, დინჯად, მოხდენით ისაუბრებ.

– კიდევ არ იცი, გამოუცდელი ხარ და იმიტომ. ძალიან ცოტახნის გამარჯვება მექნებოდა, ბოლოს ისევ ცილისწამება, მეძაობა, შური იჩენს თავს. იტყვიან: „მოჩვენებაა, კლდეს როგორი შეუძლიან ჯერ საუბარი და მერე ეგრე ჩა-

გონებით, ადამიანივითო! ეშმაკის მანქანება რამ უნდა იყოსო – და მორჩა... მერე წერაქვი, ლაღუმი, ამტვრიეთ კლდე, ვისაც რად გესაჭიროებათ: ჩაყარეთ ლიბო სახლისა, ააშენეთ კედლები, დააგეთ ფილაქანი, გათალეთ საფლავის ქვები. არ იქნება ასე? იფიქრე. კარგად იფიქრე!.. ეგრე რომ არ იყოს, ეგ ზნე რომ არ ვიცოდე კაცისა, დღესვე მთელი ქვეყნის თვალწინ გავფენდი, რაც კაცობრიობას ცოდვა ჩაუდენია, რაც შეცდომა მოჰსვლია, რაც საცოდაობა დატრიალებულა დედამიწის ზურგზე, მაგრამ ამაო შრომა იქნება: კაცმა უნდა ეცადოს, კიდევ შეცდომა ჩაიდინოს, რომ მერე ინანოს, შემდეგ ისევ ეცადოს, შეცდომა გაასწოროს. ესაა მისი სიცოცხლე. დიაღ, დავანახვებდი ყველა მის გონების, გრძნობის უსუსურობას, ამას რომ არ ვხედავდე, და მეც დავიფუშებოდი. აღარ მინდოდა მას შემდეგ სიცოცხლე, აღარც იყო ჩემი ყოფნა საჭირო. გულდამშვიდებით, ბედნიერად დავხუჭავდი თვალს და მოვისვენებდი.

– ააახ! როგორი გულით მონდომებული ვარ ადგილიდან დაიძრა, გახვიდე ხალხში და იქადაგო! რა მშვენიერი სურათი დამიდგებოდა თვალწინ: აურიცხელი ხალხი და მათ შუაში ჩამდგარი შენ, კლდე, ჰქადაგებდე ეგრე მედიდურად, წარბშეუხრელად, მოურიდებლად, უკრძალავად. ჩვენ, როცა კაცის ხასიათის სიმტკიცე გვინდა გამოვსახოთ, ვამბობთ: კლდეა, სწორედ კლდეაო. და ახლა ის წარმოიდგინე, თვით კლდე ესაუბრებოდეს ქვეყანას... მაშ რა იქნება? ნუთუ სასწაულს არ მოახდენდი? მაგრამ არა, ჰზარობ, გეძნელება ადგილიდან დაძვრა, შეჩვეული ხარ ერთ ადგილას დგომას, არ გეხერხება განძრევა. გეშინიან, რომ გაინძრე, გაჩუჩუნდე, სულერთიანად დაიფუშებიო.

– მე რას ვიტყვი ისეთს, შენც არ შეგეძლოს იმისი თქმა?

– რისა, მაგალითად?

– მხოლოდ სამი სიტყვისა: გიყვარდეთ კაცნო, ერთმანერითი! შენ გგონია, საკვირველს, ახალს რასმე გასწავლი და ან ვასწავლი ქვეყანას? ხოლო ამ სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, შინა და კარში ეს ხმა უნდა ისმოდეს, პირველი მცნება ეს უნდა იყოს, დედა ამას უნდა ჩასჩიჩინებდეს შვილს აკვანში, ისე გამუდმებით, რომ ეს ჩამახილი ვეღარა გზით ვერ ამოშალოს ადამიანის გულიდან, როგორც ჩემს მკერდზე ვერავერი ამოჰშლის წყალთა და ზვავთა ნაკვალევს. ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ის პატარა ბუშტი ლეშისა, რომელსაც თქვენ გულს ეძახით, იქცეს ერთ, მხოლოდ ერთ სიტყვად – გიყვარდეს.
სთქვა ეს და სდუმდა...

„კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა", 1898 წ.

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

... სიკარგე, სიკეთე ყველას თავისებურად ესმის სქესისა, წოდებისა, ხელობისა და სხვ. მიხედვით. ხალხიც ხომ ამბობს აღტაცებით, მოტრფიალე სიკარგისა, სიკეთისა:

რა კარგია კაი კაცი,
კარგს ანდეზედ აგებული:
სოფელი ჰყავს მადლიერი,
სწორის გულის მოგებული.

როგორც მამაკაცს, ისე დედაკაცს უნდა, რომ კარგს ეძახდნენ. ხოლო რა არის კარგი და ან ვის ეკუთვნის ღირსეულად ეს სახელწოდება, განსამარტავი, გასაჩხრეკი და გამოსაკვლევია. ფილოსოფოსებს რომ დავუგდოთ ყური, როგორც, მაგალითად, სპენსერს, ამბობენ: კარგი ის არის, რაც მიზნის მიღწევას გვიადვილებსო... ძალიან კარგი, ახლა ის ვიკითხოთ, კაი კაცი ვინღაა? ვის უნდა ვეძახდეთ კარგს საერთოდ!...

...თუ სიკეთე ადამიანის პირადის სარგებლობის მიღწევით განისაზღვრება, კაი კაცი ის უნდა იყოს, ვინც თავისს პირადს ყოფა-ცხოვრებას გაიუმჯობესებს, გასჭრის და გაჰკვეთს თავისდა სასარგებლოდ. ნუთუ ასე უნდა გვესმოდეს სიკეთე? – არა, მე სხვაგვარად ვსჯი და ვფიქრობ. კაი ცული ბევრს საქმეს გააკეთებს, თუმც ხშირად მოხდება, რომ პირი მოსტყდეს და დაექლლას, მაგრამ სხვას – ადამიანს – ბევრსა ჰრგებს; კაი ცხენი ბევრჯელ დაიღლება, ბევრჯელ გაიბანება ოფლში, ბევრს ტანჯვასა ჰნახავს, მაგრამ მხედარს კი ბევრს

ასიამოვნებს. სანთელიც იმითია კარგი, რომ თვით იწვება და სხვას კი გზას უნათებს, წყვდიადს აქარწყლებს, ნათელს გვფენს, უხილავს მიდამოს ხილულადა ჰქმნის და სხვანი. ერთის სიტყვით, კარგს რასაც ვხედავთ ბუნებაში, ყოველა თავისთვის უსარგებლო, ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახეირო. მაშასადამე, თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისა და უკარგისობისას და ჩვენ, კაცთ, ეს არ გვესმის; თუნდაც რომ გვესმოდეს, მაინც ყურადღებით არ ვეპყრობით ამ ბუნების კანონს, მისს განაჩენს. განათლებამ ბევრი რამ ბუნებრივი უარჰყო და თავისს გემოვნებაზე გადააკეთა, თავისის აზრის, მისწრაფების სასარგებლოდ გამოიყენა, ხოლო უარყოფა აზრისა და გრძნობისა, რომელზედაც დაფუძნებულია ადამიანის სიავკარგე, დღესაქამომდე ვერ გაუბედნია. ისტორიაც კარგ კაცებად იმათ ასახელებს, ვინც ამ მხრივ ყოფილა გამოჩენილი, ვისაც სხვისთვის რამ უქნია და არა მარტო თავისი თავი ჰხსოვნებია, თავისი ჯიბე და კუჭი.

სხვის რგება, სხვისთვის შემწეობის მიცემა ან კი რითია დასაწუნი? ამას დაიწუნებს მხოლოდ რეგვენი კაცი და ბრიყვი საზოგადოება. თუკი ყველა სხვის შემწეობით, სხვისი შველით ვიქნებით გამსჭვალული, სხვა ჩვენთვის იქნება, სხვას ჩვენთვის ენდომება კეთილი, – ეს იგივე თავისის თავის შველა გამოდის, თუმცა სხვა ფერით, სხვა წესით, რომელიც უფრო ღვთიურია, უფრო კაცობრივი, რადგან ამგვარი დამოკიდებულება ერთისა მეორესთან სპობს შურს, მტრობას კაცთა შორის. სავალალოა მხოლოდ ის მოვლენა, საბრალოა მხოლოდ მრავალთათვის თავდადებული ადამიანი, სხვებისთვის კეთილის მომქმედი, მშველელი და თითონ კი მოკლებული შველას მოყვასთაგან. არ ახალია და ძველი ეს მოვლენა მხოლოდ იქ, სადაც ბნელა, – რეგვენს, ბრიყვს საზოგადოებაში. ეს იგივე მონობაა, იგივე ბატონ-ყმობაა,

თუმცა უფრო ნაყოფიერი, ვიდრე პირველი, მაგრამ უსამართლობით და უმადურობით მონათლული. სხვის რიგებზე დამდგარი ადამიანი ბრიყვს საზოგადოებაში მუდამ ზარალშია, იგი ზვარაკია ტარიგად შეწირული...

... ქვეყანასაც უყვარს კაი კაცი და ყველასაც ჰსურს მისი თვალით ნახვა, რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. ჩვენთან, მაგალითად, არავითარი კავშირი და არაფერი ნათესაობა არა აქვს დევეტს, ბურების სარდალს, მაგრამ ყველასაც გვიყვარს იგი, რადგან თავგანწირულად იბრძვის თავისის ქვეყნის გულისათვის...

... განა მარტო კაი კაცია ჩვენთვის სასიამოვნო? კაი საქმეც კარგი რამ გახლავთ, ვინაიდგან იგია ნამშო იმავე კარგის ადამიანისა, თორემ ცუდისა და უკეთურისაგან უკეთურების მეტს რას უნდა მოველოდეთ?

კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოსდინდების...

„ყოველდღიური ფიქრები", 1901 წ.

„მონა ვარ, მონა
ბუნების, ღონე არა
მაქვს დავის"



## ლექსებიდან

\+ + +

... ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზედ ოფლ-გადამდინარედ!..

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
სადაც პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!..

„ღამე მთაში", 1890 წ.

\+ + +

... რა ფერისაა ქვეყანა,
ნეტავ, მაჩვენა თვალითა:
მისი ზამთარი, ზაფხული
წყალ-ველით, მთებით მწვანითა,
ცა, ვარსკვლავებით მორთული,
დღისით – მზით, ღამე – მთვარითა...

„დაუსრულებელი კვნესა", 1890 წ.

\+ + +

... მონა ვარ, მონა ბუნების,
ღონე არა მაქვს დავისა!..

„განაფხული", 1898 წ.

## პოემებიდან

\+ + +

... ზვიადაურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორგვნა წყლისაო,
ნიავად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო.
ცრემლი ნისლების ჯარისა
ნაბრძანებია ღვთისაო...

„სტუმარ-მასპინძელი", 1893 წ.

\+ + +

... თავის წესს არ ჰშლის ბუნება
ღამე დღე, დღე სცვლის ღამეთა,
მუხლმოკეცილნი სხდებიან
შავი ნისლები მთა-ველთა;
მრავალთა წყალთა იდინეს,
ჩამოუარეს ვაკეთა;
მრავალმა გამოთხოვების
აკოცა ლამაზს ბაგეთა.
ზოგი გაჩნდა და სხვა მოკვდა,
საფლავს მწოლარე ვნახეთა.
მტრობა, ტრფობა და სიძულე
ერთურთს უგმობენ სახეთა.
ის ჰრჩება მხოლოდ ქვეყანას,
რაც რომ ჩვენგანმა აკეთა.
ბევრჯელ მოირთო თოვლითა,
ბევრჯელაც ვნახე ცვრიანი,

ვით შუბლს მუშაკი ოფლითა.
წყალი არ მოჭმლის წყლობასა,
რაც უნდა ბევრი ჰნაყოთა! ...

„სისხლის მიება", 1897 წ.

+ + +

... ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი,ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ.
რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.
ამას ჰგრძნობს, უკვირს თითონაც
ტყვეს თვის ბუნების ცვალება.
შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.

როცა კი გაზაფხულდება,
გამოიღვიძებს ქვეყანა:
სილაღე, სიმხიარულე
დასეირნობენ ყველგანა,
გაჩნდება ჩიტი, ყვავილნი
ეკონებიან მწვანესა,

მინდია გაფაციცებით
სულ მიმოივლის მთა-ველსა.
ყველა მცენარეს და მლილსა
ის ეგებება სალმითა,
ბუნებაც „ვაშას უძახის
მდიდრად მორთულის ალმითა.
ყვავილნი ყელ-გადაგდებით,
დახატულები კალმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო,
ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა,
და მერე სათითაოდა
ყველა მოჰყვება ტიტინსა:
„მე ვარო ამის წამალი;
სხვა გაიძახის — „იმისა;
მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს,
ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა.
თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:
ოღონდ ეწამლონ სნეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სხეულთა:
სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა.
ყვავილთ ეს ზნე სჭირთ და ხეებს
თურმე მოუკვათ ტირილი;
მარტოკა მინდიას ესმის
მათი კვნესა და ჩივილი.
ამისგან მისი ცხოვრება
ძალიან დაცარულია:

მივიდა ხესთან ცულითა,
სთქვა: „უნდა მოვჭრა ესაო!
შემოჰკრავს ცულსა და ამ დროს
ხის შამოესმის კვნესაო:
„ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარაღო რომა ვარ,
მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!..
დაუდუნდება მკლავები,
მტერად გაჰხედნებს ზეცასა.
სხვა ხეს მიჰმართავს, ის უფრო
მეტად დაიწყებს კვნესასა.
ხელცარიელი წამოვა,
ვერ მოიყოლებს შეშასა,
და რომ ღველფუსედა არ გაჰქრეს
ცეცხლი, აანთებს თივასა
ან ჩალას, გამხმარს ჯოყრებსა,
თან მიაშველებს წივასა;
თუ სად ხმელს წიწკრებს იპოვნის,
არც დაიწუნებს იმასა.
მაინც ღმერთს ჰმადლობს, მაინცა,
საღამოსა და დილასა.
სხვებსაც მას ურჩევს: „კაცებო,
მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასა;
ნუ მასჭრით ხესა, დავჯერდეთ
ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა. –

როცა ყანის მკას დაიწყებს,
გიჟია, გადარეული:
ერთს ფეხს აქ მოსჭრის, ერთს იქა,

საგულეჩამოხეული;
სულ გადასთელავს ყანასა,
გაჰბურიდღნის, გაატიალებს,
მინამ ღონე აქვს მკლავშია,
ციბრუტივითა ტრიალებს,
და როცა დაიქანცება,
გაიშხლართება მიწაზე.
რო ჰკითხოთ: „ასე რად სჩადი?
ის გიპასუხებსთ იმაზე:
– „რას ამბობთ, კაცნო, არ გესმისთ,
მიტომ მიწუნებთ ქცევასა.
ის როდი იცით, თავთავნი
როგორ მიწყებენ ხვეწნასა;
უნდა იცოდეთ, ჰხედავდეთ
თავთვების ყელის წევასა,
ათი-ათასი ყოველ მხრივ
რომ დაიქუხებს ერთადა, –
ხელნამგლიანი როცა ვარ,
მნახავენ თავის ღმერთადა: –
„არა, მე მომჭერ, მინდიავ,
ნუ მტოვებ, შენი კვნესამე!
„არა, მე, – სხვა გაიძახის, –
უფრო მაშინებს ზეცა მე.
პატარა ნისლიც რო ვნახო,
ჩამოვიშლები ტანითა.
ვაი თუ სეტყვა მოვიდეს,
ყელი გამომჭრას დანითა.
სხვა უფროც ჰყვირის: „ნუ მწირავ,
იხარე თავის ჯანითა!
გამაგიჟებენ ბოჟირით,

გადავირევი ბრალითა:
ვცდილობ და ყველას ვერ ვწვდები
ორის ხელით და თვალითა
და ამ დროს თავადაც ვხდები
მოსაბრუნები წყალითა.
ყანასა სეტყვა აშინებს, –
კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა,
თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა
სით შაუძლიან წახდენა?!.
კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ
თავთავნი ოქროსფერანი, –
არ სწადით ოხრად ლპებოდენ,
ჰკენკდენ ყვავნი და ძერანი.
მიტომ ჩქარობენ მომკასა,
ერთად ქივიან ყველანი,
ჰსურთ პურად იქცნენ საჭმელად,
რომ მითი გაძღნენ მშიერნი, –
მკვდარით კაცთა შანდობა ვუთხრათ,
ძალნი ვახსენოთ ციერნი.

არ უღირს, მკვდარმა იცოდეს
თავის სიკვდილი, – მკვდარია,
იგლოვოს თავისი თავი,
თვის ყოფნა შესაზარია?
სხვა ყოფნა, ამაზე მწარე,
მიპოვნე შესადარია!
ამგვარი მკვდარი დღეს მე ვარ,
სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდრობითა!
არიან მოსვენებულნი,
არაფერს გრძნობენ გრძნობითა.

რითიღა ვარგო ქვეყანას,
დავცარიელდი ცოდნითა:
ყვავილნი არას მეტყვიან,
აღარც ცნობა მაქვს იმათი;
განა მეტიღა იქნება
კაცმა თავს უგდოს ხიფათი?
აღარა მესმის ფრინველთი,
აღარა მესმის ყანისა,
აღარ მსმენია მას შემდეგ
ტკბილი სალამი მწვანისა.
ეს არაფერი, სხვაფრივაც
აღარ ვვარგივარ არადა;
გინდა აქ ვეგდო მთაშია,
გინდა ჩავიდე ბარადა,
ჩემფერას უკეთურებსა
არვინ იყიდის ჩალადა.
ვეღარას ვარგებ ქვეყანას
მტრის მამგერიებელს ჯარშია,
მიტომ, რომ წინანდებული
ცნება აღარ მაქვს თავშია...

„ტველის მჭამელი", 1901 წ.

\+ + +

... „დიაღ, თუ ჭკვა გვაქვს ჩვენ, მთებსა,
ცოტა რამ ცოდნა თავისა,
ერთობის ფარგალში ვცხოვრობთ,
ჩვენში ერთობა ჰყვავისა –
დიდი ხნიდანვე, არა დღეს,
ეს კაცთ ვერ გაუგავისა.

აბა, თუ ვსტყუი, მითხარით,
პირში ნუ მომეფერებით:
გშურსთ ვისმე ჩემი სიმაღლე,
რომ ვდგევარ ყელმოღერებით?
ვიცი, რომ არა, და მიტომ
არც ველი თქვენგან პასუხსა;
სხვას რას მიმატებს სიმაღლე,
თუ არ ტანჯვასა და სუსხსა?
მაგრამ მეც ბედნიერი ვარ
სხვა გორაკებთან ერთადა,
თუ თავზე მცივა, წელ-გულით
ბედნიერი ვარ ბევრადა...
თქვენიდან გადმოხიზნული
ნადირ-ფრინველნი, ნისლები
მომივლენ უკრძალავადა,
როგორც დედასა შვილები:
საჭმელსა სჭამენ, სასმელს ჰსმენ,
მოსწონთ მწარე თუ ტკბილები.
თქვენთანაც ეგრე მოდიან
ჩემს მკერდზე გამოზრდილები.
ჩემთ ღრუბელთ ნამი თქვენ გნამავს,
თქვენისა მე მესხურება,
როგორაც თქვენა, ეგრევ მე
ცა ქუდად დაგვეხურება.
მიაქვს ჩვენიდან ვისც რა ჰსურს,
რად ვინმე დაგვემდურება?
ჩვენის ამაგით სარგებლობს
და არც ჩვენ მივდევთ გინებით,
მიჰხედ-მოჰხედეთ თქვენს გულ-მკერდს,
სულ სავსე არის ბინებით.

როგორც დღესნამდე მადლს ვთესდით,
დღეიდგეც ასე ვიქნებით...
„მართალი არის, ეხლაღა
გადამეწმინდა გონება,
მთათ შორის, თუ კარგა განვსჯით,
არსად არ არის მონება.
თუ არწივს ტევის ნება აქვს,
ვეფხვს კლანჭის ქნევის, რჩოლისა, –
კაკაბს და ჯიხვსა თანაბრად
გახისნვისა და სრბოლისა.
იმიტომ მოვკლათ არწივი,
რომ არის მამაცი, მალია,
რომ ლეში უყვარს საჯიჯგნად
და საწიწკარად ძვალია,
და ვეფხვი, რადგან ძალ-ღონე
იმათ არ დაუმალია?..
ვეფხვ-არწივების ტაცებით
დღემდის არ გასწყდა გვარები
და, მადლობა ღმერთს, საკმაოდ
დის ნადირ-ფრინველთ ფარები!
სით, როგორ გავაბედენო
ერთიმეორის ცალები?
ათი-ათასს სჯობს ტრედს, კაკაბს
მარტო არწივის თვალები.
თუ მისი ყეფაც არ მესმის,
არ ვნახე ვეფხვის ხალები,
მესმოდეს კაკან-კნავილი,
გულისა გასაწყალები?
ჩემს მკერდს ჰკაწრავდეს მხოლოდა
უჯიშოთ, ლაჩართ ბრჯღალები?!

ვერ შეიგუებს ამ აზრსა
ჩემი სისხლი და ძვალები.
ერთს თუ ვიბრალებთ, მეორეც
დიალ არის შესაბრალები.
ვით არ ვხედავდე არწივსა,
იმას კი ვენაცვალები?!.

„მთებს რაც ძალა გვაქვს, არ ვზოგავთ,
ვინც დაეწვდება, მისია,
საძმოა, საერთო არის
ნადირ–ფრინველი მთისია,
ხელსაყრელია ყველასთვის
წყარო, ნაჟური კლდისია,
სამეჯლიშოდ აქვს კაცებსა
ყანწები ჯიხვებისია,
როს მიუხედით კარზედა,
როდისა ვკითხეთ – ვისია?
მაგრამ თუ საწყალთ გაიგეს,
ვინაც კაცთ შორის ჰრევია,
რომ ჩვენ არ ვწუნობთ არწივებს,
რაც უნდა იყოს ბევრია,
არც მგლებს და ვეფხვებს, არც მელებს,
ნადავლი დაუთრევია, –
წყევლას გვეტყვიან: მთა მთას ჰხვდეს,
ხევს მიეჯახოს ხევია,
რადა? და მადა, არ ესმისთ
მათ მოსაზრება ჩვენია,
ვერ შეიგნებენ, რომ მთები
არწივთ ნავარდსა სჩვევია,
არ ვთვლით ზარალად, რაც სისხლსა

სთხევენ და დაუთხევია.
არ ესმისთ, რომ ღმერთს გვაყვარებს
მთად მოარული დევია;
იმას რომ ვხედავთ, ვლოცულობთ,
ყველა ამის ვართ მთქმელია,
რომ არ აიღოს უფალმა
საწყალს მთებზედა ხელია;
გვაცხოვროს მადლიანადა,
არ ვიყვნეთ ცოდვის მქნელია,
არ გაბატონდეს ჩვენზედა
ბოროტი, კარგის მსრველია...
„მთათა ბუნება არ სწყრება
სხვადასხვა ენათ სმენითა,
ისევე ვსტკბებით ღმუილით,
როგორც შურთხების სტვენითა.
ჩვენ როდი უშლით დათვ-მგლებსა,
თავი გაირთონ ლხენითა!
კაკაბი, როჭო, არწივი
სხედან თუ ვლენან ფრენითა,
ამბობენ, რაცა სწადიანთ,
თავის მშობლის ენითა.
ვით დაუწუნოთ სვავებსა
გრძნობის გამოთქმა ქშენითა?
ყორნები დაყრანტალებენ,
ყვავნი ჩხავიან კრებითა.
როცა არწივი თამაშობს,
გულს ინავარდებს ყეფითა;
წყალნიც მიდიან, მოსთქვამენ
ათასნაირის ხმებითა.
ნუთუ ეს სხვადასხვაობა

არ მოვიხსენოთ ქებითა!
ყველა ერთს ხმაზე ვამღეროთ,
დავკარგოთ დიდი ლაზათი?!.
სით შევიგუოთ უმსგავსი
უმსგავსთა კაცთა ადათი?
იმაზე ცუდი რაღაა,
განვსხვავდებოდეთ არათი? ...

... ჩვენ, უენპირო ბუნება,
სხვა ვართ, კაცთაგან ვსხვავდებით:
მეტი მადლიც გვაქვს, მოთმენაც,
ძალიან არა ვცხარდებით,
როცა რამ უსამართლობა
ხდება შემთხვევით, ან ნებით,
და კაცთაც, ჩვენის მადლითა,
ყველაფრად გამოვადგებით.
კაცთ ვერ დაუგმობთ დრტვინვასა,
რადგან ცხოვრება კაცების
გამხდარა მხოლოდ სადავლოდ
ძალმომრეობის, ტაცების.
თუ თავად არა უშველეს,
კაცთა სიცოცხლე გაცვდების.
ჩვენი ბუნება სხვა არი,
მას კაცებისა ვერ სწვდების.
ჩვენში ზომა აქვს უცვლელი
გაჩენასა და სიკვდილსა,
ფრინველისგან ფრინველის მოკვლასა
მით არ ვეძახით სირცხვილსა.
უსომოდ ავის ჩადენით
წინ ვერვინ იწყებს სირბილსა.

უხამსობამდის არ მიდის
მთის მტაცებელთა ზნეობა,
და მიტომ არავინ სწყრება,
არვის აკლდება მხნეობა.
შევსება მოსდევს დანაკლისს,
არსად ატყვია მკლეობა.
სავსეა ფრინველ–ნადირით
მთები და იმათ ხეობა.
ჩვენის ცხოვრების სასწვრისა
უღელი მუდამ სწორია,
მით კაცთა ცხოვრებაზედა
ჩვენიდან ძლიერ შორია...

„მთათა ერთობა", 1908 წ.

## მოთხრობებიდან

\+ + +

.... ოჰ, ადამიანებო, თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ კი, ოჰ, ადამიანო!.. თვალებდასისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე და ჩემს ფერის სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გვკრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს...

„შვლის ნუკრის ნაამბობი", 1883 წ.

\+ + +

.... რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა რომ სასარგებლოდ მოიხმაროს.

ვაჰმე, რა საბრალო არი
ია, მოსული მთაზედა!
ბეჩავს დაზრობს სიცივე,
ან ელვას დაჰკრავს თავზედა;
ღმერთს მიუცია საწყლისად
მოკლე სიცოცხლის ჟამია,
ქვეყნისა მისგან შვენება
ერთი ბეჩავი წამია.

ია დაიწყებს კდომასა,
დაიქვითინებს: „ვაჰმეო!
თუ გამაჩინე, უფალო,
დიდი დღე რად არ მამეო?!"

„ია", 1886 წ.

\+ + +

... კლდე ღამღამობით სტირის, რომ არავინა ნახოს და არ დაჰგმოს. ცის ტირილზე მეტია იმის ტირილი. კიდევაც იმდენს ცრემლს არა ჰღვრის, რამდენიც შეუძლიან, შიშობს, ბარი არ წალეკოსო. ეს არავინ იცის და ამიტომ იტყვიან ხოლმე: „კლდეა, მაგარია, მაგან ტირილისა რა იცის, რა ჯავრი მოერევაო". კლდის ტირილს თავდაკიდებით ყურს უგდებენ მთანი და შავს ნისლს შავის ფიქრებისას მუხარადად იხურავენ.

... განა მარტო კლდე კვნესის და სტირის: კლდის გულში სხვა ვიღაც კვნესის, წყვდიადში შემწყვდეული. მეტისმეტს ვარამს იმის თვალებზე ცრემლი შეუშრია, თუ ბევრი უტირნია და ცრემლი გამოჰლევია. კლდეს რა უჭირს, — ცასა და მზეს, დედამიწას მაინცა ჰხედავს, მაგრამ ეს ვიღაც სულიერი კვნესის კლდის გულში, ის ყველაფერს მოკლებულია, ტანჯვის გარდა...

„კლდე მტირალი", 1889 წ.

\+ + +

... დიაღ, სოფელიც ის ორთავიანი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, იანუსიანი ზღვაა, მაგრამ განსხვავებული. როგორ? ერთის თავით თუმც ღმერთ იანუსსავით მჭმუნვარედ გაჰხედავს წარსულს, ხოლო მეორე თავი, იმის მაგივრად, რომ მომავლისაკენ მოიბრუნოს, შავის მიწისაკენ დაუხრია, თითქოს იქ არის დამარხული იმისი მომავალი, თითქოს იქ უნდა ამოიკითხოს თავისი მომავალი ბედ-იღბალიო. სოფელს სწამს, უყვარს წარსული, აწუხებს აწმყო, მომავალს რად უწყრება? იმიტომ, რომ არა აქვს პოლიტიკური იდეალი. უიდეალო ცალკე აღებული ადამიანიც ხომ ასეთია! სოფელი რომ აწმყოს რიგიანად ჰმართავდეს, რიგიანს გზაზედ აყენებდეს, გასამტყუნარი არ იქნებოდა, რადგან ნაყოფიერი აწმყო ნაყოფიერს მომავალს მოიტანს ხოლმე, მაგრამ მაგარი ისაა, რომ აწმყოც თავისებურად ესმის ამ ორთავა ზღვას, თავისებურად, ე.ი. კუჭის მხრით. დაჰვიწყებია, რომ „არა მარტო პურითა სცხოვნდების კაცი". ღმერთი ხომ სწამს და სწამს სოფელს, მაგრამ ხანდახან იმასაც სამდურავს გამოუცხადებს ხოლმე: „შე დალოცვილო ღმერთო, რატომ არ მოჰხედავ სოფელს, რატომ არაფერს უშველი, რად იმეტებ სოფელს, რომ ხან სეტყვას მოუვლენ და ხან გვალვასაო?!" სოფელს თავისი ჭკუა აქვს, ახირებული, ჯიუტი. ღმერთიც უნდა ამ ჭკუაზედ გაატაროს. რა კაი საქმეს იზამდა, მართლაც, ის დალოცვილი ღმერთი, რომ ერთხელ მაინც ჩამოეძახნა სოფლისათვის მაღლიდგან მრისხანედ: „ჩემი ნებაა და არა გშველი, არა ხარ ღირსი და იმიტომაო! მაშინ უნდა გენახათ სოფელი, რამდენს კითხვებს მიაყრიდა დამბადებელს: „რათა, შენ გენაცვალე, რატომ არა ვარ ღირსი, გამაგებინე, შემატყობინე, რომ ისე მოვიქცე, როგორც შენ დამარიგებ, რასაც შენ მიბრძანებ?! ღვთისა წინაშე, მოიქცეოდა კიდეც სოფელი ისე, როგორც

უფალი უბრძანებდა; ამას არა სტყუის, – სოფლისათვის ციურს ხმას დიდი ძალა აქვს...

ეს ზღვა როდის ჰღელავს? მაშინ, როცა სოფლის სიცოცხლე, მისი არსებობა ფათერაკში ვარდება; სოფელი მაშინ აიცქვეტს ყურებს, მაშინ დაიწყებს ტორტმანს, ფიქრს, პირველად მაშინ წამოიძახებს მალაუნებურად: „რათა, რისთვინაო, ჩემო ძმაო?! მაშ სოფელი უნდა დაიღუპოს? ვაჰ, დედას ჩემი მტრისასა!.. აბა, სოსიკო, აბა, პეტრიკო, აბა, ნინიკო, ვიფიქროთ, ჩვენს თავს მოვუაროთ, თორემ ცუდად არის საქმე, ვიღუპებით, კაცებო!"... ამ „რათა", „რისთვინას" დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინც იცის, მაგრამ სოფელი, საუბედუროდ, მანამ არ გაუჭირდება, როდი ხმარობს ამ სიტყვებს. ეს „რათა", „რისთვინა" მიზეზის ძებნას მოასწავებს და ვინც ამ სიტყვას ხშირად იგონებს თავის მდგომარეობის შესახებ და კარგად შეიგნებს, კაცია თუ სოფელი, იგი არ იღუპება, იმის საქმე კარგად მიდის ამ წუთისოფელში.

დიალ, როცა ხიფათი რამ დაატყდება თავზედ, მაშინ იფხიზლებს სოფლის გონება, სოფელი მაშინ ეძებს მცოდნე კაცს. ცოდნას სოფელი პატივსა სცემს. მოემატა სოფელს ხარჯი: „აბა, მცოდნე კაცო, თუ იცი რამ, ეხლა გამოგიჩნდება, – დაგვიწერე ქაღალდი, გაგვიძეხ „მთავრობაში", შეატყობინე სოფლის დარდი და ვარამი, სოფლის ბეჩაობა, გაჭირვება, მოახსენე, ქვეყანა იღუპებაო. ხემწიფე არ დაგვღუპავს, ხემწიფე არ გაიმეტებს სოფელს დასაღუპავად. მაგრამ ემასაც ბევრი მრჩევლები ჰყავს. იმ მრჩევლებზედაც მივართოთ ქაღალდი ხემწიფეს, რომ იმათ არაფერი გაუგონოს. თუ არ იქნებაო, ესეც ჩაგვიწერე: ბარემ მოგვიყუდეთ ზარბაზნები და ცოლ-შვილიანად ამოგვქუჟეთო!"...

„სოფლის სურათები", 1891–1893 წ.წ.

\+ + +

... ვისთვის ვწვალობ, ვინ არის მადლობის მთქმელიო!.. თუმცა დედამიწა ამას ამბობდა, მაგრამ იმავე დროს წინ წამოწვდილს, შორიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფესვებს უდებდა საგზალს... უარს ვერავის ეტყვის ეს ღვთისაგან კურთხეული. ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია. იკურთხოს შენი ძუძუ, ჩვენო დედავ, ჩვენო გამზრდელო, ჩვენო ძუძუს მაწოვებელო!

„ფესვები", 1892 წ.

\+ + +

... „— არ მიკვირს, ძმაო! იმითი ვართ ბედნიერნი, რომ კაცის ხელში არა ვართ, იმას არ შევხედავთ თვალ-წარბში, ჩვენი თავი ჩვენვე გვაბარია სიყრმითვე და არ გვიჭირს ცხოვრება. შენ რომ დაუჩვეველი ხარ, ასეთს ცხოვრებას ვერ აიტან... ეგეთია ადამიანი. ვიცნობთ ჩვენც ადამიანის შვილებს, თუმცა ტყეში ვსცხოვრობთ და ნადირებს გვეძახიან. კაცზე შეუბრალებლები, აგერ ისინიც არ არიან, დამერწმუნე, რომ სადავლოდ ეძახიან ერთმანეთს. — ირემი მგლების ყმუილზე ეუბნებოდა, — შეუბრალებლობა მეტი იქნება? რა დავუშავეთ ჩვენ ადამიანს, რა შევუსვით, რა შევუჭამეთ, რომ ჩვენ არ გვაძლევს მოსვენებას და გვდევს მოსაკლავად!? ...

„უძლური ვირი", 1893 წ.

\+ + +

ვითომ მე ბედნიერი ვარ? ჩემს პატრონს, ჩემს მთიდან მომთხრელს და აქ ბაღში დამრგველს, ჰგონია, ბედნიერება მომანიჭა, რაკი ულრანს, უდაბურს ადგილს მომაშორა და

თავის ზვარში დამრგო. მილით მოყვანილი წყალი მრწყავს. ჩემს ბატონს ჰსურს ბევრი, ბევრი ნაყოფი მივცე. ერთგულად მივლის, მლალაობს; ზოგიც ჩემს გულში ჩაიხედოს, მე რალას ვამბობ! არამია მასზე ჩემი ამაგი. ჩემი ნაყოფი, რადგან გამაუბედურა და ჩემის უბედურობით თვითონ ხარობს. რად? რისთვის მომაშორა ჩემს საყვარელს ბინას. ჩემს საყვარელ ადგილს, სადაც მე პირველად ვიგრძენ სიცოცხლე, დავინახე ცა და მზე.

დიღრონი კაკლის ხე მჩრდილავს. ახლოს მიდგა ვარდი, იასამანი, ზამბახი, ათასნაირი ჩემი უცნობი და უნახავი ყვავილი. ისინი ხმას არ იღებენ, კმაყოფილნი არიან თავის ბედისა, რადგან აქ გაჩენილან, აქ აღზრდილან, – მათი სამშობლო აქ არის და ან კი რა უნდა სთქვან?!. ვის რად დაემდურებიან? მე როდი მთვისობენ, ვეჩოთირები, დამცინიან: „აქ რა გინდა, შე მთიულო, შენა! წადი, მთაში წადი!" ვაზებიც იმათ ემხრობიან ჰო, იმათ კიდევ რამ ეთქმით. ეს უტვინონი, ეს დაღრეცილ-დაბრეცილები რითილა მამეტებენ თავსა? ნუთუ იმითი, რომ მათრობელას იწველიან და ნაწველით კაცთა გონებას აბრმავებენ? რა მეთქმის ან კი! ყველასაც თავისი თავი მოსწონს და ამის გამო სიცოცხლით ხარობს.

ჩადუნაზე უხეირო, უგერგილო მცენარე სხვა რომელია? ისიც კი თავს მამეტებდა, როცა მთაში ვცხოვრობდი: გაზაფხულზე ამოეყუდებოდა, მაღლა-მაღლა წამოვიდოდა, მჩრდილავდა. ვითომ არ ვიცი, მისი აზრი რა იყო? ქოლი დავჩრდილო, ყველამ მე დამინახოსო. ზვრის მცენარეთ რომ იცოდენ, ჩემი სამშობლო როგორი ლამაზიც არის, ხომ ამას არ იტყოდენ და არც იფიქრებდენ. არ იციან, არა! განა იციან, როგორი მიყვარს ჩემი ძველი ბინა? იციან, როგორი მელამაზება იგი? როგორი მიყვარს ის ჩაბნელებული, ნესტით გაჟღენთილი ხევი, ჩემი აღმზრდელი, სადაც მე დიდ-

ხანს ვხარობდი სიცოცხლით. რა დამავიწყებს იმ დიდრონს წიფლებს? რა დამავიწყებს ბუერას, მოცხარს და თუნდ ჩემს მოქიშპე ჩადუნას? პირდაპირ ხავსმოკიდებული კლდე მედგა, ნამობით ცრემლს აწვეთებდა დაბლა სიპებზე და მის თავზე ჩაყოლიება ძირტკბილის ფოთლები გადმოძაბულიყო.

ზაფხულობით ვარდისა ხშირი სტუმარია ბულბული: მთელს ღამეებს აქ ატარებს, გალობს და გალობს, მაგრამ მე მისი გალობა მხოლოდ მწუხარებას მგვრის, მიძინებულს ნაღველს აღვიძებს ჩემს გულში. უყვარს საცოდავს! და განა მე არ მიყვარს?! ის იქვე დარჩა, ველარა ვხედავ თვალით, ვერაფერს ვეტყვი და ვერაფერს მეტყვის, მხოლოდ გონება-ში და თვალებში მელანდება მისი სახე, ვერ დავივიწყე; არც მინდა დავივიწყო, არც იმასთან წასვლა შემიძლიან, რომ ერ-თხელ კიდევ მენახა თვალით; ვის დავაბრალო იმასთან ჩემი გულის დარდები? აქედან იქ არავინ წავა. საბრალოს იმასაც ძალიან ვუყვარდი, რამდენჯერ ეცადა ხევს გაღმიდამ ჩემამდე მოეწვდინა თავისი ყლორტები და მომხვევნოდა, მაგრამ ვერ შესძლო, იმისი გამოწვდილი მკლავები დაკიდებული დარჩა ხევში და ისე გავშორდით, ერთმანერთთან პირი ახლოს არ მიგვიტანია...

„ქოლი", 1901 წ.

\+ + +

იდგნენ და ელოდენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი, უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში, წითლად, სისხ-ლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში. გარეთ, სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა. ეს არის კიდეც ნიშანი მოლოდინისა. ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდუღს და გადმოდის.

მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით? ნუთუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა, ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბშეუხრელად. ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას...

როცა ყველა სულდგმულს, მწერს, ბალახს, ყვავილებს, მდინარეს და მოუსვენარს, დაუღალავს ნიავს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიოხრებენ და ცრემლსა ღვრიან. ჩვენ, კაცნი, მაშინ ვამბობთ: ახ, რა მძიმე ლოდივით ნაღველი მაწევს გულზე.

რატომ არ მღერით, მთებო?! განა ისე უნდა მოვკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო! რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, კარგებო! მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგიპყრიათ, დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნვილა თქვენს გულ-გონებაში?! არა, არა. ხანდახან თქვენც გიხარიანთ, და ქვეყანას კი ჰგონია, ვითომ თქვენ არაფერს ჰგრძნობთ. ხომ ვიცი თქვენს გულში სანთლები დაენთება, როცა ლალი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზედ ჩამოეშვება. რა ლამაზები ხართ მაშინ! როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი. ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს...

არა გაქვთ აზრი? იდეა? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვი-

ლებს?! რაღ მოგყავთ ბალახი? რაღ ადენთ ცივთა წყაროთა? რაღ აქანებთ ზვავებს? რათა ზრდით ლაღთა ხარ-ჯიხვთა? ვის ატყუებთ, თქვე კარგებო!

სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზედ, ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს, მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულ-მკერდში. არაფერია. ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში. არაფერია ეგრევ, თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან. წადით, ვისაც არ გინდათ ჩვენთან მაღლა, ცის ახლოს ყოფნა, დაბლა განისვენეთ.

სდებს თოვლს. ჰყინავს. ცივა. ქვა ტყვრება. მთებს სუდარი ჩაუცვამთ ტანზე, თითქოს მკვდრები იყვნენ. დაგვმარხეთ, დაგვიტირეთო, — გვეძახიან. ჩვენ კი იმათგან მოველით დამარხვას...

სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ. მაგრამ არ იხოცებიან, არც ჰლექდებიან. ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიაღ, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ჰნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმაძღრობაა? სწორედ რომ ისაა.

„მთანი მაღალნი", 1895 წელი

„ვაჟკაცობისას
ამბობენ,
ერთურთის
დანდობისას"



## პოემებიდან

+ + +

... ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითანაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლევდეს,
პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაიწეროდეს,
მითამ საყდარში არია.
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,
იქ დაიწეროს ჯვარია,
დაიპატიჟოს სტუმრები,
დაამწკრიოდეს ჯარია.
სისხლში დაიგოს ლოგინი,
გვერდს დაიწვინოს ცალია,
ბევრი იყოლოს შვილები,
ბევრი ვაჟი და ქალია;
იქვე საფლავი გათხაროს,
იქ დაიმარხოს მკვდარია.
შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.

— „ახლებო, სისხლი გიფუისთ,
სჭრითა და ჰკერავთ გულითა,
გულს ათრევინებთ გონებას,
თავს აჭრეინებთ ცულითა,
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა

მის ვაჟკაცურის რჯულითა!
ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ,
გული-დ გონება ძმანია.

თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
გან ვერ მოვსჭრიდი თავადა?
ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ,
საქმე მოგირთავ ავადა;
რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა;
მთაში წავიღო, არ მითიბს,
არც მარგებს თავის კავადა.
წაიღე, თუ გწამ უფალი,
ნუღარ მაჩვენებ თვალითა.
კაის ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა.
რადა სწყრებიან ხევსურნი,
რადა ტყვრებიან ჯავრითა?!
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!
„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭრი დანითა", –
ვაი, ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა! ...

„ალუდა ქეთელაური", 1888 წ.

\+ + +

... და წყაროს პირზე დიაცი, –
ტურფა, ლამაზი, – ქისტისა,
შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს,
დრო და დრო გული მისდისა.
ბევრი იტირა ჩუმადა,
თუმცა დრო და დრო ჰკრთებოდა,
ზვიადაურის სიკვდილი
თვალებში ელანდებოდა.
სტიროდა, მაგრამ ტირილი
არ იყო, ეხათრებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
მეორით – ღმერთი აშინებს,
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდამ არა ჰქრებოდა.
ქალის გულს იგი სურათი
შიგ გაეყარა ისრადა;
იმან დაადვა ლამაზსა
დაკლულის გლოვა კისრადა.

– „რა დაგიმალო, ჯოყოლავ,
ან რად შემრისხავ თქმისადა? –
ეტყოდა ცოლი და ნაზი
თრთოლა მიეცა ხმისადა: –
ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა.

ძლიერ შემბრალდა ბეჩავი,
რომ უცხოეთში კვდებოდა,
არც ნათესავი, არც მოძმე,
რომ ვისმე შეჰბრალებოდა!
მაგრამ, როს ჰკლავდენ ხანჯრითა,
ოდნავაც არა ჰკრთებოდა.
იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,
მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!..
— მაგისთვის როგორ შეგრისხავ?
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.
იტირე?! მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა.

იმ კლდის თავს, საცა ჯოყოლა
მოჰკლეს ხევსურთა ბრძოლაში,
ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა
ზვავისგან ნაგალს გორაში:
კლდის თავს წადგება ჯოყოლა,
სასაფლაოსკე იმახებს:
„ზვიადაურო, ძმობილო,
რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!
სასაფლაოდამ წამოვა
აჩრდილი ფარ-ხმლიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით
მკლავები სამკლავიანი.
მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ.

იქვე ალაზაც ამოდის
სახე მოწყენით, მწუხარედ.
ენთება ცეცხლი მათს გვერდით,
მკრთალადა ბჟუტავს მთაზედა;
იმათ ჰმასპინძლობს ალაზა,
ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა.
ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთურთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისასა.
როცა მათ ჰხედავს ერთადა
კაცი, ვერ ძღება ცქერითა;
მაგრამ გაჩნდება ჯანღი რამ
კურუმად შავის ფერითა,
დაეფარება სანახავს
წერამწერელის წერითა.
ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,
ვერც შეულოცავს მლოცავი,
არც აიხდება ხელითა.
მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხველითა
და უფსკრულს დასცქერის პირიმზე
მოღერებულის ყელითა...

„სტუმარ-მასპინძელი", 1893 წ.

# მოთხრობებიდან

\+ + +

... შებრალება გვმართებს ერთმანეთისა. იქნება ჩვენც დაგვადგეს მაგნაირი დღე. აბა ჩვენს თავზე ვიფიქროთ, როგორი საშინელი და საზარელი ყოფაა ყოფა უპატრონო, უმწეო სნეულისა: არავინ შემბრალე, არავინ მანუგეშებელი, არავინ ყურის მგდებელი.

„ტრედები", 1889 წ.

\+ + +

ფრიად დაღონებული იყო. ბევრჯერ მოჰშივნია, ბევრჯერ უთხრია ტოტით მიწა და იმით დაუნელებია კუჭის წვა; ბევრჯერ ფუტურო ხე უღრღნია კბილით, გაძღომის გულისთვის. სიმშილისაგან შეწუხებულს ბევრჯელ უთხოვნია ღვთისთვის: „ღმერთო, ჩვენო გამჩენო, მომეც საზრდო, რომ გავძღე, ნუ მომკლავ სიმშილით!.. შენი გაჩენილი ვარ, დამარჩინე უფალო!" – მაგრამ როცა ღმერთს შეუსმენია მისი თხოვნა, მგელს დაჰვიწყნია მადლობის გადახდა. სამაგიეროდ, როცა ამაოდ ჩაუვლია მის თხოვნა–ვედრებას, სამდურავი, საყვედური გამოუცხადებია ღვთისთვის: „შენ ღმერთი კი არა, არ ვიცი რა ხარ. არ იცი შეწყნარება, არ იცი სიბრალული. გევედრები, არ მისმენ; შეგიძლიან აასრულო ჩემი თხოვნა და არ გინდა. რა დავაშავე? მითხარი, რა დავაშავე? რა ცოდვა მოვიმოქმედე?"

...ყველასაგან მოძულებული და ყველასაგან შეჩვენებული დღესაც დაღონებული იწვა უდაბურს ტყეში. ორივე ტოტი წინ გაეწოდა, დიდი სალი კლდე თავზე დასჩერებოდა

და ზურგს უმაგრებდა; მგელი ცის სივრცეს გასცქეროდა. მას სასმელ-საჭმელი აღარ აწუხებდა. მაშ რადა სწუხდა? რად იყო დაღონებული? რას ფიქრობდა ეს ბეჩავი ცხოველი? გიკვირსთ? ნუ გაგიკვირდებათ!.. დღეს მგელი სრულიად სხვა რასმე ფიქრობდა და და ისევ ამ ფიქრით ღმერთს ემდურებოდა: „ღმერთო, რად გამაჩინე მგლად?! რადა ვძულვარ ყველას? რად მომეცი ბუნება მგლისა? რადა ვარ სისხლით გაუმაძღარი? ათასს სულ ცხვარს ერთ ღამეში თავებს გავბალთავ, განა ერთი არ მეყოფა?! რად მიყვარს ხორცის ჭამა და სისხლის სმა?! რატომ არა ვარ შველი, ან ირემი, თუნდ ბეჩავი კურდღელი?.. კურდღლობა მე არ შემიძლიან, არც ირმობა, არც შვლობა... ჩემი ბუნება სულ სხვაა, ეშმაკი მიზის გულში და მიჩანგებს: „გააფუჭე, წაახდინე!.. აგებული დაშალე, ცოცხალი მოკალ, შათქი, შაყლაპე!.. რაც შეიძლო, ბევრი სისხლი დაანთხიე!.. ნუ დაჰზოგავ ნურავის, რასაც კბილი და კლანჭი მიგიწვდება! თესე ქვეყანაზე ვაება, ტირილი და გლოვა, სისხლი და ცრემლი!”... აი ჩემი ნდომა, ჩემი წადილი, ჩემი ბუნება... ააახ!... არ მინდა ვიფიქრო, არ მინდა გავიხსენო ჩემი ცოდვები... ააახ! ღმერთო, ღმერთო, შე დალოცვილო! რა უბედური, რა ყველაზე საწყალი გაგიჩენივარ! და განა მარტო მე? რა საჭიროა ან ვეფხვი, ან დათვი, ან სხვა სისხლის მსმელი ნადირი?.. რას ვაკეთებთ ჩვენ? არაფერს, ცოდვის მეტს. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი არსება თავიდან ბოლომდე დაგვირგვინებული ცოდვაა. არ შეგვეძლო განა ბალახი გვეძოვა და ისე გვეცოცხლა? სისხლის მაგივრად წყალი გვესვა? ჩვენ ყველგან შიშსა ვთესავთ, ჩვენი ყველა სულდგმულს ეშინიან და ყველა გვემტერება. ზოგი, ვისაც ხელის შემობრუნება არ შეუძლიან, გაგვირბის; ვისაც თოფი და ტყვია-წამალი აქვს და გული ერჩის, სასიკვდილოდ არა გვზოგავს... ოოოხ! არა, არა! არა

ღირდა ჩვენი გაჩენა... მე მგლობამ უბედურების მეტი სხვა არაფერი მომიტანა... იქ რა უნდა, რა ესაქმების ბედნიერებას, საცა ქენჯნა და მხილებაა სინდისისა?! რა მქვიან მე? – მგელი. უკარგისს, უმსგავსს სახელს ვატარებ. ნუთუ ამისთანა ყოფნა ყოფნაა, ამისთანა სიცოცხლე სიცოცხლეა?!. არა, ეს მკვდარი სიცოცხლეა. როცა დავდივარ, უსულო და სულიერი ყველა ზიზღითა და შიშით იძახის: „მგელი!"... გასქდი, დედამიწავ, და თან ჩამიტანე! ფუუუჰ!.. ჩვენ როცა გვშიან, ერთმანეთსაც კი ვჭამთ: თვით ჩემი დედა, და-ძმები მგლებმა დაჭამეს და მეც, იქნება... ჰო, იქნება კი არა, სწორედ შესაძლებელია ჩემივე მსგავსის, ჩემის თვისის და ტომის საგლეჯ-საწეწი შევიქმნა ოდესმე. მითხარით, მირჩიეთ, რა ვქნა? რითი ვუშველო ჩემს თავს? საით, როგორ დავახწიო თავი ამ მგლურს ბუნებას, ამ წყეულს, ამ შერჩვენებულ წადილთა და გრძნობა-მისწრაფებათა ხროვას?.. ეეეჰ!" – სთქვა მან და მწარედ კბილები დააკრაჭუნა.

...რად სცრუობ, ვის ატყუებ? შენ, იქნება, ან ავადა ხარ, ან მოხუცდი და აღარ ძალგიძს მგლური ნავარდი და მიტომ მოინდომე გადასხვავება? გინდა იმ ერთ ადამიანივით, სამოცდაათი წელი რომ გარყვნილებაში გაატარა და როცა ყოველი ძალა და ჯანი გამოელია, გარყვნილების მასაზრდოებელი, მაშინ შედგა ბერად სულის მოსაგებად, – შენც სული მოიგო? სტყუი, სცრუობ! – შემოსძახა მდინარემ ქვევიდან.

– არა სტყუის! – დაიჩხავლა ჩხიკვმა, – გულწრფელად ამბობს.

– არა სტყუის! – დაიბუტბუტა კლდემ, მგლის თავზე შავად დაყუდებულმა.

– მართალია, მართალი, არა სტყუის! – დაიგრიალა ტყემ და მიშოლტ-მოშოლტა თავისი ფოთლიანი ტოტები.

– განა, აქაო და მგელიაო, სიმართლეს არ იტყვის,

არაფერი დაეჯერება? — დააკაკუნა კოდალამ.

ხოლო მგელი ხმას არ იღებდა... გარინდებული იყო.

— ვაჰ!.. მე რომ... მე რომ ის... ვიყო? — ბუტბუტებდა და თან დასთვლიმა.

დასთვლიმა და რა მოესიზმრა? ირმად ქცეულიყო, მშვენიერი ტანისა, ბოჯღოჯღლი რქებით შემოსილი, ყელმოღერებული სხვა ირმებთან ერთად დანავარდობდა ტყეში.

მდინარის გრიალი, ხმელი ფოთლების შრიალი და ლაწა-ლუწი შაესმა. ფეხზე წამოდგა... მის პირდაპირ დამთხალი ირმები გარბოდენ.

— ეჰ, გამასწრეს!.. სთქვა მგელმა თავისთვის, — მოვტყუვდი. წავიდენ, წავიდენ! მირბიან, მირბიან!

ხოლო თვალს ვერ აშორებდა, ირმებს თან გაჰყვა მისი თვალები. მონადირემ, რომელიც ირმებს მისდევდა, გაბრიყვებულს მგელს თვალი შეასწრო.

— ირმები თუ გამექცნენ, ეს ხომ აქ არის! — სთქვა მან და გამოუმიზნა თოფი. თოფი გავარდა... და მგელიც წაიქცა...

მოკვდა მგელი...

ამ შემთხვევამ ყველანი გააოცა.

— დიდება შენთვის, უფალო, წინად იგრძნო სიკვდილის მოახლოება, თორემ ვინ მგელი, ვინ მაგისთანა მსჯელობა? — ამბობდა კლდე.

— საწყალი, საწყალი მგელი! — დუდუნებდა მდინარე, — თქვენ არ დაიჯერებთ, ცხონებულია!..

— კრრრიიია! — გაისმა კოდალას კაკუნი. ჩხიკვი კი მაღლა ხის ტოტზე დაფარფატებდა და უგემურად ჩხიკვინებდა... ტყე არაფერს ამბობდა, თავი დაბლა დაეღო და ღრმა, საიდუმლო ფიქრებში იყო გართული.

„მგელი", 1902 წ.

„მით ვაქებ
ვაჟკაცობასა,
არ იყიდება
ფულადა"



# ლექსებიდან

\+ + +

... თქვენთან მაღლურად სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცდაშია;
ვერ მაწონებთ კარგს ყმასა,
რაც არი უჯდება ჭკვაშია!

„ქეიფი", 1886 წ.

\+ + +

... ვაჟკაცს არი ჰშვენის ცრემლის ღვრა,
ქვითინი დიაცურადა.
მტერის ხმალი უნდა საფთხულად,
კვალზედ მიყოლა მგლურადა...

„პაპიჩემის ანდერძი", 1886 წ.

\+ + +

... გობრონო, ხმალი მიბოძე,
უნდა ვემთხვიო ფხაზედა,
ჯვარია ხმალიც, ნარტყამი
კარგის ვაჟკაცის ტანზედა...

„ქებათა-ქება", 1893 წ.

\+ + +

ყველასაცა გვაქვს, ნუ გვკვირთ,
საცხოვრებისო წუხილი!
მაშ რისგან ხდება კაცთ შორის
ამდენი ჭექა-ქუხილი?!
მაინც არ უნდა დავკარგოთ
ციურის გულის დუღილი...

დიდებულს იმას ვემახი,
ვინც ანგარიშის გარეთა
ქვეყნის ჭირსა და ვარამზე
დაიქვითინებს მწარედა.
აბა, ის არის ვაჟკაცი,
ის მიმაჩნია მთვარედა!..

„ყველასაცა გვაქვს", 1897 წ.

\+ + +

ის კი არ არი ბიჭობა,
რო გამაგრებდენ, ჰმაგრობდე;
ბიჭს მაშინ დაგიმახებდი,
თავისთავადა ჰვარგობდე...

„ის კი არ არი ბიჭობა", 1900 წ.

\+ + +

... ბიჭი ის არი, საომრად
ვინაც დაიწყებს ზიდილსა, –
ვინც გამწარებულს სიცოცხლეს
დაამჯობინებს სიკვდილსა.

რას ვაქნევ, აბა, თქვენს გაზდას
თქვენს ქორწილებში სირბილსა? —
ქეიფსა, ლხინ-გახარებას
და დიაცებში სიცილსა,
თუკი არ მაჰხდით თავსა და
თავის ქვეყანას სირცხვილსა?! ...

„ხევსური ბერდია", 1906 წ.

\+ + +

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს,
არავის არა სწყენოდეს?
ვინა, ვინ არის კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?
მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ჰდელავდეს,
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ — მტერსა,
ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრიდეები,
თვალები თვალებს სწველავდეს;
მოციქულობდეს ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს.
ჭრაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.

ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე სისხლგადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.
პირველად ომის დამწყები
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს;
სხვანი იყოფდენ ნადავლსა,
ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს;
მიმღვნილსა საუფროსოსა
ამხანაგებსვე სწირავდეს.
დარაჯად ედგას ლაშქარსა,
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.
სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს.

მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,
მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს.
იქ იდგეს ხმალამოწვდილი,
საც მალა აღმართს ჰკვალავდეს,
დაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს.
სხვისა იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმალავდეს.
მზედ იდგეს ხევსურეთისა,
უხვად შუქს ჩამოჰლალავდეს.
სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი,

კვდებოდეს, არა გმინავდეს;
თავის სამარხად, სუდრადა
მარტო სახელსა სწირავდეს.

ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა,
მკვდრისა ვსვათ შესანდობარი,
წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად — სამარი,
საკაცე — თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი — ნაბდად საფარი,
ქალისა, რძლისა ქვითინი
ეგონოს სიცილ-ხარხარი,
დენა ცრემლისა — ხორხოშა,
ღრუბელთა გადმონაყარი.

სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლალი ლალისა ცხენითა,
წინ მიუძღოდეს არწივი
ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა,
გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა.
ანგელოზები ხარობდენ,
ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა.
აი, ვინაა კაი ყმა,

მოსაგონარი ქებითა!
არა თქვენ, სადიაცენო,
რო ძროხებივით სძღებითა;
ღამე მაძღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა;
თავის ჯამს ჩასცქერით, საქვეყნოდ
არც როს არ გამსდგებითა.
თავისად სცოცხლობთ, მცონარითა
ლეში ალალოთ კვებითა;
გაიგებთ კარგის გარჯასა,
გწყინსთ და შურითა ჰსქდებითა;
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა.
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა!

„კაი ყმა", (ხევსურულ ჰანგზე) ივლისი, 1909 წ.

# პოემებიდან

\+ + +

... მე შენ იარაღნ რად მინდან,
სიმრუდის გზაზე ნავალი?
შინაცა აქვის გოგოთურს
ფარი და ხმალი მრავალი.
აჰა, აბჯარნი, ცხენიცა,
წადი, მშვიდობით ვლიდია,
საცა შენი სთქვა ბიჭობა,
იქავე ჩემიც სთქვიდია...

„გოგოთურ და აფშინა", 1887 წ.

\+ + +

... ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი;
ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა, –
სცადა ფრანგული ფხიანი.
ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!

იმ ცხონებულსა მუცალსა,
რკინა სდებიყო გულადა!
– „რას ამბობ? ქისტის ცხონება
არ დაწერილა რჯულადა.
– „მით ვაქებ ვაჟკაცობასა,

არ იყიდება ფულადა...”
დიდია ჩვენი ბატონი –
გუდანის ჯვარი თავითა,
საყმონიც ძლიერნი ჰყვანან,
ღვთითა და ღვთისა ძალითა.
კარგი ყმა უყვარს ბატონსა,
წყალობა ემეტებისა;
ვაჟკაცნი იმედიანნი
ჩვენს ბატონს ებედებისა...

„ალუდა ქეთელაური”, 1888

\+ + +

... „მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ,
ბევრად სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა.
როცა დრო მოვა... დე, გაქრეს
ბედის ვარსკვლავი ცაზედა!
ცოცხალს კი უნდა ეხუროს
ვაჟკაცსა ქუდი თავზედა;
სიცოცხლეს აუგიანსა
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.
როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება,
ჩემი ცოლი და შვილები, –
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს,
მე თვითონ გავიგმირები”.
დედა-შვილობას, ნუ სჩივი,
ღმერთმა აცხონოს გმირები,
რომ არ წაიღეს საფლავში
ლაფით მოსვრილი პირები...

„ბახტრიონი”, 1892 წ.

\+ + +

... ჩონგურს უკრავდა, დრიოული
კაცი რამ უჯდა გვერდსედა.
დაჰმღერდა გმირობისასა,
მამა-პაპათა ცდისასა:
როგორი არბევდნენ ფშავ-ხევსურით,
სისხლს არ არჩენდენ ძმისასა;
ყველგან მადლობას სწირავენ
მარჯვენას კაის ყმისასა.

ქისტები გაწყრენ, იტკიცეს:
ვერ აუსრულდათ წადილი,
ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს
მის შესაფერი სადილი.
დაკლულმა დაჰკლა მათ გული
და გაუცრუა ქადილი.
შეურაცხყოფილთ უნდოდათ
ერთად გაეძროთ ხანჯრები
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
სისხლით ნალები ფანჯრები.
მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენიანთ:
„ცოდვაა!" – ყველა ჰფიქრობდა.
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა.
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:
„ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?
კარგი ვაჟკაცი ყოფილა,
ყველა ალლაჰსა ჰფიცავდა,

იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა.
მაგრამ „მტერს მტრულად მოექეც" –
თვითონ უფალმა ბრძანაო,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
გულში ჩავურჭოთ დანაო"...

„სტუმარ-მასპინძელი", 1893 წ.

+ + +

... ბიჭობა ათასნაირი,
ათასის სახის მქონეა.
ვისაც სიკვდილი აშინებს,
ის ბიჭად არა მგონია.
თავის გაწირვა ადვილად
ვაჟკაცთა სულის ღონეა.
ვაჟკაცთ დაიცვეს ქვეყანა,
გამრავლდეს იმათ ჯიშია;
ფლიდთა, სულ-მდაბალთ ჯილაგი
რომ გასწყდეს, ისა სჯობია.
გველის წიწილა გველია,
ხოლო ვირისა – ვირია.
კუნელზე ყურძენს არ ჰკრეფენ,
არცა-რა გასაკვირია.
უმსგავსთა, ფლიდთა მომსპობად
გახმეს ფოჩი და ძირია...

„სისხლის ძიება", 1897 წ.

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

... ვსთქვათ ჯერ რამდენიმე სიტყვა საგმირო ლექსებზე. ამ ლექსებში მარტო ის როდია მოსაწონარი, რომ გმირი იბრძვის, – „სისხლი გადასდის მკლავზედა, – არა, ჩვენ უფრო იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რისთვის და ვისთვის იბრძვის იგი? რომელი მოქმედება, თვისება გმირისა უფრო მოსწონს ხალხსა? რაც მოსწონს კაცსა, თვითონ არის ზომა მის ზნე-ჩვეულებისა. ფშაველი – გმირი იცავს თემსა ჯერ ყველაზე უწინ, მერე საზოგადოდ ფშავისხევს და შემდეგ საქართველოსაც...

... ასე გმირობა მხოლოდ ნათესაობისათვის არ არსებობდა ფშავში, იგი იყო საზოგადო, საქართველოს კუთვნილება, ყველა გაჭირვებულის ქართველის ფარ-ხმალი, თავშესაფარი...

„ბიბლიოგრაფიული შენიშვნა", 1887 წ.

\+ + +

მდაბიო ხალხი თუმცა მდაბიოა, მაგრამ იმასაც თავისი საკუთარი აზრი, თავისი საკუთარი შეხედულობა აქვს მსოფლიოზე. ხალხი, როგორც კრებული გონიერ არსებათა, ეძებს მიზეზს ყოველგვარ ამბისას, რასაც კი იმისი თვალი და ყური სწვდება. ყოველ ამგვარს ამბავს თავისებურად გაიგებს, თავისებურს მიზეზს უპოვნის. მდაბიო ხალხის აზრი ბევრჯელ შემცდარი გამოდგება ხოლმე, მაგრამ ხშირად კი მართალი და უტყუარია. ტყუილად არ არის ნათქვამი: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო". იმისი შეხედულობა უფრო იქ არის უტყუარი, სადაც ხალხის გონებას არა ამალადებს რა, არა აჩრდილებს

რა. მაინც ყოველს შემთხვევაში, ღირსსაცოდნელია მდაბიო ხალხის აზროვნობა, იმისი იდეალები და თვით იმისი არსება. ხალხის აზრი, ცხოვრება, იმისი წადილი და იდეალი გამოიხატება იმის პოეზიაში, ზღაპრებში და სხვ.

ძველისძველი ცხოვრება, როგორც ვიცით, მუშტზე, ძალაზე იყო დაფუძნებული. ერთი თემი მეორეს არბევდა, სტყვევნიდა, იმონებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ერეოდა. ვაჟკაცობას, გულადობასა და მკლავს დიდი სახელი, აბრუ და პატივისცემა ჰქონდა მაშინ. თემსაც ძვირად უღირდა ვაჟკაცი; გმირი ხდებოდა საგნად ლექსისა, ზეპირგარდმოცემისა. გმირის ამბით სულდგმულობდა ხალხი, იგი იყო იმისი ნუგეში, ხალხი მუდამ თვალყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს ზნეხასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნებისამებრ ზნეობრივსა და ფიზიკურს თვისებას, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველმხრივ.

ფშავლების პოეზია უფრო გმირულის ხასიათისაა, განსაკუთრებით ძველის დროის ლექსები. ეს ადვილად გასაგებია იმისთვის, ვისაც კი უსწავლია ძველი, წარსული დრო საქართველოსი საზოგადოდ და მთიელის ქართველებისა კერძოდ. ძველი დრო, როგორც ზევითაცა ვსთქვით, იყო დრო გმირობისა და ვაჟკაცობისა. საგმირო საქმეებით სავსე იყო ძველი ცხოვრება, მაშ რაზე ემღერა ხალხს, თუ არა გმირობაზე?! ვაჟკაცობა იყო მაშინ პირველი, თავი და თავი ღირსება კაცისა. სხვა გზით, თუ არა ვაჟკაცობითა და ვაჟკაცის გმირობის წყალობით, თემს ერთი დღე სიცოცხლეც არ შეეძლო, იგი უნდა შემუსრვილიყო და გაწყალებულიყო. ფშავლის საიდეალო გმირი განსაკუთრებული ფშაური გმირია...

... გმირი ფშაურს ლექსებში „ვაჟკაცად", „კაი ყმად" იხსენიება: იგი თემიდამ გამოდის, თემს ემსახურება, იმის გულისათვის იბრძვის. გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო

საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ. გმირი გარეგნობით არა ჰგავს მზესა და მთვარეს. იგი თავისებურად არის ლამაზი: „სვილისფერია", „შავგვრემანი". „ქალისპირია" ვაჟკაცი გმირად არ გამოდგება. ფშაველის აზრით, იგი მხდალია...

... დიაღ, ქალისპირია, ქალივით თეთრი და ლამაზი, კოხტა-პრანჭია ვაჟკაცი გმირად არ ვარგა, ვაჟკაცობას ვერ გასწევს. გმირისთვის გარეგანი სამკაული, ფშაველის აზრით, ფუჭია, საქმე შინაგანი ღირსებაა. გმირი ამიტომ იარაღის საზიკებს – ოქრო-ვერცხლს – არ მიჰხედავს ტანზე სატარებლად. ხშირად გმირს ლექსში ვხედავთ, რომ თხის ტყავი აცვია. „თხისტყავიანი" გმირის ეპიტეტია, როგორც „ლურჯა" იმის ცხენისა. გმირი ცბიერობას არ მისდევს, აუჩქარებელია, პირდაპირი, ნამუსიანი. გმირი, ფშაველის აზრით, ქალის სიყვარულს არ უნდა გაეტაცებინოს; მექალთანეობა დამამცირებელია ვაჟკაცისა. იგი მდედრს პლატონის თვალით უცქერის, ყველასი ძმაა და ყველანი იმის დები არიან, ვინც კი გმირის თემისაა და ვისაც კი ფშაველობა ეთქმის. სოფ. ახალს ესხმიან თავს ქისტები. ციხე აიღეს და წაიყვანეს ტყვედ მშვენიერი ქალი, რომელსაც იმდენი სამკაული აქვს ყელსა და გულმკერდზე, რომ ქალს უძნელდება მისი ტარება: „ყელი ჩამაქვს მძივსაო", შეჰხვდებით ლექსში. ეს ამბავი გმირმა გიგლიამ შეიტყო და გამოუდგა მეკოპარით. თუმცა ქალის მამასთან მტრობა აქვს, მაგრამ ვაჟკაცური გული გიგლიასი, დამყარებული საზოგადოდ თემის სიყვარულზედ, აენთო. გიგლია გზაში მეკოპრეებს წინ უხვდება...

... ვაჟკაცს, ფშაველის წარმოდგენით, სიდარბაისლე უხდება. გმირი თავს არ უნდა იმსუბუქებდეს და თავისს ვაჟკაცობას ჭკვიანურად უნდა ხმარობდეს. გმირმა თავისი ძალ-ღონე წარამარა საქმეს არ უნდა შეალიოს, უბრალოდ არ დახარჯოს, არ დაახურდავოს. დიდი, საგმირო საქმე როდესაც გაჩნდება, მაშინ უნდა იკრას ხმალზედ ხელი...

... გმირმა ისეთის საქმისათვის უნდა მოიკლას თავი, რომ ჰღირდეს სიკვდილად და სახელად. ეს საგმირო, ღირსი თავის განწირვისა რაღაა, რა საგანია? ...

... გმირი იმდენად თავის თავისთვის არა ცოცხლობს და იმდენს არ აკეთებს, რამდენსაც თემისათვის, მაგრამ ამ სამსახურისათვის სახელის მეტი არაფერი ჰრჩება. მხოლოდ ხატობის დროს ხევისბერი განსაკუთრებულ დიდის თასით გმირს საკარგყმოს (კაი ყმა) ასმევს. გმირი ხდება საგნად ქება-დიდებისა ლექსებში. სიკვდილს შემდეგ მთელი თემი ჰგლოვობს, ხატობის დროს ოფიციალურად ისმის გმირის შესანდობარი. ჯერ ხევისბერი იტყვის და მერე დიდი და პატარა მოაყოლებს შესანდობარს. დიაღ, გმირი მსხვერპლია სოფლისა: სხვას აძღობს, თითონ მშიერია; სხვის სიცოცხლისათვის მებრძოლი თითონ სიკვდილს ეძლევა პირში. აი, ლექსი, რომელსაც საფუძვლად კერძო ამბავი აქვს, მაგრამ საზოგადო აზრი კი ისაა, რომ გმირი თავისის თანმოძმისათვის მუდამ თავს დასდებს...

„გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით", 1889 წ.

\+ + +

... ძველ დროში ვაჟკაცი სცდილობდა სახელის მოხვეჭას ომის, ბრძოლის ნიადაგზე და ჩალის ფასადაც არავინ იყიდდა შოთას მიერ წამოყენებულს გმირობას მოლექსეობაში: „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა". დღევანდელმა გართულებულმა ცხოვრებამ ბევრნაირი ასპარეზი გამოაჩინა სახელის მოსახვეჭად, თუმც კი დღევანდელს ადამიანში იგივე ძველის-ძველი მხეცი ბუდობს და ყველა სხვა უნარზე წინ გულოვანობა-ვაჟკაცობას აყენებს. ძველებური ფსიხოლოგიის დასკვნით, თუმც პურადობაც ვაჟკაცობაა, მაგრამ გულადობა სამჯერ მეტია...

„ძველებური ომი და საომარი იარაღი სახალხო პოეზიაში", 1914 წ.

„დღეს სტუმარია
ეგ ჩემი, თუნდ
ზღვა ემართოს
სისხლისა"

## პოემებიდან

\+ + +

... სტუმრად მოსული უცნობი,
სტუმარს პატივს სცემს სხვისასა,
ფეხზე ადგომა წესია,
წესს ვერ დაარღვევს მთისასა.
მაგრამ რომ ნახა უცნობი,
ფერი დაეღო მგლისაო;
ადვილად აიცნობოდა,
რასაც ფიქრობდა ისაო.
არ ეჭაშნიკა დროულს ქისტს
დანახვა უცხოს ყმისაო.
გული სცემს ბრაზმორეული,
სახეც არ ჰმალავს ამასა,
ხანჯრისკე ხელი მიუდის,
ჩუმად სინჯავდა დანასა,
მაგრამ სტუმარი სხვის სახლში
ვერ გაჰშლის ხათაბალასა.
ადგა და ჩუმად გავიდა,
თითზე იკბინა მწარედა,
სამჯერ ჩაიკრა გულს ხელი,
როცა გავიდა გარედა.

„რას სჩადით? – შემოუძახა: –
ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?
ჩემს რჯულსა ვფიცავ, სისხლს დავღვრი,

განანებთ ბრიყვულს ქცევასა,
განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,
ჩემის კაცობის ქელვასა!"...

დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
მითაც მე ვერ ვუღალატებ,
ვუცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.
მე გთხოვ გაუშვა, მუსაო,
ნუ სტანჯავ უდიერადა,
როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარით ავადა.
ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
რა დავაშავე ისეთი,
რომ მომიხედით კარადა?
თვის რჯული დაგვიწყებიათ,
მიტომ იქცევით მცდარადა;
ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?
სახლში ხართ, განა შარადა!
ვაი თქვენ, ქისტის შვილებო,
მომდგარნო ჩემს კარს ჯარადა!
უიარაღოს აწვალებთ,
გული რასა ჰგრძნობს თავადა?" ...

„სტუმარ–მასპინძელი", 1893 წ.

„ჩვენ ვიტყვით,
კაცნი ჩვენა ვართ,
მარტით ჩვენ
გვზრდიან დედანი"



## პ ო ე მ ე ბ ი დ ა ნ

\+ + +

... მუცალს არი სწადის სიკვდილი,
ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,
მაჭკლეჯს, დაიფევს წყლულშია
მწვანეს ბალახსა მთისასა.
ერთიც ეხროლა ალუდას,
ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.
თოფიც ალუდას გადუგდო,
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:
— „ეხლა შენ იყოს, რჯულძაღლო,
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა".
სიტყვა გაუშრა პირზედა,
დაბლა გაერთხა მიწასა.
ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.
თავით დაუდვა ხანჯარი,
ზედ აკრა სპილოს ძვალიო,
გულზედ ძეგლიგი დაადვა,
მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
იტყოდა: „ცოდვა არიო;
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,

შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
ნუმც ხარობს ქავის კარიო,
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!"

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქმენანი.
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
ღთიშვილთ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!
ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწყრა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
„დაე დააკლდეს სახელსა,
მე გირჩევნივარ მრჩევლადა!"

— „გაურჯულებელს არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა,
ქისტისად საკლავის დაკლა
კარგად არ მოგიხდებისა.
მამით არ მოდის ანდერძი,
პაპით და პაპის-პაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა;
ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა
როგორ ამოგცდა ბაგითა?!

რამდენ სხვა მაჭკალ, შენს ქავზე
ხელებ ჯღრიდესავით ჰკიდია,
ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის,
მარჯვენეების ხიდია;
ცივანიც არვის დაუკალ,
განლამც კურატი დიდია.
როგორ ვახვეწო უფალსა
ძაღლი, ძაღლების ჯიშისა,
მანამ სჯობს, ცანი დამექცნენ,
ზურგი გამისკდეს მიწისა,
ან თუ ზღვამ დამთქას უძირომ,
სადილი ვსჭამო ქვიშისა!”
ფერი ედება ბერდიას,
ფერი სხვა-რიგის შიშისა.
– „ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო,
ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,
ხევსური თქვენის წყლისაო,
მითომ ერთნი ვართ, ბერდიავ,
მცხოვრებნი ერთის მთისაო.”
– „ტყუილად სცდები, ალუდავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო”...

„ალუდა ქეთელაური”, 1888 წ.

\+ + +

... იქიდამ კვნესა მოესმა
გულიდამ ამობერილი,
ჰხედავს: ვეფხვი წევს ტოტ-გაწვდით
კლდის თავს გულგამობერილი;

და მონადირეს უცქერის,
მისკენ თვალგამოჭყერილი,
წელსა და ტოტებს უმშვენებს
ზოლები ჩამოწერილი.

კლანჭი სტკიოდა ბეჩავსა,
გულს მოლმა მაერეოდა,
სისხლი ნადენი ტოტითა
მდინარეს შაერეოდა
და წყალთან ერთად ისიცა
უფსკრულში ჩაერეოდა.
კვნესოდა, როგორც ვაჟკაცი
მტერზე ჯავრ-ამოუყრელი,
მუდამ მდებარე მტრის ფეხ-ქვეშ,
ვით მთა ჯანღ-გადაუყრელი.
 — რა უცდი, მონადირეო,
დაჰკარ, ხომ ვეფხვიც მხეცია!
— არ დავკრავ, ძმაო, რო მამკლა,
როდი გახლავარ ბეცია!
ეგეც ჩემსავით ნადირობს,
კალთები აუკეცია,
ნადირობაში მაგასაც
მთა-ბარი დაუკეცია.

ნადირმა იცნო თვარელი
მონადირისა წესზედა,
მივიდა მასთან კოჭლობით,
ტოტი დაადვა ფეხზედა.
მონადირემაც გასინჯა
თავის ძმობილის წყლულია

და ამოუღო კლანჭიდამ
სიპი მომსხო და სრულია.
ნაშალი კლდისა სალისა,
ნაგალი ღვარითა, ზვავისა,
და გალესილი ნისკარტით
ღამის მთეველისდ სვავისა.
ნადირობაში შაეჭრა
ვეფხვსა მამაცი ტოტია,
ჯიხვისად დატევებულსა,
იქ, სადაც ქვა და ლოდია,
თვარელმა წყლული შეუკრა
ვეფხვსა ნაკუწით ჭრელითა
და ჩირქიც ამოუფხიკა
წყლულიდამ დანით მჭრელითა.
ვეფხვი გაბრუნდა მაშინვე
კუდის მოქნევით, ჭრელითა,
და გადაირბინა, მთა–ბარი,
როგორც მიმინომ ფრენითა...

„დაჭრილი ვეფხვი", 1890 წ.

+ + +

... ერთს დღესა გველი, ვით ნისლი,
გაწოლილიყო ხეზედა,
წიოდა გულჯავრიანი,
თანაც თბებოდა მზეზედა.
ამ დროს შაესმა კვნესის ხმა
ჯაგარაშლილსა გვერდზედა.
გაჰხედა, ნახა, — კაცი წევს,
სულის მაბრძოლი, ეული,
გასცქერის ცისა სივრცესა
სასომიხდილი, სნეული;
მკერდზე ატყვია მიმხმარი
სისხლი წყლად ამორწყეული.
გველს შაებრალა ლუხუმი,
მისკე წავიდა ზლაზვნითა,
მიაშრიალებს ხმელს ფოთოლს
დიდრონის ტანის გლარზვნითა,
ზედ დააშტერდა სნეულსა
თვისის გველურის სახითა,
დასცქერის სულის მაბრძოლსა
გულის მზარავის თვალითა.
დაფიქრდა გველი ძლიერად,
გული ევსება ბრალითა.
ბევრის ცოდვების მოქმედსა
გადაუბრუნდა გუნება,
რა სიბრალულით იმსჭვალვის
მისი გველური ბუნება!
ზედ გადაანწვა მკერდზედა,
წყლულსა ულოკდა ენითა.
თან მკერდს უსველებს მხედარსა

ცრემლების ჩამოდენითა.
აყრუებს ტყესა და ველსა
ოხვრითა რამოდენითა!
მთელს ერთს თვეს ასე უვლიდა
ადამის ტომის მტერია,
ბოროტების გზა გაუშვა,
კეთილი დაუჭერია!
საჭმელსაც თვითონ უზიდავს,
ასმევს წყალს ლალის მთისასა,
ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს
ორის ობოლის ძმისასა.
ამბობენ: შაამლებინა
სნეულსო ვეხზე დადგომა;
ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა! ...

„ბახტრიონი, 1892 წ.

„ლამაზად შვილის
აღმზრდელი
დედა მიცვნია
ღმერთადა"

# ლექსებიდან

\+ + +

აბა ვინა ხართ, სადა ხართ,
გამოიხედეთ გარეთა!
გილოცავთ ახალსა წელსა,
იცოცხლეთ, გაიხარეთა.
ძალად მოვდივარ მეკვლედა,
თქვენ ხომ არ დამიბარეთა:
სულით და გულით მოძღვნილი
სალამი ჩაიბარეთა,
რაც ვსდუმდი აქამომდისა,
ამაში გამიბარეთა!..
უპირველესი სალამი
ივერის არე-მარესა, –
მისს სისხლსა და ხორცს – ქართლ-კახეთს
და იმერეთის მხარესა,
ბედი და ბედნიერება,
დღეთამც ნუ ჰნახვენ მწარესა,
ვუსურვებ დღეგრძელობასა
სამშობლოს მზეს და მთვარესა:
ნუგეშსა გვცემენ, გვათბობენ
და გვითენებენ ღამესა
მერე სალამი მუშათა:
ცულის და თოხის მქნეველთა,
მწყემსთა და ღამის მეხრეთა,
მინდორში ღამის მთეველთა,
თავის მარჯვენის მადლითა
მთელის ხმელეთის მრჩენელთა.

მწიგნობართ – ერის წინამძღვართ,
ქვეყნისთვის კარგის მრჩეველთა:
რა გვარგებს, რა გვაზარალებს, –
დღე-მუდამ იმის მკვლეველთა
მენამც თავს შამოვევლები
ჩემის სამშობლოს მთა-ველთა!
სალამი მღვდელთა, მოხელეთ,
რომ ივარცხნიან ქეჩოსა!
ვთხოვ ათლეინონ ჩვენსკენა
წალდუნასა და ეჩოსა,
ყველას, ვინც ქვეყნის გულისთვის
გაიძრას, გაიჩეჩოსა!..
არაფერს ვეტყვი საწყენსა
ამ ჩვენს დახლიდარს ხეჩოსა:
იმას მილოცვა რად უნდა,
ოღონდ ფულები ხვეჭოსა
ვაი თუ ფულების გამო
ბოლოს ჟამს გაიბეჭოსა!..
ვუსურვებ, რო გაემარჯვოთ
მშობელის ქვეყნის დედათა!
ერთს ვურჩევ, თუ დაიჯერეს,
სარგოსა მეტისმეტადა:
შვილთა აღზრდაზე იუბნონ,
რო შეიყარნენ ერთადა;
ლამაზად შვილის აღმზრდელი
დედა მიცვნია ღმერთადა
და ყრმათ, ჯერ დაუბუმბლავთა,
ერთგულნი ჰყვანდენ დედასა
და არ შეუდრკნენ ბოლო ჟამს
ბასრის მახვილის კვეთასა,

როცა-კი მტერი მათ მშობლის
შეურაცხყოფას ჰბედავსა,
დიდიმც ექმნება საზღვარი
თქვენთ თვალთ და გულის ხედვასა!.

„საახალწლოდ", 1899 წ.

## პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

... აქ უნდა მკითხველი შევაჩეროთ და მისი ყურადღება სხვა საგანს, სხვა მოვლენას მივაქციოთ. მეტი ჩარა არ არის, უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუ ამ ახალმა დრომ რაღა იდეალი შეჰქმნა ქალისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, რა მიუმატა, რა დააჭდია ქედზე და დაავალა ფშავლის ქალის იდეალს. ეს ამბავი, მკითხველო, ნუ გაგაკვირვებს. ყველა დროს თავთავისი იდეალი აქვს. კაცობრიობაც დროების მოთხოვნილების მიხედვით სცვლის ხოლმე იდეალებს. ფშაველს დრო გმირობისა, ვაჟკაცობისა წაერთო, ხმალი ძირს დასდო, ქალიც გაჩუმდა. მაგარი მკლავი და მაგარი გული თითქმის აღარ არის საჭირო ახალის ცხოვრებისათვის. ცხოვრება გაჭირდა. კუჭმა წამოაყენა ახალი საგნები და იმის იდეალს პრაქტიკული დაღი დაასო...

„ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით", 1889 წ.

\+ + +

დედაკაცს დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში. კაცობრიობა შესდგება სხვადასხვა ერებისაგან, ერები ცალკე ოჯახებისაგან, ხოლო საძირკველი პირველისა, მეორისა და მესამისა არის პიროვნება, ცალი ადამიანი; რამდენადაც მათი შემადგენელი ადამიანები არიან სრულნი, ამაღლებულნი, განვითარებულნი და ბედნიერნი, იმდენადვე ამაღლებულია ოჯახი, ოჯახს გარეშე – ერი, ერს გარეშე – კაცობრიობა. თავი და თავი, მაშასადამე, ოჯახის გონივრულად მოწყობა უნდა ვაღვიაროთ, ხოლო ოჯახში უფროსობს დედაკაცი. დედაკაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში დიდზე და პატარაზე; შვილების პირველ-დაწყებითი აღზრდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დედის ხელშია; დედაა გადამწყვეტელი შვილების ბედიღბლისა, შვილის მომავალი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ დედამ რა შთაბეჭდილებებით ასაზრდოვა შვილის ნორჩი, მაგრამ ღრმად აღმბეჭდი გული და გონება... ამიტომ საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ, ოჯახში და გარედ, საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილისა; დიაღ, ესმოდეს დედაკაცს, შვილი როგორი აღზარდოს შინ, ოჯახში, და გარედ, საზოგადოებაში რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდგან მას შეუძლიან დაამხოს ერი და კიდეც აღადგინოს.

როგორც დღეს, ისე მომავალში დედაკაცი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს ოჯახს და შვილების აღზრდას. თუ ამას ღირსეულად შეასრულებს, დიდს, ძალიან დიდ საქმეს გააკეთებს, დიდს ამაგს დასდებს თავის ქვეყანას. ვინც ამ მოვალეობიდან განთავისუფლებული იქნება, იმას არას გზით არ აეკრძალების არავითარი კულტურული საქმე.

„ქალთა შესახებ", პასუხი „სახალხო გაზეთის" ანკეტისა, 1914 წ.

„უსამართლობა
სიმართლეს
რისთვისა სჯაბნის
ძალათი"





პოემებიდან

\+ \+ \+

... უსამართლობა სიმართლეს
რისთვისა სჯაბნის ძალათი? –
ზოგს ნიჭი მისცა უფალმა,
ყოფა-ცხოვრების დავლათი;
სხვას დაუწესა მკლავზედა
სამთხოვარიოდ კალათი;
ლხინის, ქორწილის შემდგომა
გამწყრალი მოდის მაყარი
და, ერთ დროს მლოცველით სავსე,
დანგრეული სდგას საყდარი;
ზოგს ამოჭშხამდა თვის ლუკმა,
ალალის ოფლით ნაღვარი,
სხვას შეჭრიჩა, კიდეც შაერგო
სარჩო ნაქურდალ-ნაპარი.
გულის სიმთ ამაჟღერალი
სწორედ მიზეზი აქ არი.
განსაჯეთ თავ-თავისადა,
ვისაც რამ გქონდესთ მიზანი:
ფიქრთაგან ერთი მკვიდრია,
ხოლო მეორე – ხიზანი...

„უღბლო იღბლიანი", 1902 წ.

\+ + +

... ღმერთმა გვაშოროს, მოვიქცნეთ
ჩვენც ადამიანთ გვარადა:
თუ ერთმა მეორე ერი
დაიპყრო, დაიმონავა,
გაანადგურებს, გაჰქელავს,
არ შაიბრალებს ოდნავა;
სულს აძრობს, ჰკვეთავს ენასა;
არ ათქმევინებს სათქმელსა
თავის ენაზე, თვის რჯულზე
არ ანთებინებს სანთელსა.
ვინ მოსთვლის, უსამართლობას
საწყალს დაჰმართებს რამდენსა?
ღმერთმა გვაშოროს, არ ვიზამთ
ჩვენ მაგისთანა რამესა!..

„მთათა ერთობა", 1908 წ.

## მოთხრობებიდან

+ + +

... დუქანი სოფლის „კანცელის" განყოფილებაა. განსამართლება იქიდამ იწყება ხოლმე და თვით სამართალიც ღვინის რუმბში ჩაუმწყვდევიათ სოფლის მოხელეებსა. საბრალო სამართალი რუმბში ზის მობუზული და თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის ლაპალუპით.

„ჩვენი სოფელი", 1889 წ.

+ + +

... ქუდი დადე და სამართალი ჰქნო... ეჰ, რა ვუთხრა კაცის სამართალს!.. ქვეყანაზე მართალი არავინაც არ არის, თუ მე მკითხავთ, ისეთი მართალი, რომ ცოდვას არა სჩადიოდეს... გაიძვერა რადა ვარ, ჩემო ძმაო! თავის სარგებლობის გულისათვის ყველაც გაიძვერა ხართ...

„ტრედები", 1889 წ.

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

... ვინ არის მართალი? – მხოლოდ ძალა და ძალა, რომელიც აღმართსა ჰხნავს; – ამოღებული ხმალი, რომელიც დრტვინვაზე, უკმაყოფილებაზე, თავს უპობს, რად დაგებადა წინააღმდეგობის ფიქრიო. ხიშტი, რომელიც უამისოდაც სისხლცრემლიან ადამიანის გულსა ჰგმირავს, – რადა ხარ უკმაყოფილო, რადა სტირი, რადა სჩივიო? – ბორკილი, დიდი მძიმე ბორკილი, რომელიც უნდა დაედვას ადამიანის ბაგეს, მის ენას, რათა არ გამოაცხადოს თავისი უკმაყოფილება, არა სთქვას ის, რაც უჭირს, რაცა სტკივა, არამედ იყოს ჩუმად, მოკრძალებით, მოწიწებით, მუნჯად, ცოცხალ-მკვდრად...

„ვინ არის მართალი?", 1905 წ.

\+ + +

რას მომაგონებს მოღრუბლული, გაშავებული ცა, რომელიდამაც ელვა გამოვარდება, მოდის წვიმა, ხან სეტყვა, ხშირად მეხიც ჩამოვარდება და კაცს ზიანს აძლევს; ცხოველები თრთიან, მცენარეთაც კანკალი აიტანს, ბუნება გამტკნარებული, სულგანაბულია?

ეს მოვლენა მომაგონებს გამბედავს, სიმართლის მოყვარულს კაცს, რომელიც მართალს მეხსავით თავს დასცემს ხოლმე; ის ბევრს აწყენინებს, მაგრამ მისი სიტყვა კაცობრიობის წყლულს მალამოდ დაედება, მისი სიტყვა გაალვიძებს კაცობრიობის გულს, როგორც წვიმა გამხმარ დედა-მიწას...

... მე ცხოვრება ზღვას არ მომაგონებს, არამედ კუზიანს ბრმას, ჯოხზე დაბჯენილს მთხოვარა ბებერს, რომლისთვისაც ხელი-ხელში ჩაუჭიდნია ბალღს და ატარებს კარი-კარს: „გაიკითხეთ ღვთის გულისთვის ბრმა უსინათლო".

„ქვეყანაზედ რა მოვლენა რას მომაგონებს", 1886 წ.

„ბულზედ მეზვენა
მზე–მთვარე,
ვლაპარაკობდი
ღმერთთანა”



## ლექსებიდან

\+ + +

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა:
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მერე რჯულადა.
ეხლა თავ-თავქვე მოვდივარ,
ხევში მიმელის ბნელია,
თან მიმდევს ფიქრი მწუხარე,
გულის, გონების მწველია.
მაღლიდამ დაბლა ჩამოსვლა,
ვაჰმე, რა მეტად ძნელია!
წამლობას ველარ გამიწევს
ეხლა ცრემლები ცხელია,
რად მოვალ, თავქვე რად მოვალ,
ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?
იმ მთას თავს რისთვის ვანებებ,
თუნდ ვიქცე ტანჯვის ფიალად?! …

„მთას ვიყავ", 1890 წ.

\+ + +

... მე წავალ, აქვე დარჩება
ქედი მაღლისა მთისაო;
სხვა ყველა ცვალებადია,
უცვალებია ისაო.
ცოცხალთ თვალთ სალაღობელი
როგორი ამაყად ზისაო! ...

„გამამერია ჭალარა", 1894 წ.

\+ + +

... უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა
და, როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.
მადლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემომქმედის, მაღალის ღვთისა! ...

„ნუგეში მგოსნისა", 1894 წ.

\+ + +

... ჩემთვის ღვთის პირით ტირილში
სამოთხე დანაპირია,
ტირილით გაუმთელდება
გულს მოტეხილი პირია.
ანგელოზთ გუნდში კი ვმღერი
მაშინ, როს აქა ვტირია...

„შემომღუღუნე, ჩონგურო, 1895 წ.

\+ + +

არც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა,
დავდივარ დედიშობილა,
მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა.
ამ წუთისოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა,
ჩემს გარდა ასეთს ყოფაში
მრავალი სხვაცა ყოფილა.
ყველას სამარე მიგველის,
ვინც დედის მუცლით შობილა.
საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი,
თავი მდიდარი მგონია,
ისეთი, თქვენმა ძმობამა,
ჯერ არვის გაუგონია.
მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში – მთა, ბარად – ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას – ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია,
მდიდართ სიმდიდრით ღილინი,
ბეჩავთ ქვითინი მწარია,
ავდარი, ქინქლი, ცის ქცევა,
ცა მოწმენდილი, დარია;
დილით გაფურჩნა ვარდისა,
მთელი იმისი გვარია;
ია, ულრანს ტყეს მოსული,
თალხ-კაბა, ენა-მტკბარია,
კლდის თავს გაშლილი პირიმზე, –

მთის სასახელო ქალია;
მარგალიტივით მდელოზედ
ბრჭყვიალა დილის ცვარია.
ზამთრის ზვავების ქუხილი,
გაზაფხულს წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტეს კარია.
ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! –
მძინარიც იმას ვდუღუნებ;
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ ვარამზე ვწუწუნებ;
არცროს უსაქმო არა ვარ,
მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ.
ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
ბეჩავთაც გავუზიარებ.
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დავუგვიანებ.
ავის თქმით, ავის ქცევითა
გულს არვის დავუზიანებ.
ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! –
მძინარიც იმას ვდუღუნებ;
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ მაგივრად ვწუწუნებ;
ხანდახან ქინი ამიღებს,
სიმღერას დავაგუგუნებ.

„სიმღერა, ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს", 1896 წ.

\+ + +

რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოვედ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავ მუდამა
ღრუბელთ გულ-მკერდის მძივადა,
მიწაზე გადმოსაგდებად
ცვარად ან თოვლად ცივადა?
არ გამწირავდა პატრონი
ასე ოხრად და ტივლადა!

ცაშივე ამიტაცებდა,
თან მატარებდა შვილადა,
ასე არ დამჭირდებოდა
სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა.
მზის მოტრფიალე ვივლიდი
სიკვდილის გამაწბილადა;
მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი
მე მექნებოდა წილადა.

გავიხარებდი, მთა-ბარსა
ოდეს ვნახავდი მწვანედა,
მორწყულსა ჩემის ოფლითა
ყვავილებს შიგნით, გარეთა.
გადავუშლიდი გულ-მკერდსა
დღისით მზეს, ღამით მთვარესა,
სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი
მომაკვდავ არე-მარესა...

„რამ შემქმნა ადამიანად?", 1913 წ.

## პოემებიდან

+ + +

... „მე პური არ მინდა, დედაო,
გული შამეკრა რადამე,
წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,
რიგში ვიყოდი სადამე.
წინ გვედვა მიცვალებული,
ხევსურნ შაწყენით ისხდენა.
სალაშქროდ დამზადებულნი,
ზოგნი კარებზე იდგენა.
მენაც იქ ვიყავ, ვსტიროდი,
როგორც წესია კაცისა.
გუმანი მქონდა სალაშქროდ,
ხანიც მოვიდა წასვლისა.
ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,
ტარი ჩამიდვა ხანჯრისა.
შავხედენ, მუცალი იყო,
ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,
გულზე ემჩნივა ნიშანი
მე-დ იმის ბრძოლის წამისა,
ეფინა ნატყვიარშია
ლეგა საფევი ბრძამისა.
კლდეჲდ იდგა, გაუტეხლადა,
ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.
„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
მამკალო, მითხრა ხვეწნითა.
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
მე კი წავიდე ქვეყნითა,

დაძელით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა.
დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,
კაცის ხორც იყო წვნიანი,
ვსჭამდი, მზარავდა თუმცაღა
კაცის ხელ–ფეხი ძვლიანი.
რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
უმსგავსი, შაჩვენებული.
„ჭამეო, – რამამ მიძახა,
ნუ ჰხდები გაშტერებული:
კიდევ მიმირთვით ალუდას
წვენ–ხორცი გაცხელებული.
მიმატეს კაცის ულვაშით
წვენ–ხორცი შანელებული"...

„ალუდა ქეთელაური", 1888 წ.

## მოთხრობებიდან

\+ + +

... არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. ღმერთს ესე დაუწესებივარ: უნდა ვიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი... ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი, მერე დამლევს, ჩამნთქავს უსარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა. როგორც უნდა, ისე მათამაშებს. თითონ ხომ ღრიალებს, ბორგავს აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა და მიათრევს, მეც იმასვე ჩამადენინებს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები...

„მთის წყარო", 1888 წ.

\+ + +

... გარშემო მარტყია მაგრად დაჭედილი ლოდები. ვინ იცის, სადამდე აქვთ გადგმული ძირი; ზოგი ამათგანი ყურსაც არ მიგდებს, თითქოს არც კი ვარსებობდე; ისინი თვალდაშტერებით დასცქერიან უფსკრულს. რას ეძებენ, რა დაუკარგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკითხო. რაღასაც ფიქრობენ, უსაზღვროა იმათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს, ალბად, დარდი რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელი და გულმაგარია ჩემი დედა; იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ჭექა-ქუხილით თავზე დაგვაწვება ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თით-

ქოს დაისვენაო, მშიშედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდეც სტირის. მეც ვსტირი მაშინ, დედის ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ. დედაჩემი თავისს დახოცილს შვილებსა სტირის, რომლებიც მუდამ თვალწინ უწყვია; ბევრიც რომ უნდოდეს, თვალს ვერსაიდამ მოაცილებს. კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ ჰყრია. ერთი-ერთმანეთზედ, კლდის მუმუთგან მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯი...

... ვინ იცის, თუ მე პირიმზე მიყვარს? მაინც რაა ასეთი სიყვარული? მე იმასთან ვერ მივალ, ის ჩემთან, ერთმანეთს ვერ ვაკოცებთ. ასეთი სიყვარული სასიამოვნო ტანჯვაა. მოუთმენლად ველი განთიადს, მაშინ დავინახავ ხოლმე ჩემს სატრფოს. როცა ზამთარი დადგება, ჩემი გულიც მაშინ ჩაშავდება და პირიმზეც მიწაში ჩადნება. ნეტავი მეც ჩავდნებოდე, რომ ეგებ ერთი ჩემი ნაწილი შეხვდებოდეს იმისას პირისპირ. დადგება გაზაფხული, პირიმზე ცოცხლდება და მეც მაშინ ვცოცხლდები. მავიწყდება ჩემს ქედზედ მოკიდებული ხავსი და ობი, თავი პირიმზე მგონია და გიჟივით ვამბობ: შენი ჭირიმე, ლამაზო, შენი!

ნეტავ ვიცოდე, სად მიდიან ზამთრობით ყვავილნი? ვგონებ, ამას სიკვდილი ჰქვიან. ვინ მასწავლა მე სიტყვა სიკვდილი? აი ამ ლოდმა, ჩემს გვერდზედ რომ ცხვირი წამოუშვერია და მრისხანედ დასჩერებია ქვეყანას. ამან და იმ ორასის წლის ბებერმა არწივმა. არა, სიკვდილი კარგი არ უნდა იყოს. გუშინ რომ მაგ დაუსვენარმა ბებერმა ერთი როჭო შეყლაპა ჩემს თავზედ, რამდენსა ჰკვნესოდა საბრალო და ის კი შეუბრალებლად სწიწკნიდა, ჰგლეჯდა თავისის ალმასის ნისკარტით.

— ქუჩო, ბენტერავ, მაგასა ჰქვიან სიკვდილიო! — წამომჩურჩულა ლოდმა...

„ქუჩი", 1892 წ.

# „ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს"



# ლექსებიდან

\+ + +

... საიქიოდამ სახდომი
ზღუდე არა სჩანს ხიდისა.
ტიალი წუთისოფელი
მიდის, მიდის და მიდისა...

„ცაზე იარე, მთვარეო", 1895 წ.

\+ + +

... სიკვდილისათვის ერთია
მდიდრის და საწყლის ცხოვრება...

„მრავალმა ხმალი აგელა", 1900 წ.

\+ + +

იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს მზესა, ინანებს,
განა სულ მუდამ მზეაო!
მიწავ, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,

შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო.

„იას უთხარით ტურფასა", 1903 წ.

\+ + +

... დაკრული სარგოდ მომიხდა,
თუმც სამავნებლოს ეცადა,
რამდენიც დამკრა, იმდენი
მე ავიწიე ზეცადა.
ადამიანად ვისახვი,
მშობლები დარჩნენ მხეცადა...

„ცხოვრებამ არ შამიბრალა", 14 იანვარი, 1904 წ.

\+ + +

გულო, არ გასტყდე, გამაგრდი,
კლდეო, კლდედ იდეგ სალადა!
რა ვქნათ, რომ ჯანღი გვეხვევა,
მეცა გყევივარ ავადა.
ცდა გავუქარწყლოთ საწუთროს,
ნუ დავბერდებით შავადა...

„გულო, არ გასტყდე!", 1904 წ.

\+ + +

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,
ყელ–მოღერებულს იასა,
სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველს,
იმის სიტურფეს ღვთიანსა,

ამწვანებულსა მთა-ბარსა,
დამწყაზრულს, ყვავილიანსა.
კიდევაც ვნახავ, ცა სჭექდეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,
აღარვინ იტანჯებოდეს
და აღარცვისა ჰშიოდეს;
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ყიოდეს;
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს.

გუშინწინ ვნახე, გუშინაც,
გველი სწამლავდა იასა,
აშლიდა შხამსა და გესლსა,
ვერ კი აძლევდა ზიანსა.
დღეს ვხედავ, ია მთელია,
სუნნელოვანი, ნაზია,
ვუცქერ და ვამბობ იმასვე:
რა ტურფა, რა ლამაზია!
გველი დაღოღავს მუცლითა,
ახრჩობს ბოღმა და ბრაზია.

კიდევაც ვნახავ, უხვადა
ვარდნი, იანი ჰყვაოდენ,
ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი,
ვინაც გუშინა ზვაობდენ;
შხამის და გესლის მთესველნი
მოისპნენ, არარაობდენ,

ჩვენის სიკვდილის მსურველნი
ყორნები ვეღარ ჩხაოდენ!

დაჰბერის სიცოცხლის სიომ
მომაკვდავს არე-მარესა,
გაუათასდეს სინათლე
ცაზე მზესა და მთვარესა,
უხვადა სძღვნიდენ წყალობას
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა.
ჩვენც, მსხვერპლნი ძალმომრეობის,
ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა,
ჩიტების ტკბილი გალობა
ისმოდეს ყოველ მხარესა.

ვიხილავ სანატრელს სახეს,
რომ ამდგარიყოს მკვდრეთითა,
გვერდს ედგნენ მისნი ზვარაკნი,
გაფიცულები გვერდითა,
ჭაბუკნი, თავდადებულნი
ტრფიალით მეტის-მეტითა;
ტანს უმშვენებდესთ წყლულები
ერთგულ მამულისშვილებსა,
ანგელოზები დაფნისას
გვირგვინს ადგამდენ გმირებსა.

„კიდევაც ვნახავ გაზაფხულს", 1906 წ.





\+ + +

... ერთი წელი და ათასი
ბარდაბარია ჟამისა,
მაშ ჩვენი ტანჯვაც ჩავთვალოთ
სიბნელედ ერთის ღამისა...

„მთამ სრულიად სხვა სთქვა", 1910 წ.

\+ + +

საასპარეზოდ მოგვცა უფალმა
წუთისოფელი ადამიანთა:
გამოცდა არი ჩვენთვის სიცოცხლე,
ასე უცნია კაცთა ჭკვიანთა;
ვაკეს ვინ აქებს, თუ არ ავივლით
ოღრო-ჩოღროს გზებს ალმართიანსა?
თუ პაპანებამ არ შეგვაწუხა,
ვინ დაინატრებს ალაგს მთიანსა? ...

„საასპარეზოდ მოგვცა უფალმა", 1910 წ.

## პოემებიდან

\+ + +

... ღამის სიკვდილმა სიცოცხლის
დაისაკუთროს სახელი,
გაჰქრეს ღვთის მახსენებელი,
არვინ აანთოს სანთელი.
ღამის სიყვარულს დაეწვას
ტურფა გვირგვინი იისა;
ყველა, რაც ამკობს სიცოცხლეს,
გახდეს საჭმელად ჭიისა.
რადღა ვის უნდა მაშინა
ან მზე, ან მთვარე ცაზედა,
ხშირად ყვავილით ნაქარგი
მწვანე ბალახი მთაზედა;
გაზაფხულს მოსვლა მერცხლისა,
ჩქეფა, ჩქრიალი ხევისა,
დღის წასვლა, ღამის დადგომა,
სიტკბო ბულბულის სტვენისა?!
დარჩეს მარტოღა ღრიალი
გაუმაძღარის დევისა?!
უხალხოდ ან დევს რად უნდა
ძალა, დევობა წყეული?
რატომ არ ჩნდება უფლისა
მეშვლობა ციდამ სრეული?
რად არ იშლება დევების
შხამით ავსილი სხეული?
ღმერთმ რად გახადა ქვეყანა
დევთა სათრევლად ნეტარა?

მითამ იმედად ისა გვყავ
განსაცდელის დროს, ყველგანა,
მითამ ის არის მფარველი
განუშორებლივ ჩვენთანა.
არ-ოთ გასწირავს ქვეყანას,
არ გაასწორებს მტერთანა!

მადლობა შენთვის, უფალო,
ბუნება აღარ წვალობსა!
ტურფა დაესხა ისევა
დამჭკნარს ფოთოლი იასა.
აღარ აშინებს დევის ხმა
მაგ სადედუფლოს თმიანსა.

დილა საღამოს ნიშნს უგებს,
დღე ღამეს ებრძვის მაღლზედა,
ნისლნი, ათას მხრით მომდგარნი,
დაისვენებენ მთაზედა.

„კოპალა”, 1889 წ.

+ + +

... სოფლისა გაღმა გორია,
დამწვარი, ქვიშიანია.
ბევრი წევს იქა ვაჟკაცი,
გულ-ლომი, ჯიშიანია.
ძირს მისდგამს ბექი მდუმარე,
ნაღვარი, თიხიანია.
ხმალ-ხანჯრის, თოფის მხმარეთი
არა სძგერს გული მაგარი;

იმათ სჭამს მიწა უენო,
სასტიკი, გაუმაძღარი;
მასში ეშლება ყველასა
ადამიანის იერი...
ვერ გვიხსნის სიკვდილის ბჯღალით
ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი.
ბუნების ცოდვა ესაა,
მუდამ საწყინო ჩემია:
ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს,
არავინ გადურჩენია.
ყველა მგზავრთათვის ინთქმევა,
როცა ილუპვის გემია!..

სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკლენ, ცქერა გვწადიან;
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიან.
რამდენი ავსული ვიცი,
წარბშეუხრელად დადიან;
თავის მტანჯველის შემუსრვა
ან კი ვის არა სწადიან?!

„სტუმარ-მასპინძელი", 1893 წ.

\+ + +

... ერთი დღე ყველას მოგველის,
დღე იყო, მზეცა ბრწყინავდეს,
ჩვენ არაფერი გვესმოდეს,
ცივ სამარეში გვყინავდეს.
ნეტავი იმას, ვინაცა

მკვდარი გასწირავს სახელსა,
და ყველა იმის ხსოვნასა
გულს ინთებს, როგორც სანთელსა.
ცოცხალი ცოცხალსა ვგვანდე
თავის გუნების პატრონად.
მოვკვდები, ერთი დღე მმართებს,
მიწა მექნება ბატონად...

ფლიდია ესე სოფელი,
ფლიდთა საყრელი ხელისა;
კარგებსა სჩაგრავს, უმსგავსთ კი
კალთას აფარებს, ჰშველისა;
მართალი წუთისოფელში
შვებას ამაოდ ელისა! ...

„სისხლის ძიება”, 1897 წ.

\+ + +

... ბევრი სჭირს კაცის გონებას
ამაოება მტკნარია!..
თუ რას მადლს იჴამს ქვეყნადა,
მითი იცოცხლებს მკვდარია.
ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს,
სხვა დანარჩენი — მჩვარია,
ან ცეცხლი დასწვავს... თავისად
მოიხმარს მიწა-მყარია.
სხვა ყველა ფეხთ ქვეშ ეგება
მიწის, ბუნების კანონსა;
სულს ვერ ერევა მის ძალი

და ვერც გაუთხრის ხაროსა;
ვერ მოჰკლავს, ვერ დააბერებს,
ტანს ვერ შეუცვლის საროსა.
მიწისას მიწა მიიღებს
ყველას, რაც მასზე ხარობსა.
მაინც ხომ სულის ბუნება
მონა როდია მიწისა:
თავისი სამფლობელო აქვს,
თავის გზა კარგად იცისა!..

„უღბლო იღბლიანი", 1902 წ.

\+ + +

... სულითა ვცოცხლობთ ისევა,
როცა ლეშითა ვკვდებითა, –
რაც გვიყვარს, მის სანახავად
საფლავებიდამ ვდგებითა.
დიდება უფლის სახელსა,
სულით ცხონება იმათა,
რაც ღმერთს მიუცავ სამყოფოდ,
ნუმც მოუშლებათ ბინადა!

„ნანგრევთა შორის", 1900 წ.

## მოთხრობებიდან

\+ + +

... „რამდენსაც იმხიარულებთ, იმდენად წუთის-სოფელს დაამუნათებთ...
... „ღარიბის კაცისთვინაო წუთის-სოფელი მწარია.

„სურათი ფშავლის ცხოვრებიდამ", 1881 წ.

\+ + +

სიკვდილი საშინელია. წარმოიდგინეთ სამარე, – ცივი სამარე; საფლავის პირზე აგროვებული მიწა და მესაფლავეები ხელნიჩბიანები, რომელნიც მზად არიან მიაყარონ მიწა...

„მთიელის უბედურება", 1886 წ.

\+ + +

... ძველს დროში, როგორც ვიცით და გაგონილი გვაქვს, რჯული ხალხს ძლიერ მტკიცედ ეჭირა, რჯულის გულისათვის ჯალათს უშვერდენ ქედს, კოცონზე იწვებოდენ, ათასნაირს სასჯელს იტანდენ და დღეს, ხომ ვიცით კარგად, თვითონ კაციც რომ მოკლა, ცოლ-შვილი გაუწყვიტო ცხვირწინ, ხმას არ ამოიღებს, განაღამც რჯულის გულისათვის შემოგაკლას თავი. ასეა, დროებამ იცის!..

„მუცელა", ზღაპარი, 1895 წ.

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

...საზოგადოდ, ყველა ხალხების მემატიანენი გზას უქცევენ მდაბიო ხალხის მდგომარეობას, მათ ჩვეულებას და სხვადასხვაგვარი ცხოვრების ავკარგიანობას. სისწორით რომ ვსთქვათ, არც კი არიან გასაკიცხავნი, რადგან არ იყვნენ ისინი იმდენად გონებაცხოველნი, რომ ჰსცოდნოდათ, რა უფრო გამოსადეგი იქნებოდა მათის შვილებისათვის, – ჩვენთვის.

... ყოველ ხალხს, რომელსაც სულის მყოფობა სწამს, საიქიოც სჯერა. რადგან სხვადასხვა ხალხები სდგანან სხვადასხვა გონების სიმაღლეზე და აქვთ განსაკუთრებული ეროვნული სურვილები, ამიტომ საიქიოს წარმოდგენაც ბევრად განირჩევა ერთმანეთისაგან. ველური ხალხი უფრო ხორციელად წარმოიდგენს საიქიოს. ის განყენებით ვერა სჯის და თვით მისი ნატვრა სულისა ხორციელად კმაყოფილების გარედ არ გადის. ქრისტიანების წარმოდგენა საიქიოზე ყველა ხალხების წარმოდგენას ამ საგანზე აღემატება. ქრისტიანთა წარმოდგენა ყოველს ხორციელს თვისებას აშორებს საიქიოს...

... ფშაველის წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულში არის; საიქიოს ის ეძახის „შავეთს”. შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასულის მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტადღა არიან ამ დროს წითლები, ამას ფშაველი ეძახის „მკვდართა მზეს”. შავეთს ჩამოუდის შუაზე დიდი ხევი, რომელზედაც მოდის კუპრის მდინარე, ცეცხლმოკიდებული; მაზედ არის გადებული ბეწვის ხიდი, მართალი გაივლის იმ ხიდზე, ცოდვილი კი ჩავარდება და იწვის კუპრში. საიქიოს

მკვდრები ლაპარაკობენ მისუსტებული ხმით. აი ლექსი საიქიოზე, რომელიც გვაჩვენებს ძველისძველს შეხედულებას ხალხისას და ამასთან, ფშაველის წინ წაწევას საიქიოს წარმოდგენაში:

„ნეტარ რად უნდა: კარგს ყმასა სამკლავე, საფუხარია?
მეც მიმყვა სამარის კარსა, — ერთიც ვერ მოვიხმარია,
შავეთის მებატონესა სამჯერ დავუკარ თავია,
უკლუებ გამაარჩია შიგ ნარჩევები ყმანია;
ვერ დავხვდი ჩემებურადა, მტკივა მარჯვენა მხარია,
ხელი გამკიდეს ხელზედა, ჩამამავლიეს ჯვარია.
რა საკვირველნი ყოფილან: ერთსაც არ ესხდნენ თვალნია,
ჩამოჭქცევიყო სახკარი, ზედ დასდიოდა წყალია.
სხვას ყველას გაეძლებოდა, სურიელს ექნა ძალია;
ვაჟსა წასმოვა ულვაში, ქალსა გიშრისა თმანია"...

... ფშავლები პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რასაც ფშავლის თვალი და გონება მისწვდომია, იმას ყველაფერზედ უთქვამს ლექსი, — მოყოლებული სიცოცხლიდამ სიკვდილამდე და საიქიომდე. ფშავლების პოეზია გაიყოფა ორ ნაწილად — ძველისა და ახალის დროისა. ძველს ლექსებში არის გამოხატული ვაჟკაცობა, გმირობა და ზნეობრივი სიმაღლე. ძველს ლექსებში უფრო იდეალურობა გამოსჭვირის. ახალი ლექსები რეალურ გზას ადგანან და მათში ჰკვნესის სატირული ნაღველი; რეალური მიმართულება ახალი დროის ლქსებისა უწმაწურობამდე, ცინიკობამდე მიდის. მაინც ხალხში სატირა იბადება, როდესაც ხალხის ცხოვრება იცვლება და ერთის წყობიდამ მეორეში გადადის. მოხუცებულები ემდურებიან ლექსების შინაარსის გამოცვლას: ჩვენს დროსო, — ამბობენ ისინი, — წაწლო-

ბისას და უწმაწურობისას არ იმღეროდენო. ეს მართალია, მაგრამ რა ქნას ახალის დროის ფშაველმა, საგმირო საქმე აღარა აქვს და გულს იფხანს სხვადასხვა საგნებზე შაირობით. ფშაური ლექსებს აქვს მშვენიერი და მაღალი კილო. აქ ნიმუშად მოვიყვან რამდენიმე ლექსს...

... ფშავლები, როგორც ნამდვილნი ქართველნი, რა თქმა უნდა, მართლმადიდებელნი არიან, ხოლო ფშავლების მართლმადიდებლობა არ წარმოადგენს გაწმენდილს, შემუშავებულ რჯულს; იგი შემდგარია სხვადასხვა წარმართულის და ქრისტიანულის წეს-რწმუნებისაგან და ზოგიერთში ებრაულს რჯულს მოგვაგონებს, ეს შერევნა სხვადასხვა რჯულისა ერთმანეთში ადვილად წარმოსადგენია, რადგან ხალხი როდესაც ახალს რჯულს ეკიდება, ისე მალე ვერ ანებებს თავს ძველს რჯულსა. მართლმადიდებელი მოძღვრებაც არ არის აქ განვითარებული იმიტომ, რომ ქრისტიანობის მქადაგებლების, მღვდლების ხსენება მალე გამქრალა აქ. ამის მიზეზად ჩაითვლება ათასნაირი ლეწა-მტვრევა, რომელმაც საქართველოს თავზე გადაიარა. ხალხს მხოლოდ ყური მოუკრავს ქრისტიანობისთვის: რაკი შემოჰლევიან და არ შეჰრჩენიან მღვდლები, რომლებიც ხშირ-ხშირად მოაგონებდნენ ხალხს ქრისტეს მოძღვრებას, ხალხს ისევ ძველი რჯული აგონდებოდა. ფშავში რომ ქრისტიანობა უვრცელებიათ, ამის დამტკიცება ადვილია: სადაც გინდათ, მთაზე, ულრანს, გაუვალს ტყეში შეხვდებით ნასაყდრებს...

... ხევისბერი წინანდელს დროში არა ყოფილა მარტო სამღვთო წესების ამასრულებელი, არამედ სჭერია ხელში პოლიტიკური და იურიდიული უფლებაცა. იგი ყოფილა მშვიდობიანობის დროს მსაჯული და ომიანობაში – ჯარის წინამძღვარი ხელში დროშით. ფშავლის ხევისბერად მოწოდება მოხდება სხვადასხვა მიზეზისა გამო: ჯერ ერთი, ქადა-

გისაგან და მეორე – მკითხავისაგან. მაგრამ მკითხავიც ყვე-ლას წარა-მარად არ ირჩევს, იმასაც აქვს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, საკუთარი მეთოდი ხევისბერის ამორჩევისათვის... თუ რომელმამე ფშაველმა დაიწყო ავადობა დიდხანს და ვერა რჩება, მკითხავი ურჩევს, რომ წმინდობა დაიწყოს, გახდეს ხევისბერად, ხატის მსახურად. ხევისბერად კურთხევისათვის, ანუ ხელ-მხარის სანათლავად, უნდება ახლად მოწოდებულს რვა საკლავი და ერთი კურატი. ამათის სისხლით განათლვენ თავის მოძმეს ხევისბერები: სისხლს წაუსმენ შუბლსა, მკლავ-სა და გულზედ...

„ფშავლები, მათი სხვადასხვა ჩვეულება,
ცრუმორწმუნეობა და ხატები". საზოგადო შენიშვნები, 1886 წ.

+ + +

... ქალაქ ადგილას ყველა საზოგადოდ ჩვეულებისაგან აკრძალული საქმე ადვილად ჩასადენია კაცისაგან, ხოლო სოფელში ყველა მალე გაიგებს ავს საქმეს და ავის თვალი-თაც შეჰხედავენ...

... კუჭის მარხულობა რაც არის, არის, ღმერთს გაუ-ჩენია, თუ წმინდანთა დაუდგენიათ, ჩვენის სჯულის გვერდად უნდა ავასრულოთ. მაგრამ თუ ვინმე გონების მარხულობა-საც შემოიღებდა, ის კი, სწორედ მოგახსენოთ, ჩასაქოლა-ვი იქნებოდა და ყოველი ქრისტიანი მოვალეც გახდებოდა, პირველად იმას ეკრა თავში ლოდი იმ ახირებულის კაცი-სათვის. მაგრამ რას ვამბობ? ჩვენში ხომ გონებას უფრო ამარხულებენ, მანამ კუჭსა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ორივე-თი მარხულნი ვბრძანდებით: გონებითაც, კუჭითაც, თუმცა, ხანდახან, მართალია, ვიძახით და ვიმღერით:

სანამ ცოცხალ ვარ, ესე ვიქ,
ვახარებ ჩემსა იასა;
მოვკვდები – გაუხარდება
სამარის კარსა ჭიასა–ო,

მაგრამ, მაინდამაინც მარხულნი ვართ კუჭითა და გონებითა. ვინ ვის უნდა სდრუზოს თავში ლოდი, ვინ ვინ დასაჯოს, ვისი ჯავრი ამოიყაროს, – ეხლა თქვენ გაასამართლეთ! საით გაიხედავთ, ვისა ჰნახავთ, რომ გონებით არა მარხულობდეს?! უმრავლეს ნაწილს ჩვენის ერისას შემოუვლია უმეცრების გალავანი გარშემო და აღარ უნდა იმ გალავანს იქით გადაიხედოს. მცირე ნაწილი, რომელსაც ერთს დროს უსწავლია რამ, დღეს გონების მარხულობას მისცემია...

... გონების მარხულობას სულის მარხულობაც მოსდევს, რასაკვირველია. სული დარჩენილია ობლად, უპატრონოდ, აღარავერი არ აფრთოვანებს მას; დალპობას აპირობს, ურწმუნო ხდება, უსაგნო, უხეირო, უკეთური, უგერგილო.

სული სტიროდა ბედკრული
ნაოხარს გონებაზედა:
„ერთხელ როგორ არ იფიქრებ
მაგ შენსა მონებაზედა.
თავი დასჩაგრე, მეც მჩაგრავ,
მიმეც ლაფსა და მწვირესა;
წამწყმიდე, გადამისროლე
ბნელს ჯოჯოხეთის ყურესა.
ძნელია, როცა ორივეს
პატრონი არა ჰყურებსა".

სული და გონება მარხულობს-მეთქი, და ერთი რამ არა მარხულობს. ამიცან და რა არი? – ჩვენსა რო ქანდარაა – ის არი სწორედ. დაილოცე, ქანდარავ. შენ ენა გქვიან, ერთი შენ არა ჰმარხულობ ზოგ-ზოგის პირში, თორემ ზოგის პირში ხომ სამუდამოდ დაუწყევიხარ სამარხულოდ ღმერთსა, გამჩენსა მარხვისა და ხსნილისას, – დაუწყევიხარ, როგორც ტანტალი მშიერი და მწყურვალი შუა ზღვაში. შენს თავზედაც, როგორც იმ ღმერთთაგან შეჩვენებულის თავზედ, ჰკიდია პური და ღვინო, ყურძნის მტევნები, ეწვდები საჭმელად და მიგირბის ხელიდამ მაღლა; დაბლა წყალს ეწვდები სასმელად და ფეხებიდამ მიგირბის ისიც, გიფრთხება, არ გესმეინება; ვინა ხარ შენა და რა გქვიან სახელი? – ბეჩავის კაცის ენა. აი, რას იმღერის ეს ბეჩავი ენა:

საცა მე ვსცხოვრობ, წყალი სდგას,
მტკივა, მემსჭვალვის გვერდები.
ესე სუსტი და უძლური
სუსტს პატრონს შევაბერდები.
ბევრი რამა მაქვს სათქმელი,
მაგრამ ვდუმარებ ისევა.
ძლიერ აშინებს ყანასა
კალიის გუნდის მისევა.
ძნელია, როცა ქვეყნისა
გონება გადაირევა!..
ჩემს პატრონს თავში ტვინი აქვს,
როგორც ლოდი და კაჟია,
ვინც იმას გასტეხს, ის არის,
აბა, ის არის ვაჟია,
თუმც კი ვერ გადაურჩება,
რომ არ გარდახდეს ბაჟია.
უბირის, ბეჩავის ენა
გასამტყუნარი რაშია?!

ღმერთმა დასწყევლოს ზოგის ენა, რომელიც არა მარხულობს და მოჰყვება ქვეყანაზე ტიკტიკს, ჰფქვავს, რაც ძალი და ღონე აქვს, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ პურსა ჰფქვავდეს, არა, ვინ მოსთვლის, რას არა ჰფქვავს! აღარც მარხვისა სცხვენიან და აღარც კაცისა: მთას მთას მიაჯახებს და ზღვას – ზღვასა, დედამიწას – ცასა. ტყუილად არ არის ნათქვამი: სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოსჭრაო. ამისთანა ენას ბევრი ვნება შეუძლიან, მაგრამ სარგებლობას ნურაფერს მოელით, ბევრს ამბობს, იმდენს, იმდენს, რომ თავის თავს მოჰბეზრდება და ქვეყანას ხომ თავს აბეზრებს, რა თქმა უნდა. აი, ამისთანა ენაა დასატუსაღებელი და სათოკ-საბორკილე, მაგრამ სად არის, ვინ არის კაცი და პატრონი?! თუ სადმე სამართალია, მარხვა, მარხულობა იმისთანა ენისათვის უნდა დაწესდეს და დაწესდეს ისე, რომ მუდამ კრიჭაში ედგეს და რამდენჯერაც გაინძრევა სისულელის, სიავის წამოსაროშად, იმდენი ნესტარი დაჰკრას, ან ნაკვერჩხალი დაადოს, რომ სდუმდეს და არა სწამლავდეს კაცთა გულსა და გონებას...

„სადიდმარხვოდ", 1891 წ.

\+ + +

... საკვირველია: ფაქტი, მოვლენა, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ერთნაირია, ხოლო შეხედულება ამ მოვლენაზე, ამ ფაქტზე სხვადასხვანაირი, ე. ი. იმდენი, რამდენიც თავია ტანზე ამოსული. დღეს გონების დავთრები დავკარგეთ, უკუღმა დავიწყეთ ფიქრი. რადა? რისთვის? ფიქრმა, აზრმა რა დააშავა? თუ საშუალება აზრის მისაღწევად უვარგისი გამოდგა, ეს იმას როდი მოასწავებს, თვით აზრს წიხლით შევდგეთ და ზედ ვინავარდოთ, ვთელოთ, ვაფურთხოთ, ვლანძღოთ? ეს ხომ ლაჩრობაა, სულმდაბლობაა.

არა, ნუ შეურაცხვყოფთ წმიდათა წმიდას, ნურც შიშის გამო, რომელიც ხშირად ამრუდებს ადამიანის აზროვნებას, ნურც ხათრისა და დობილ-ძმობილობის გამო...

„დიდ-მარხვა", 1906 წ.

\+ + +

... სარწმუნოება მე მესმის, როგორც შედეგი ადამიანის გონებრივის, სულიერის განვითარებისა და არა იმათი შუაზე გადალეწა-გადამტვრევისა და დასახიჩრებისა. ძალად შეიძლება მხოლოდ ფორმა შეათვისებინო ადამიანს, ფორმა სარწმუნოებისა, ხოლო ამ საშუალებით მის მართლმორწმუნედ გახდომა ყოვლად შეუძლებელია...

... მართლმადიდებლობა ხომ მარტო ქრისტიანულ წესების ასრულებაში არ გამოიხატება, იმის სული და გული სხვა რამ არის და სწორედ ამ სხვა რამის ასრულებას და დამყარებას თუ საერთოდ ცხოვრების პირობები არ უწყობს ხელსა, ძნელია მართლმადიდებლობის მისწრაფებათა განხორციელება; იქ, სადაც წარმართული სოციალური პირობები მეფობს (რა თქმა უნდა, ამ პირობებს ფშავ-ხევსურნი არა ჰქმნიან), ყოველ მართლმადიდებელს თავის დაღს დაასვამს; მართლმადიდებლობამ უნდა გარეგნულად, ფორმით იარსებოს, კერპთაყვანისმცემლობისა თუ მართლმადიდებლობის ხალხზე ზედმოქმედების შედეგი შეუძლებელია არ გამოხატოს ზნეობრივ აქტებში...

„ეპისკოპოს ანტონის აზრი ფშავ-ხევსურთა სარწმუნოებაზე", 1914 წ.

„თუ ჩვენ თვითონ
არ შევიცვლებით
ჩვენი ქვეყანა,
სხვები ჩვენ ვერ
შეგვიცვლიან"

## ლექსებიდან

\+ + +

... ყველა ის მიყვარს, სადაც სიბრიყვემ
სწავლის სახელით არ მიაღწია...

„მესტვირის ანდერძი", 1890 წ.

\+ + +

... ვისღა სცალიან ჩემთვისა,
ქვეყანა იქცა დუქნადა...

„ჩივილი ხმლისა", 1890 წ.

\+ + +

... არა მოგვცა-რა ლამაზის
სიტყვებით ამაყობამა...

„ქებათა-ქება", 1897 წ.

\+ + +

მემღერება და ვიმღერი, –
გულზე მჭირს სამი იარა:
წარსულზე ფიქრი მაწუხებს,
აწმყოში არა ყრია რა
და მომავალის ფიქრებიც
არავინ გამიმზიანა! ...

„მემღერება და ვიმღერი", 1903 წ.

\+ + +

... როს გახდა საქვეყნო საქმე
უსუსურთ სალეჯ კევადა.

„სიყმე სიბერედ ვაქციე", 1907 წ.

\+ + +

... ვერაფერს ვიტყვი. ენა სდუმს,
თავზე დაგვჩხავის ყორანი;
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი;
გაგვიბატონდა, მგოსანო,
სირეგვნე შეუწონარი.

„ილია ჭავჭავაძის სახსოვრად", 1907 წ.

\+ + +

ვირები ბედაურობენ,
ყვავი ბულბულობს... დიახო!
ეს დაიხსომეთ კარგადა,
მტკვარო, არაგვო, ლიახვო!
მე ვხედავ ამას ცხოვლადა,
სხვები კი ვერა ჰხედავენ,
არ ვიცი, ბრმები არიან
თუ ნახვას ვერა ჰბედავენ.
ეს ჩემი დანაბარები
თქვენის ტალღების ცვარებმა
შეხვრიპონ დასახსოვრადა,
როგორც ნასიცხმა ხარებმა...

„ქებათა-ქება", 1912 წ.

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

... ცხოვრებაში კი უფრო ხშირად ასე ხდება: უფროსის ცოდვებს მისი ხელქვეითი, მოსამსახურე მხოლოდ მაშინ გამოააშკარავებს, როცა უფროსი მას ადგილიდან ითხოვს. მასთან აღარავითარი დამოკიდებულება აქვს. ნამეტნავად ჩვენში, ქართველებში, უფრო მოსალოდნელია ამისთანა ხრიკი: ჩვენ პურ-მარილისა დიდი თაყვანისმცემელნი ვართ და ადვილად ვერ გავიმეტებთ ჩვენს პატივისმცემელს, ჩვენს მეპურმარილეს, თუნდა ცოდვებსაც ვატყობდეთ, გავაბიაბრუოთ, ვიდრე ჩვენ პირადად არ გვაწყენინებს, არ გაგვამწარებს, ხოლო მაშინ კი დიაღ, აღიხმიან ბაგენი და წარმოსდინდებიან სიტყვანი. არ არის კარგი, არა! ავის კაცის პურ-მარილიც მოსარიდელია და ცნობა-მეგობრობაც. „გამარჯვებაც" – კი არაა მისი საჭირო!..

ასეა თუ ისე, ჩვენ სიმართლეს მაინც ნუ ვუღალატებთ, სიმართლეც ვთქვათ, ცილს მოვერიდოთ, გადაჭარბებას; ჭირი გამოვააშკარავოთ, რადგან დაფარული, დამალული ჭირი უფრო მავნებელია, ვიდრე ნათქვამი და გამოცხადებული. ექიმი მხოლოდ გაგებულს, გამოცნობილს სნეულებას უშველის შესაფერის წამლების მოხებით.

„კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო" ნათქვამია და როცა იქამდე მივა საქმე, რომ ჭირი თავს ვერ გამოაჩენს, მაშინ ექიმის მეცადინეობა, ცოტა არ იყოს, დაგვიანებულია.

„თიანური ფელეტონი", 1902 წ.

\+ + +

... დიაღ, თუ ჩვენ თვითონ არ შევისწავლეთ ჩვენი ქვეყანა, სხვები ჩვენ ვერ შეგვისწავლიან. ჩვენს თავს ჩვენ რომ არ ვაფასებთ, სხვა რა გიჟია ჩვენ დაგვაფასოს? ან მოსულს, გარეშე უცხო კაცს სად შეუძლიან, გავლით ჩვენის ავკარგის მნახველს, ანგარიში გაუწიოს?!

„თამარის ცხვარი ფშავში", 1902 წ.

\+ + +

თუ დღესაც ბევრი რამ ასახსნელი და გამოსაკვლევი აქვს ადამიანის ფიქრს, ბევრი რამ ხომ მაინც გაიგო, ბევრის მიზეზი შეიგნო, ავს და კარგს თავ-თავიანთი საკუთნო ბინა მიუჩინა. განათლებამ დიდი, ძალიან დიდი ძალა გამოიჩინა, ამას ქვანიც კი ჰღაღადებენ; დიდ ძალთან დიდი მადლი, მაგრამ დიდს მადლთან – დიდი ცოდვაც.

მართალია, განათლებამ, ცივილისაციას რომ ვეძახით, სწორედ საკვირველი მოქმედება გამოიჩინა სხვადასხვა ასპარეზზე, ხოლო ზნეობის სამფლობელოისა კი რა მოგახსენოთ. არაო, მეტყვიან, – ზნეობრივადაც ბევრად წინ წავიდა კაცობრიობაო. შეიძლება, არც ამაზე აგიხირდებით, ხოლო მე კი იმას ვიტყვი, რომ ამ მხრივ იგი ისევ პირუტყვად დარჩა; დარჩა კი არა, პირუტყვთა საერთო, საყოველთაო თვისება, რომელსაც გრძნობა თავის დაცვისა ჰქვიან, უფრო ძლიერადა სჩქეფს დღეს მის გულში. ეს იქნება არც დასაძრახისი იყოს და განათლებას უნებლიედ თან სდევდეს.

... ჩვენ, ერთს დროს სულისა და ღვთისმოყვარეობით განთქმული ერი, ღმერთსაც კი აღარ ვლოცულობთ სწორედ. თუ ქონებით ვართ ღარიბნი, განა ეს იმის მომასწავებელია, სულითა და გონებითაც გავკოტრდეთ? ან ქონებით

რაღა ვართ ღარიბნი? აბა, მიბძანდით, მიიარ-მოიარეთ შირაქის მინდვრები, თრიალეთის მთები. თუ ღარიბნი ვართ, ვისი ცხვრისა და საქონლის ფარები და ცხენის ჯოგები სძოვს იქ ბალახს?

ვინ არ დამეთანხმება, რომ ევროპაში ღარიბთა, ბოგანო ხალხისა ბევრით მეტია, ვიდრე ჩვენში. ჩვენს გლეხკაცობას მკვიდრად უდგა ფეხი მშობელს დედამიწაზე, იმას ეალერსება და იმას ეხუტება და იხუტებს გულ-მკერდში.

დღეს ჩვენის ერის სისუსტესა და ძლიერებას აქა აქვს თავი და ბოლო. თუ რამდენიმე დიდი მემამულე წინდაუხედაობით ჰყიდის მამაპაპეულს მიწა-წყალს, მაინც კიდევ საკმაო ჰრჩებათ იმათაც და ეს დიდი დასაკლისიც არ არის, ოღონდ უმრავლესობა არ დაადგეს ამ უკუღმართს გზას. მართალია, დღეს ესოდენი სიყვარული თავის მიწა-წყლისა და უფრო გუთნისა, ბევრში ზარალს აძლევს ჩვენს ხალხს, არ აძლევს ნებას გარეთ გასვლისას, – მოეკიდოს სხვადასხვა ხელობას, მაგრამ საბოლოოდ კი დიდად და ბევრად სახეიროა ჩვენთვის, ვინაიდგან ტერიტორია გვენახება და ხომ მოგეხსენებათ, უმიწაწყლო ერი იგივეა, რაც უფრთოდ ფრინველი, უწყლოდ თევზი და უჰაეროდ სიცოცხლე.

„ფიქრები", 1902 წ.

\+ + +

... აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

აბა კარგად ჩაუკვირდით საქმეს, თუ ასე არ არის, დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, დიდი უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი. უგუნურით ნუთუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამიანების ხოცვა, კვლა, მოკვლაა მთელის ქვეყნისა.

სოფელი ვინ და ერთი კაციო. ნუთუ იქამდე დავკნინდით, დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორმინდება საქართველოში? ნუთუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიანთ ემსახურონ.

... მოჰკლეს ილია!.. მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია, ვიდრე საქართველო იქნება. დიახ, ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადამიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო, დაკლების მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.

„საწყალი ილია, საწყალი ილია!” მესმის გულსაკლავად წარმოთქმული აქეთ- იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არ არის ილია საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა. იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი, დარდი თავის ქვეყნისა გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, წყლულები ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამაპაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს და არ აფიქრებინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი.

„ვერ მოჰკლეს!”, 1907 წ.

\+ + +

... ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის დაბერებას შეურიგდება, ხოლო სიბერე ერისა საშინელებაა. ხომ იცით, არიან და იყვნენ მეცნიერნი იმ აზრისანი, ვითომც შეიძლებოდეს ერის სიბერე და სიკვდილიც კი, როგორც სიყრმე, სიჭაბუკე, დავაჟკაცება და სხვა. ამტკიცებენ ისინი ამას იმის გამო, რადგან იგონებენ ყოფილ, არსებულ და აწ მოსპობილ ერებს. თუმცა ძნელია იმათ დაეთანხმოს კაცი, მაგრამ არა უშავს, ჩვენც თანახმა გაუხდეთ. ხოლო ერთი რამ უნდა შევნიშნოთ იმათ მოძღვრებას: შეიძლება ერი დაბერდეს სხვადასხვა პირობების და მიზეზებისა გამო და იგი მალე ისევ გაახალგაზდავდება, თუ სხვა, მაცოცხლებელ პირობებში ჩააყენებ, რაც ცალკე პიროვნებას არ ძალუძს. ცალკე აღებული და დაბერებული ადამიანის ბოლო მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილია. რის გამო შეიძლება დაბერდეს ერი, თუმცა იგი მუდამ ახლდება — ახალგაზდათა შემატებით? ერს დააბერებს მხოლოდ მონობა, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა. ხანა საჭირო არ არი, ეს შეიძლება ერის სიჭაბუკის დროს მოხდეს. ენერგია ერისა არ უნდა იყოს შებორკილ-შეჯაჭვული, უნდა მას ჰქონდეს სარბიელი.

დიაღ, მონობა საშინელებაა, მომაკვდინებელია, როგორც სიბერე და იგი იწვევს ერის სიბერეს, სხვაფრივ ერის სიბერე და სიკვდილი შეუძლებელია მანამდე, სანამ მზე ანათებს დღით და ღამით მთვარე...

„ზოგი რამ ფიქრებიდან", 1915 წ.

„განუვითარებელი,
გაუზრდელი ხალხი,
როგორიც უნდა
დემოკრატიული
მმართველობა
დაარსდეს, მაინც
მმართველთა სათამაშო
ბურთი და სათლელი
დუმა იქნება"

## ლექსებიდან

\+ + +

... საწყალი საწყლადვე რჩება,
ისევ სდის ცრემლის ღვარია.
მგლები, აფთრები მრავლდება,
ხარობს იმათი გვარია;
აზრი კი, აზრი მაღალი,
ჰგოდებს ბედ-განამწარია...

„საშობაო სიმღერა", 1907 წ.

## მოთხრობებიდან

\+ + +

... ავი კაცი ავკაცობას არ მოიშლის. მაგას თვით ზეცა დასჯის. ზეცამ თვით იცის სასჯელი უზნეოთა და უნამუსოთა.

„წისქვილი", 1889 წ.

\+ + +

... რად უცქერის სოფელი ხატსა და წმინდანებს ისე, რომ უეჭველად სოფლისათვის უბედურება უნდათ, სოფელს „ემიზეზებიან" და თხოულობენ ქრთამსა და სასყიდელს?" სოფელი რატომ არ ფიქრობს, ხატი რის ხატია მაშ, ან წმინდანი რის წმინდანია, თუკი საზიზღარის საქმეებს ჩაიდენენ,

სოფელს დაალონებენ? – თუ სოფელი აჯამი აღარ არის, გამოიარა აჯამობის დრო, ამ საკითხავზე მართალს მიპასუხებს, მაგრამ მე რომ ვიცი, იმ „აჯამობას" ბევრით შორს არ გამოსცილებია და თუ ძველები, როცა დასცხებოდათ, ნაცვლად იმისა, უკან დაეწიათ, ლაფს ისვამდნენ ტანზე, – დღეს სოფელს რომ სანთელი სინათლისა, სწავლისა თვალებთან მიუტანო, თვალებზე ხელს იფარებს: ნათელი არ დავინახოვო. ნუთუ ეს უარესი აჯამობა არ არის? ნუთუ აჯამობა არ არის, ხატი და ღმერთი გაცვეთილ, ღლეტურა პოლიციელად რომ მიაჩნია?.. ნუთუ ამგვარი შეხედულების მიზეზი იგივე აჯამობა და უცოდინარობა არ არის?! – არა, სოფელს თუმცა ჭკვიანობაზე თავი მოაქვს და, ღმერთსა ვსთხოვ, გაუათასკეცდეს ჭკვა-გონება, გამოცდილება, მაგრამ დღეს რომ იმას ბევრი ნაკლი აქვს, ეს თვითონაც კარგად იცის, თვითონაც აღიარებს.

... დიაღ! სოფელმა კარგად უწყის-მეთქი ეს თავისი აუცილებელი ნაკლი, მაგრამ ვერ ამოუგლეჯია და ვერ გამოუჩენია იმდენი ძალ-ღონე: ცოდნა ცოდვისა არა კმარა; კაცმა ბოროტი არა ქმნას, მარტო ცოდნა ვერ უშველის, თუმცა სოფელი კი იტყვის ხოლმე – „უცოდრობა-უცოდვობააო"; უცოდველი უნდა იყოს თვით სისხლი და ხორცი, თვით გრძნობა, მთელი არსება სოფლისა; პირიანობაზე უნდა აიზარდოს მისი სხეული, რომ უპიროობის მსჭვალისაგან განიკურნოს იგი.

„სოფლის სურათები", 1891–1893 წ.წ

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

... ერის სიბერეს და სიკვდილს ისინი დაიჯერებენ მარტო, ვინც ცხოვრების პირობების გარეშე სხვა რაღაც უხილავს ძალას ჰხედავენ, რომელიც არც ცაში და არც დედამიწაზედ არ არსებობს და ჟამთა ბრუნვის სივრცეშია ვითომ გაბნეული ან კიდევ სადმე წიგნში სწერია, რატომ ღრმად არ უნდა ვიყვნეთ დარწმუნებულნი, რომ ერი მუდამ ცოცხალია და არც მოკვდება, ვიდრე მისი ყოფა-ცხოვრების პირობები მაცხოვრებელის თვისებისანი არიან? რომელ ერსაც ეს კარგად ესმის და სასიცოცხლო პირობებს იცავს, ინახავს, იგი მუდამ ცოცხალი, ბედნიერი, ჯან-ღონით სავსეა, იმას არც სიბერე მოეკიდება, არც სიკვდილი. რომის იმპერიაო, გაიძახიან, დაბერდა და დაეცაო. დაბერდა ოღონდაც, მაგრამ სხვამ ხომ არ დააბერა იგი, არამედ თავი თვისი თითონ დააბერა და დააუძლურა. ყველა ერსაც ესევე დაემართება, უკეთუ იგი სიცოცხლის წყაროს არ ეწაფება, თავისის ცხოვრებისათვის გამოსადეგს ვითარებას არ შექმნის და თუ აქვს, არ ინახავს, მაგრად არ უჭირია ხელი. ეს დღესავით, მზესავით ნათელია, აშკარაა.

ინტელიგენციას ან კი რა უფლება გვაქვს, ჩვენს სიცოცხლით სავსე ერს ამისთანა შეუფერებელი განაჩენი დაუდგინოთ ასე თამამად, კადნიერებით?! ვისი დახასიათებაც გინდა, ჯერ უნდა იმას კარგად იცნობდე, მისი გარემოება, ავი და კარგი, შეგნებული გქონდეს, რომ განაჩენიც სამართლიანი გამოდგეს. ჩვენთვის კი ეს ჭეშმარიტება საჭირო არა ყოფილა. ამ ლაყე, შხამიანს აზრის კარგად რომ ჩავუკვირდეთ, ღრმად მოვთხაროთ და ფესვები ამოვუჩინოთ, მხოლოდ იქ ვიპოვნით მიზეზს ამ უკეთურის განაჩენისას...

... რა გავაკეთეთ ქართველმა ინტელიგენციამ საქვეყნოდ, საეროდ? თუ მე მკითხავთ, გულახდილად გეტყვით – არაფერი. ინტელიგენციამ ჯერ ის ვერ შევიძელით, გვესწავლებინა ერისათვის (ხალხისათვის), რომ მთელი „რუსულ-საქრისტიანო" არაა საქართველო, – ვერ ვასწავლეთ, რა არის, რასა ჰქვიან მამული, სამშობლო... დეპოები სადმე დაარსდა, თავის „რეჩებით", ისინიც ინტელიგენციამვე დალუპა. კეთილ ნიადაგზედ სადმე არსდება საზოგადოება და თუ რა ღვარძლი გამოერია იქ, იცოდეთ, რომ ეს ინტელიგენციისავე უნარი უნდა იყოს. ნამდვილ სახელად ინტელიგენციას ის ჩაეთვლება, რომ გაზეთები და წიგნები მის მეოხებით საკმაოდ იბეჭდება და არავინ კი არ კითხულობს, ან საიდგან და როგორი უნდა წაიკითხოს კაცმა წიგნი, თუ კითხვა არ ეცოდინება?! აი, როგორი აშენებლები ვყევართ ჩვენს ქვეყანას! ჩვენი დიდი ღვაწლი განიზომება იმ გარემოებით, რომ ამდენი ლიტერატურული ჰაი-ჰუით, ბევრი-ბევრი რომ ვთქვათ, 1500 მკითხველი შევიძინეთ სამ მილიონ ქართველთაგან და ისიც უეჭველად, ცოტად თუ ბევრად, ინტელიგენტები... დანარჩენი ქართველობა, ერი, მდაბიო ხალხი, რომელიც არის ჭეშმარიტი ძალა ჩვენის ქვეყნისა, დაგვრჩა ღობეს გარეთ, არც ჩვენ გავეცანით, არც ისინი გავიცანით და ვერც ჩვენი ხმა მივაწვდინეთ იმათ...

... ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება. არა აქვს ჩვენს ინტელიგენციას გარკვეული საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა. უამისოდ კი ყოვლად შეუძლებელია გაკეთდეს რამ თვალსაჩინო. ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც სწორედ ერთს პროგრამას და ერთს გეგმას მოქმედებისას ჰსაჭიროებს. ეს ვერ შევიგენით,

ვერ გავიგეთ დღესაქამომდე. ასევე იქნება მომავალშიც, თუ ჩვენს ხალხს, მის ცხოვრებას არ შევიგნებთ, არ გავიცნობთ კარგად, – მანამდე ვერც საერთო მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს ინტელიგენცია, არც ჩვენის ერის სიბერისა და სასიკვდილოდ განმზადების ეჭვები გამოუვა თავიდან, – მანამდე არც მღურვას ქართვლის ერის გულგრილობა-დაუდევრობის გამო ექნება დასასრული...

... ჩვენი ინტელიგენტილა?! ჰმ! რა ვქნათ და რა ვთქვათ?! რამდენსა სტყუის იგი თავის საკუთარ ღმერთთან, თავისის აზრისა და გრძნობის წინაშე, ამა თუ იმ მიზეზისა გამო, ჩემთვის სულ ერთია, და რომ სტყუის, ეს უეჭველად ასეა, თითონაც კარგად უწყის და არც იუარებს, ხშირად თავსაც დროსა და გარემოების მიზეზით ჰმართლულობს. ამას აზრი და გრძნობაც ვრცელი აქვს, იდეალებიც დიდი, მაგრამ იმის მეათასედსაც ვერ აკეთებს, რასაც ჰგრძნობს და ჰსაზრობს. ეს მოვლენა შეგნებულ ადამიანისათვის ყოვლად აუტანელია, მტანჯველი და იგი ჰქმნის ჩვენებურს ინტელიგენტს ნახევარ ადამიანად, უბედურს, ცხოვრებისაგან უკმაყოფილოს, პესიმისტს. მე ამას ვიკმარებ და დანარჩენის განსხვავების აღმოჩენა ინტელიგენტის და მდაბიო კაცის შესახებ, მკითხველო, თქვენთვის მომინდვია. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ეს უკანასკნელი ერის ნივთიერ სიმდიდრის შემოქმედია და ფეხიც არ მოუსხლეტია, მაგრად უდგა სამშობლო მიწა-წყალსა და მამა-პაპის კერაზედ. იმას თუ ჩირაღდანი კარებზედ არ მიუტანე, იმისთვის სოფლიდგან ქალაქში არ გამოიქცევა, იმდენად თავს არ შეიწუხებს და მამა-პაპური სანთლით, კერაზე დანთებულის ცეცხლით იოლად გამოვა. სკოლაში რომ შვილი მიაბაროს, სრულიადაც არა ჰფიქრობს იმას, რა მეთოდით, წესით ასწავლიან იმის შვილს და რამდენის თვის უკან დააწყებინებენ უცხო ენაზე სწავლას; ენა,

სამშობლო მან ანდით იცის და არა გონებით, ამიტომ მას არ ძალუძს რიგიანად ან ერთს გაუწიოს პატრონობა, ან მეორეს. როგორიმე რომ მოხდეს და ერთს პატიოსან დღეს მისი შვილი სკოლიდგან ისეთი განსწავლული დაბრუნდეს, ინჩიც აღარ ესმოდეს ქართულისა და უცხო ენაზედ კი გამაშირებით საუბრობდეს, შვილის ასეთი გარდაქმნა იმითი თუ დაალონებს, რომ ველარაფერს გააგონებს და ველარც რას შვილის ნათქვამიდგან გაიგებს, სხვაფრივ კიდეც გაუხარდება, დიახ, გაუხარდება, რადგან არ იცის, რა შედეგი მოსდევს ამისთანა შვილის ყოლას, იგი ძალიანაც კმაყოფილი დარჩება, რადგან მეზობლები იტყვიან: „ეჰე, ჩვენ დემეტრეს როგორი ნასწავლი შვილი გამოსვლია, ქართულ სულ ველარ ლაპარაკობსო. ასე გახლავთ, თუმც შეიძლება ზოგიერთმა არც კი დაიჯეროს, ნება აქვს, მე კი მაინც იმას ვიტყვი, რაც ვიცი და რაც ჩემის ყურით გამიგონია. დიაღ, დემეტრე ისე ჰფიქრობს, რომ ქართულის სწავლება ქართველი ბავშვისათვის სრულიადაც საჭირო არ არისო, რადგან იცის, ვითომ და ნაცოდნზე დროს დაკარგვა მეტ, უქმ შრომად მიაჩნია, თორემ განა სძულს, ან ეჯავრება თავისი ლვიძლი ენა...

... მარტო თავადაზნაურობა არ არის ერის ძალა და ისინი თუნდა დიდიდგან დაწყებული პატარამდე საუკეთესო აზრებით, გრძნობით გაიმსჭვალნენ, საუკეთესოდ იმოქმედონ, მაინც ვერაფერს გავხდებით, უკეთუ მდაბიო ხალხიც ბანს არ მისცემს. რას აკეთებენ მღვდლები? სოფელი არ არის, მღვდელი არ იყოს და რა დასაჯერებელია, ნამდვილმა მოძღვარმა 5–6 მოწაფე ვერ შეიძინოს, ისე ვერ გამოაღვიძოს ისინი, რომ ჰქონდეთ წადილი წიგნის, გაზეთების კითხვისა, ქვეყნიერობისა რამ გაეგებოდეთ?! ჩვენ ამას ვერა ვხედავთ. ან კი საით დავინახავთ იმას, რაც არა სჩანს სადმე.

„ფიქრები", 1901 წ.

\+ + +

... რა ინტელიგენცია უნდა ვუწოდოთ იმ ქართველთა, ან რა საშვილიშვილო საქმე მოვთხოვოთ, რომელთაც ხელში ერთს ქართულს წიგნს თუ გაზეთს ვერ უპოვნით? ან შვილებმა ამგვარ მშობელთაგან რა ზნეობრივი მაგალითი უნდა მიიღონ? გადასინჯეთ, ბატონებო, ხელის მომწერთა დავთრები და იქნება ჩემი გასამტყუვნები რამ აღმოაჩინდესთ. ქართველი ინტელიგენტისათვის ნუთუ სირცხვილი არ არის, ვიღაც უბირი ტეტია, მელორე, თუ მეცხვარე, ფარაჯაში და ტყაპუჭებში გამოხვეული, ყიდულობდეს ქართულ წიგნს და პალტოიან-პიჯაკიან-პენსნებიანი კი ტუჩაფშრუკვით უყურებდეს ქართულს მწიგნობრობას!..

„თიანური ფელეტონი", 1901 წ.

\+ + +

... მეცნიერება, სხვათა შორის, სამს საშუალებას ალიარებს ერის საბედნიეროდ: ქონების სწორედ, სამართლიანად განაწილება, გავრცელება ცოდნისა და გამრავლება ერისა; ეს უკანასკნელი მოვლენა ორ გზას აძლევს ერს თავის დაცვა-შენახვისას: მომეტებული რიცხვი ან უნდა მოშორდეს დედამიწას, მის შემუშავებაზე ხელი აიღოს, სხვა ხელობა უნდა რამ დაიჭიროს; თუ იმავე მიწას შეჰრჩა, მაშინ უნდა რამ ღონე გამოსძებნოს, გონების ჩარხი დაატრიალოს, რათა მცირე ნაწილმა მიწისამ საკმაო საზრდო მისცეს. ორსავე შემთხვევაში ადამიანი მოგებული რჩება, ვინაიდგან გონების ვარჯიშობას, ფიქრს ჰკიდებს ხელს, აქედან იწყება სხვადასხვა სატეხნიკო იარაღების მოგონება და სხვა. სომხების ვაჭრებად გარდაქმნა იმათ ნიჭიერებისა, საზრიანობის ბრალი კი არ არის, როგორც ზოგიერთსა ჰგონია, არამედ ისტორიულ გარემოებათა

ნაყოფია; ღევნილნი მტრისაგან ისინი შემოგვეხიზნენ ჩვენ; აქ ამათ ბალაუნებურად ვაჭრობას მიჰყვეს ხელი საზრდოს მოსაპოვებლად. ეს ჭირი იმათ ეწამლა, დღეს ისინი ჩვენზე ნიჭიერებიც არიან და პირიანებიც...

... დღეს ჩვენ ნიჭს ვაბრალებს იმას, რაიც სრულიად მარტივის მიზეზის ბრალია და არა ნიჭისა. ეს მიზეზი გახლავთ ხელობა. ზოგი ისეთი ხელობისაა, როგორიც, მაგალითად, ვაჭრობა, რომელიც გონებას ავარჯიშებს, ავითარებს და სხვის ხელობა კი გონებას ადუნებს, აჩლუნგებს. ამიტომ ორი ერთის ნიჭის პატრონი და ერთის ტვინისა რომ ავიღოთ, მაგალითად, ორივე უსწავლელი, ხოლო ერთი მიწის მუშა და მეორე ვაჭარი, სომეხი იყოს იგი, თუნდა ქართველი, დიდს გარჩევას დავინახავთ: სად შაედრება პირველი მეორეს გამოცდილებაში, ენის მოქნილობაში?! პირველის ხელობა მარტივია და მარტივს ფიქრს, მარტივად ტვინის მოძრაობას თხოულობს, ხოლო მეორის ხელობა რთულია, რთულს ფიქრებზე დამოკიდებული. ჰხედავს იგი ათასნაირის ჯურის ხალხს და, მაშასადამე, მისი დაკვირვების მოედანიც ფართო და მდიდარია; ბევრი რამ ესმის მის ყურებს, ბევრს რასმე ავსა და კარგსა ჰხედავს მისი თვალები, ყველა ეს ერთად მომასწავებელია ცოდნისა, გამოცდილებისა...

... თუმცა ქართველები, ქონებას არ ვიტყვი, ფულით ჩვენს მეზობლებთან ვერ მოვალთ, მაგრამ არც ისე ღარიბნი ვართ, როგორიც ვტირით და ვჩივით. რაც გვაბადია, სახეიროდ ვერც იმასა ვხმარობთ, როგორიც წესია და როგორიც უფრო სახეიროა ჩვენის ქვეყნისა და მომავლისათვის. მაშასადამე, ჩვენ გვაკლია ის გრძნობა თავის დაცვისა, რომელიც თავს იჩენს განათლებულ ერთა ცხოვრებაში კი არა მარტო, არამედ პირუტყვთა ცხოვრებაშიც. ჩვენ აღვნიშნეთ ის ფაქტი, თუ განათლებულნი ერნი როგორ იცავენ თავგა-

მოდებით თავიანთ საკუთრებას, თავიანთ სარგოს (ინტერესს) და ამასაც არა სჯერდებიან, სხვის კუთვნილებასაც ხელს ატანენ. ჩვენ თუ ამას ვიტყვით და ვამბობთ პოეტთან ერთად: „თავზე დამატყდეს ცა რისხვით, სხივი ნუ ვნახო მზისა მე, მაღალი ღმერთი გამიწყრეს, თუ რამ ვინდომო სხვისა მეო" და მტაცებლობას არ ვკადრებთ, ის ხომ აღარ არის სირცხვილი, თავისი სარგო დავიცვათ, თავისი საკუთრება, თავისი ყოფა-მდგომარეობა ისე მოვაწყოთ, როგორც ჩვენთვის იქნება გამოსადეგი და იმავე დროს არც რამ სხვას ვავნოთ?.. როგორც ადამიანნი, როგორც ერი, მოვალეცა ვართ აგრე მოვიქცეთ, თუ სიცოცხლე და არსებობა გვწადიან ამ წუთისოფელში; თუ გვინდა, რომ ამაზე უარესად არ გავსაწყლდეთ, არ დავბეჩავდეთ. ალტრუიზმი, ჩემო მკითხველო, ფილოსოფოსთაგან მხოლოდ ტვინის მოსაფხანად ყოფილა გამოგონილი: იმას თითო-ოროლა, ათასში ერთი თავგამოდებული ადამიანი თუ შეიძლებს ემსახუროს. მთელს ერს ალტრუისტული სწავლა-მოძღვრება ხელს არ მისცემს. ან რა ჭკუაა, ხალხი თავს იხოცავდეს ნებაყოფლობით მხოლოდ იმიტომ, რომ მის თავზე მომბრუნავი ყვავ-ყორნები თავის ლეშით გააძღოს — ჰშიანთ საწყლებს, გაძღნენო?!. ჩვენ თითქოს ასე ვიქცევით და ასეთი ქცევა რა ხელსაყრელია ჩვენთვის? ყველა ეს შეუგნებლობისა, უსწავლელობისა, ჩვენის სოფლურის ცხოვრებისა და, ღმერთო ნუ გვიწყენ, გუთნისა და მწყემსურის ცხოვრების ბრალია. სწავლა-ცოდნა რომ ჰქონდეს ჩვენს ხალხს და ისე სცხოვრობდეს სოფლად, ისე მისდევდეს მეურნეობას, რა გვეთქმოდა, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ სწავლა არ გვახლავს და ეს ჩვენი ხელობა კი ისეთია, რომ ნაკლებს ცოდნას და გამოცდილებას გვაძლევს. გამოღვიძების მაგივრად გვაძინებს...

... სად არის ჩვენთან გრძნობა თავის დაცვისა? ან ფიქ-

რი იმ მიზეზზე, რა მიზეზითაც დავძაბუნდით? რომ არც ერთია და არც მეორე, კიდეც იმიტომ არც ხეირია ჩვენკენ. შეგნება ხმალია ამ წუთისსოფლის ბრძოლაში, ხოლო გრძნობა თავის დაცვისა — ფარი. ჩვენ ხელში ჯოხიც არ გვიპყრია ან რად გვინდა, როცა ბრძოლაში მონაწილეობას არ ვიღებთ?!.

დიაღ, ეს არის ჩემი საფიქრებელი: ან გავნათლდეთ და ან გავმრავლდეთ და ორივე თუ ერთად მოხერხდება, ის უკეთესია...

„ფიქრები", 1902 წ.

\+ + +

ბნელმა ძალამ აისრულა თავისი საწადელი. ეს ძალა მუდამ ეძებს მსხვერპლს თავის საკვებავად და სასახელოდ; მისი საკვებავია უსამართლობისაგან დაჩაგრული სიმართლე, პირადი ინტერესი საზოგადო სარგებლობის ნაცვლად და დაბნელება წყვდიადით სინათლისა. ბნელი ძალები არსებობდენ როგორც დღეს, ისე წინადაც და მომავალშიაც არ მოისპობა მათი არსებობა, ვიდრე ნათელია, ვიდრე სიმართლე ებრძვის უსამართლობას, საზოგადოებრივი ინტერესი — კერძოს...

„სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე", 1907 წ.

\+ + +

... რას შვრება ჩიტირეკია მაშინ, როცა მისივე მსგავსი ჩიტირეკია შეჰხვდება? მაშინ მხრებს ჩამოჰყრის, მოუსვენრობასა ჰგრძნობს, სწუხდება. რა აწუხებს? ის აწუხებს, რომ ჩიტირეკია ჩიტირეკიას ადვილად ვერ მოატყუილებს, ერთმანერთის გულის პასუხები კარგად ესმისთ, ერთმანერთისა ეშინიათ, ამიტომ ერთმანერთს უმეგობრდებიან ხოლმე, მაგრამ ვაი ამისთანა მეგობრობას და ერთმანერთის ქება-დიდებას!

დიდხანს ვერ გასტანს იმათი მეგობრობა, მალე კინკლაობა მოუვათ! აბა ეს არის კიდეც სეირი, როცა ჩიტირეკია ჩიტირეკიას ურაკუნებს თავში და გამოუქვეყნებს: შენ ეს არა ხარ, მე რას მატყუებ, შვილოსან, რაც მე ვარ, ის შენა, სხვები მოატყუე, მე ნუ! ერთი ჩიტირეკია მეორეს თავისას ეუბნება და ამითი გულსა სტკენს. ჩემი არ გითხრა, გულით რით დაგწვაო, ნათქვამია.

თუ ერთმანერთს აუხირდენ ჩიტირეკიები, მეტისმეტად ატკენენ ერთმანერთს გულსა, ისე ძლიერ აწყენინებენ, რომ იოტის ოდნად პატიოსნების მქონე კაცი თავს მოიკლავს, მაგრამ იმათ ერთსაც ეშინიან და მეორესაც, ამიტომ თავის კაცურის ღირსების შემოფარგლვას, დაფარვას შეურაცხყოფისაგან მარტო სიტყვების კაკუნით ცდილობენ!

თქვენს მტერს, თუ ჩიტირეკიამ მწერლობა დაიწყო. ვისგანაც არაფერს გამოელის, იმათ მუდამ ლანძღავს, უსამართლოებს ეძახის, რა არის, დაანახოს ქვეყანას, რომ სიმართლის მოყვარული ვარიო. იმას კი, ვისგანაც რასმე გამოელის, აქებს და ადიდებს, მაგრამ თუ რასაც მოელოდა, ის სასყიდელი არ მიიღო, ჩქარა იმასაც ლანძღვას დაუწყებს...

„ჩიტირეკია", უთარიღო

+ + +

ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ ბევრს შემთხვევაში თავის გრძნობას, თავის თვალებს და ყურებს როდი ვენდობით; უსათუოდ სხვამ უნდა გვიკარნახოს ის, რაც ყურით გვესმის; სხვამ უნდა მიგვითითოს იმაზე, რასაც ჩვენი თვალითა ვხედავთ; მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, მაშინ ვიძახით: ბიჭოს, ეს ხომ მართალი ყოფილა და არ ვიცოდითო!..

... რად ვხუჭავთ განგებ თვალებს და რად არ გვინ-

და სინამდვილე დავინახოთ? დიაღ, არ გვინდა დავინახოთ, რადგან სინამდვილის დანახვა თვალებს გვატკენს, უსიამოვნო გრძნობებს აღგვიძრავს, მოითხოვს ჩვენგან შრომას, ხელების განძრევას... არ გვინდა, ჰო, ავადმყოფი დედის ნახვა, რადგან ეს ნახვა საზრუნავ საგანს გაგვიჩენს: უნდა მოვუაროთ ავადმყოფს, უნდა ექიმი მოვიწვიოთ, ხარჯი გავწიოთ, ვიდრე კარგად არ შეიქნება, გვერდს უნდა ვყავდეთ და სხვ. და სხვ.?! ვერაფერი დედაშვილობაა!...

... რა გავაკეთეთ ჩვენ იმ თავით ამ ნიადაგზე? ჩვენმა ინტელიგენციამ რა გზაზე დააყენა ერი? საუბედუროდ, იმას დაუწყო კეთება, რაც ჩვენ დაგვღუპავდა, რაც ჩვენს ერს ცხოვრების გზაკვალს აურევდა. ამას ინტელიგენცია, რა თქმა უნდა, შეგნებით განგებ არა სჩადიოდა, ხოლო საქმე ასე გამოვიდა, ნაყოფი მათ მოღვაწეობისა ამას გვამცნებს! ერისთვის უნდა ერგოთ, მაგრამ ჰვნებდენ.

მე–40 წლებიდან ხელი შეუწყვეს, რომ ჩვენი მეგობარ-მეზობლები გაძლიერებულიყვნენ ქონებით, ხოლო ჩვენ დავკნინებულიყავით და აი, როგორ: ყველა ჩვენს კომენდიანჩიკს ანტონოვიდან დაწყებულს, პოეტს თუ პუბლიცისტს, ზნედ სჭირდა დაესურათებინა სომეხი მხდალად, მისი ხელობა–ვაჭრობა – საზიზღრობად. ვაჭრობა ნაცვლად იმისა, რომ შაეყვარებინა ხალხისათვის, შეაზიზღეს; ამისათვის არც ბევრი ტყვია–წამალი იყო საჭირო, რადგან რაინდული ხასიათის ქართველს ბუნებრივად არა აქვს მიდრეკილება ვაჭრობისაკენ, მით უმეტეს, რომ ამ ვაჭრობის სინონიმად გახადეს მხდალობა.

თამაშობდნენ სცენაზე იმისთანა პიესებს, სადაც სომეხი იყო გამოყვანილი, როგორც მატყუარა, მშიშარა. ვიცინოდით, ვხითხითებდით და დღეს კი ვსტირით. ყველაზე პოპულარული პიესა იმ დროს იყო „მუნწი. ამ პიესებს ესწრებოდა

ჩვენი სოფლის ბელადი თავადაზნაურობა, რომლის ბედოვლათობას, დარიმანდობას ამგვარმა ლიტერატურამ ხელი შეუწყო. მაშასადამე, იმთავითვე ჩვენ თვალებს ვხუჭავდით სინამდვილეზე. არ გვინდოდა დაგვენახა იგი, ღრმად ჩავკვირებოდით საგანს...

... ეხლა ვინ უნდა უშველოს ხალხს? ვინ უნდა გამოიყვანოს იგი ამ ეკლიან ბარდიდან? – რა თქმა უნდა, ჩვენმა თვალახილებულმა ინტელიგენციამ, რომელიც ამ მხრივ დღეს არაფერს აკეთებს და არც შემდეგისთვის ფიქრობს რამე გააკეთოს. ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ შეიძლება ამგვარ ჰეროსტრატებს ინტელიგენცია დაარქვას კაცმა, ნაცვლად იმისა, ერისთვის ეჩვენებინა სწორე გზა ცხოვრებისა, ესწავლებინა თავის თავის მოვლა–პატრონობა, ქართველ კაცს აალებინა ხელი თავის პიროვნებაზე, თავის თავზე, შეიტანა ხალხში დამახინჯებული კოსმოპოლიტიზმი ერთობის სახელით, მოუკლა ეროვნული გრძნობა, დაუხშო ენერგია, დაუკეტა გზა თვითცნობიერებისაკენ: თავადაზნაურობა უცხოელებზე ჰყიდის მამულ–დედულს, ხოლო გლეხობა თავის „ნადელების" ნაღალურს უგდებს ხელში ჩარჩებს... ჩვენ კი ვუცდით გარედან მუჯლუგუნს, კისერში კისტებს. უცხო, გარეშე კაცის ატეხილს განგაშს: „ადე, ძმობილო, ადექი, გაიღვიძე, რა დაგმართნია, ჰხედავ რა ამბავია შენს თავსა, რამ დაგაჩლუნგა, რამ დაგაოჩნა?!" მანამდე კი უნდა გულზე ხელები დავიკრიფოთ. მივანდოთ ჩვენი თავი ბედსა და იღბალს...

გიკვირთ? მე არ მიკვირს.

„გიკვირთ?", 1909 წ.

+ + +

ჩვენი ცხოვრება სწორედ რომ სხვათა შორისოა: რასაც ვფიქრობთ და ვაკეთებთ, გამოდის, რომ სხვათა შორის გვიფიქრია და გვიკეთებია. საწყენი ის არი, რომ უმთავრესს, უსაჭიროეს საქმესაც სხვათა შორის ვაკეთებთ. ვმწერლობთ, ვპედაგოგობთ თუ ვქველმოქმედობთ, გამოდის სულ სხვათა შორისებურად..

... ერი, უმრავლესობა რასაც დაადასტურებს, უცვალებელია. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: ხმა ღვთისა – ხმა ერისაო...

... რად გიკვირსთ. მაშასადამე, რომ ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრონად, არა პირადი თავის ნალვაწი, არამედ ერის საუნჯე–ტერიტორია გახადონ საძმო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც აალებინონ ხელი ეროვნებაზე? გაივლის ყველა ეს, დაჭლევს ჩაილურის წყალს, მხოლოდ ეს არის სავალალო, რომ ნამუსახდილ ბებრის სახლის კარებს გვიან გაეგდება ურდული...

... მაშ რევოლუციის ქარიშხალმა სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა ჩვენთვის? არა. იმან ერთი დიდი სიკეთე მოგვიტანა: გამოამჟღავნა ჩვენი გონებრივი სიღატაკე, მოუმზადებლობა, ხალხის სიბნელე და დაჭბადა მისწრაფება კულტურულ მუშაობისა; დაგვახედებინა წინ, დაგვანახვა ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი ძალ–ღონე. დღეს ყოველი შეგნებული ქართველი მიისწრაფის ერში, ხალხში მეტი თვითცნობიერება, მეტი სინათლე შეიტანოს, ამისთვის არ ჰზოგავს დაეხმაროს ჯანღონით თუ ნივთიერად. ძალა მუდამ უმრავლესობაშია. მუდამ ეს ძალა, თუ შეუგნებელია, ბრმა, უფრო მავნებელია საქმისთვის, ვიდრე მარგებელი. ეს მაგალითებმა დაგვიმტკიცეს.

განუვითარებელი, გაუზდელი ხალხი, როგორიც უნდა

დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი დუმა იქნება. საიმედო პოლიტიკური მოქმედებისათვის მხოლოდ მომზადებული თვალახილებული ხალხია... ასეა სწორედ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ხალხის გათვითცნობიერობას მხოლოდ დღესდა შეუდგით... დიქტატორებს და დემაგოგებს სწყინთ და უნდა კიდევაც ეწყინოთ, რადგან იმათ ბრმად აღარავინ დაემორჩილება და იმათ მეუფებას აღარავინ აღიარებს, მაგრამ იმათ წყენასაც უნდა გაუძლოთ იმ დრომდე, ვიდრე თავის გუდანაბდით ჩვენს ბანაკში არ გადმოსახლდებიან. ვითომ? — ჰკითხულობთ თქვენ. მე ასე მგონია. როგორც, სხვათა შორის, ავტორის და რა ვიცი. მგონია და საბუთიცა მაქვს, ასე მეგონოს, რადგანაც მეტისმეტი ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ერთს ფონში ორჯელ და სამჯერ ცხენი დაეფლას, სამჯერივე სხვის წყალობით გადაჰრჩეს და მეოთხედაც კიდევ მიჩერჩეტდეს იმ ფონში გასასვლელად. ამისთანა ადამიანი, გინდ იქით იყოს, გინდ აქეთ, არავისთვის სახარბიელო არ არი.

„სხვათა შორის", 1910 წ.

\+ + +

ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა: უსათუოდ ხვალინდელი დღისაგან მოველით რასმე კარგს: ეს გვასულდგმულებს, გვამხნევებს, ძალას გვმატებს, ყოველდღიურ ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაყვარებს. კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისგან არაფერს მოელის, გადუწყვეტია იმედი, ცოცხალ-მკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა...

... ამ ახალ-წლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალაუნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის

შეცოდებანი და ახალს წელს მივეგებნეთ ახალის ძალით, მხნეობით, გულწრფელად და ჩავიჭდიოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ და რომელ ქვეყნის შვილე-ბიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად რაც-კი შეგ-ვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს – ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით. თუ არა და, ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა. ვინც იმას ამბობს, კა-ცობრიობას უნდა ვარგოვო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისათვის – რომლის ღვიძლი შვილია, – რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს).

„საახალწლო ფიქრები", უთარიღო

\+ + +

... ამავე ფიქრმოსულმა „ინტელიგენციამ მოიგონა ვი-თომდა ახალი აზრი: მეზობელ ერთან კეთილი განწყობილება ვიქონიოთო. ერთი ჰკითხეთ, როდის არია ჰქონია საქარ-თველოს კეთილი განწყობილება ამ მეზობელ ერთან? ან როდის და ვის უფიქრია იმათი გაძევება საქართველოდამ ან გაქლეტა?! ჯერ ურიები, დევნილნი მთელს ევროპაში, თავშესაფარს მხოლოდ საქართველოში პოულობდენ და ეს მეზობელი ერი ხომ დიდი ხანია, რაც ჩვენი მეზობელია და ჩვენ იმისი. ხოლო მეზობლობის წესს რომელიც დაარღვევს,

იმას კი განსამართლება, განსჯა უნდა და არა ყვირილი; „მეზობლები ვართ, მეზობლებიო!”...

... დედა-მიწა დიდი საუნჯეა ერისათვის. უტერიტორიოდ ერი ვერავერი ერია, მის სიცოცხლეს მუდამ საფრთხე მოელის, საეჭვოა მისი მომავალი. როგორც უწყლოდ თევზი ვერ გასძლებს, ისე უტერიტორიოდ ერი. ჩვენი ძლიერება სწორედ ამაშია, დღეს კიდევ ამით უნდა მოგვწონდეს თავი, რომ მიწა-წყალი შევინარჩუნეთ. ერთის მხრივ, თუ მამული გვეტყვის მადლობას ამისთვის, არ მომიძულეთო და არ დაიქსაქსენითო: მეორეს მხრით, იმასვე უნდა ერთი ათად დაუბრუნოთ ეს მადლობა: ჩვენც დიდად გმადლობთ, რომ თავი შეგვაყვარე, ვერ გაგიმეტეთ დაგვეტოვებინე, დავქსაქსულიყვენით აქეთ-იქით...

... ვეცადნეთ ფულის შეძენას, მხოლოდ ისე კი, რომ ჩვენი ეროვნული იდეალი არ წავწყმიდოთ; სახსარი, ანუ საშუალება მიზნად არ გავიხადოთ და ის აზრი, რომელიც ჩვენმა ერმა უნდა განახორციელოს, მისი წადილი „ჩოთქზე” არ ჩამოვარჩოთ.

ჩვენში ამასაც ხომ ამბობენ, მაგრამ ზოგები იმასაც გაიძახიან გაზეთის პირით, რომ: „სიმდიდრეს უფრო ბევრი ადამიანი დაუღუპია, ვიდრე სიღარიბესო”. ეს რომ ნამდვილი იყოს და მართლა სიღარიბე სჯობდეს სიმდიდრეს, ხომ კაცობრიობა სიმდიდრისთვის თავს აღარ აიტკივებდა. პროგრესი სიმდიდრემ დაბადა და პროგრესმა ხომ წინ წამოაყენა იდეა სათნოებისა, ძმობისა, ერთობისა, ერთხმობისა და სიყვარულისა, რაიც არ ძალუძს სიღარიბეს. სიღარიბე განხორციელებული უძლურებაა, გოდებაა, მომასწავებელი ყოველ გვარის უბედურებისა: მონებისა, გინა ავაზაკობისა და სხვა გვარის ბეჩაობისა. ღარიბი ქონებით ერი, უნდა ვიცოდეთ დაჭეშმარიტებით, რომ ყველაფრით ღარიბია და ამიტომ

არც არის რაშიმე საიმედო და ხელსაყრელი...

... არ შაიძლება ცოტა რამ განათლებაზედაც არა ვსთქვათ, ჩვენის ახალთაობის აღზრდაზედ. მომავალი ქვეყნისა იმათზეა დამოკიდებული. როგორიც შვილები ექმნებიან ჩვენს ქვეყანას, ისე წავა იმის საქმეც: უხეირონი იქნებიან — ქვეყნის ბედიც უხეიროდ ივლის და ხეირიანები იქნებიან, რა თქმა უნდა, ხეირიანად წაჰმართავენ ქვეყნის საქმეს.

დღეს აქამომდე ასე იყო და კიდევაც არის, თუმცა კი ამ აზრს შეგნებულის საზოგადოების გონებაში სამირკველი შაერყა, რომ შვილს იმიტომ ასწავლიან მშობლები, „მოხელე" გამოვიდეს. რაც უფრო დიდ ჯამაგირიან ადგილს იშოვის იმათი შვილი, მით მშობლებიც და შვილიც მომეტებულად ბედნიერია. რაკი სწავლას ასეთი კომერციულის თვალით უცქერიან, რა თქმა უნდა, იმას ამისთანა ხალხის თვალში საკუთარი ძალა და ღირსება დაკარგული აქვს...

... ვერაფერი მოქალაქეა იგი, ვინც კომბოსტოს მოყვანა იცის, ან თუ ფუტკრის მოშენება და არ არის საზოგადოდ, თეორეტიულად განვითარებული, არ იცის მსოფლიო ისტორია, არ იცის სოციოლოგია. ინჩი არ გაეგება პოლიტიკური ეკონომიისა, ფილოსოფიისა და სხვ. სხვ. ტეხნიკა საქონლის მოშენებისა, მიწის შემუშავებისა უბირს, ანა-ბანის უცოდინარს გლეხსაც შეიძლება შეასწავლოთ და დასტოვოთ ისე, მაგრამ ამ გვარი მოქალაქე რა მოქალაქეა, რა მამულის შვილია? ..

... „პარტიობა" მაინც და მაინც არ არის დასაძრახისი მოვლენა საზოგადოებრივს ცხოვრებაში... როდესაც გატკივებს გულს რაიმე საგანი, როცა გიყვარს იგი, მხოლოდ მაშინ ეძებ გზებს მის საბედნიეროდ; ერთი ერთს გზას უჩვენებს, სხვა — სხვას და აი, სწორედ ამ დროს იბადება პარტიობა, ხდება ცილობა — არია, ესე უნდა იყოს, ასე უნდა გაკეთდეს ეს

და ეს საქმე, არა ისეო. როცა გული დადინჯებული გაქვს, საქმე არ გიყვარს და დაკმაყოფილებული ხარ იმაზე, რაც გაკეთებულა, მაშინ აღარც ჰზრუნავ, ახალი რამ შეჰმატო საქმეს, ახალი რამ იძიო და იკვლიო.

„ცოტა რამ ჩვენის ცხოვრების ავ-კარგისა", ზოგადი შენიშვნები, უთარიღო

\+ + +

როგორც უზარმაზარ საყდარში იმყოფება ღმერთი, ისე – პატარაში. ხალხიც ესეა. ერთი მეორისაგან გაირჩევა გარეგანად, მაგრამ შინაარსი, სული ღვთისა უდგიათ...

... ღმერთმა გააჩინა კაცი, ჩაუდგა იმას თავისი სული. სული არის ძალა, იარაღი, რომელიც უნდა მოიხმაროს კაცმა, რომ გახდეს ჭკვიანი, გონიერი, პატიოსანი, შეიძინოს სწავლა, გამოიცადოს და ეს თავისი გამოცდილება შვილებსაც გადასცეს...

... კაცის სწავლა – ცოდნა მიდის იმ წესზე, როგორიზედაც ქოხის აშენება. ჯერ საძირკველს ჩააგდებენ, მერე კედლებს ამოიყვანენ. ძელზე ძელს დასდებენ, ან ფიცარს ფიცარზე დაამწყობენ, ისე კაცის სწავლაა – ძველს სწავლას კაცი უმატებს ახალ-ახალს, ცოდნა იზდება, კაცი ნათლდება. ავიღოთ მაგალითი და დავაკვირდეთ, იქიდამ შევიტყობთ, კაცი როგორც იძენს სწავლას...

... როგორც გარეგანი ფერით არ იცნობა სასმელების თვისება, ეგრეთვე კაციც მარტო სიტყვით არ იცნობა. ჩვენ არ ვენდობით ხოლმე კაცის ლაპარაკს, ვიდრე ნალაპარაკევს საქმით არ დაგვანახვებს. როდესაც მის საქმეებს, მოქმედებას გავიგებთ, მის ქცევას გავჩხრეკთ, გავარკვევთ, დაუკვირდებით, შევადარებთ, მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ, რა ყრია კაცში; მაშინ, მხოლოდ მაშინ შევადგენთ აზრს კაცზე;

... უცებ, ერთის შეხედვით, საგანს, რომელსამე მოვლენას კაცი ვერ გაიგებს; ყველა საგანზე, ყველა კაცზე, რომლის გაცნობაც გინდა, უნდა ცნობები შეკრიბო, გამოსცადო, დააკვირდე დიდი ხანი, შეაგროვო თავში, შეადარო და აქედამ გამოვა ცნება, აზრი...

... ქვეყნიერობის გასაცნობლად კაცსა აქვს ხუთი გრძნობა (იარაღი): მხედველობა (თვალები), სმენა (ყურები), ყნოსვა (ცხვირი), შეხება (მთელი ტანი) და გემოვნება (ენა). ზოგი საგანია, მაგ., საჭმელი, ორი და სამი გრძნობით ვერ დავამოწმებთ. მაგალითად, გვესმის ჩონგურის ხმა, სიმღერა ან გალობა. სუნით, გემოვნებით, ხელებით, თვალებით ვერაფერს ვგრძნობთ – მარტო ყურებს ესმის, ეს კმარა. მოგვაწოდეს ჩითის ნაჭერი, გვინდა გავიგოთ ფერი, ღამეა, ათასი ხელი უსო, სუნო, ვერაფერს გაიგებ, ვიდრე სანთელოზე არ გაიტან...

... შემოქმედმა მისცა კაცს ცხოვრებაში სახმარებლად ხუთი გრძნობა. ამ ხუთი იარაღის შემწეობით კაცს შეუძლიან გაიცნოს მთელი ქვეყანა; ხუთი გრძნობა რომ არ გვქონდეს, არაფერი გვეცოდინებოდა, თუ რამეს ვსწავლობთ, იმათ შემწეობით. თუმცა ამ გრძნობებში ყველა ცალკ-ცალკე საჭირო და სასარგებლოა ცხოვრებაში, მაგრამ ზოგი მათგანი უფრო საჭიროა, მეტად გვეხმარება, გვასარგებლებს.

... რაც ბავში უფრო ბევრს სხვადასხვანაირს საგნებს ხედავს, იმდენად გონება უფრო ეხსნება...

... „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო", ტყუილად არ ამბობს ქართული ანდაზა. რაკი ერთხელ რამეს მიეჩვევა კაცი, შემდეგ გადაჩვევა ძნელია, ეცოდინება, რომ ცუდი ჩვეულების პატრონია, მაგრამ მაინც კიდევ ვერ დასთრგუნავს ძვალ-რბილში გამჯდარის ჩვეულებას...

... ჩვეულებას ცოდნა ვერ ერევა. თავის ცხოვრებაში

კაცი უფრო ჩვეულებას მისდევს, მინამ საღი გონების რჩევას (ყმაწვილიც სიყმაწვილეშივე შეეჩვევა ბევრს ცუდსა)...

... აბა ყველამ გავსინჯოთ ჩვენი ცუდი ჩვეულებანი და კარგად დაუკვირდეთ, თუ მასში აღზრდა არ იყოს დამნაშავე...

... ბოროტი არ იბადება არავინ კაცი. მის გაბოროტებაში გამზრდელი, მშობლები, თვითონ ჩვენა ვართ დამნაშავე...

... რაც უნდა კეთილი გვინდოდეს შვილებისათვის, თუ კეთილს არ გავაგონებთ, კარგს მაგალითს არ ვაჩვენებთ, შვილების სიკეთით დატკბობას ვერ მოვესწრებით...

... ყმაწვილს თუ დედ-მამის რჩევა, სიტყვა არ სწამს, საქმე მორჩომილია, აღარც მაგალითს ექნება ძალა.

თუ გვინდა, ჩვენს სიტყვას შვილებმა ფასი დასდონ, ხუმრობითაც ტყუილი არ უნდა ვუთხრათ და სხვებსაც უნდა ვსთხოვოთ, ტყუილს არ მიაჩვიონ ჩვენი შვილები...

... ცემით დაშინება შეიძლება კაცისა, გაპატიოსნება კი – არაოდეს. სული, მხოლოდ სული, მოქმედობს სულზე, მხოლოდ გული იცნობს გულსა.

სიყვარულით და ჩაგონებით შეიძლება ასწავლოს შვილს მშობელმა სიყვარული, გულკეთილობა და გონიერება...

... მთელს კაცობრიობას შეუძლიან გადასცეს თავისი გამოცდილება ახალ-თაობას, – ყველა ახალგაზრდას, თუკი იმას სურს, ისარგებლოს სხვის გამოცდილებით. სხვის გამოცდილება უადვილებს კაცს ცხოვრებას, ასწავლის გზებს ძველი თაობისას, ახლის ხომ თვალწინ ექნება, ამითი უფრო ღონე მოემატება კაცს, უფრო წინ წავა...

„საუბარი ბავშვებზედ“, უთარიღო

\+ + +

ჩვენში მეტად მსუბუქად უცქერიან მწერლის სახელს. მსუბუქადაო, იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩინ-მენდლებს არ უძღვნის საზოგადოება მწერალს, ან არ აძლევს ღონეს ქონების მოპოვებისას, თუმც ეს უკანასკნელი მსუბუქად ცქერის შედეგია. სიმსუბუქე მწერლის დაფასებისა სრულიად სხვაში მდგომარეობს: ჩვენში მწერალს, ნიჭს (ტალანტს) ვერ იცნობენ, იმათ აფასებენ მხოლოდ რჩეულნი, საზოგადოების მცირე ნაწილი. უმრავლესობას განა უნდა, არ იცნოს მწერალი ან არ დააფასოს? მაგრამ არ ძალუძს და ამის გამო ბრალიც ეხდება თავიდამ.

მიზეზი მწერლის გაუგებრობისა სხვა არაფერი გახლავსთ, გარდა უმეცრებისა, უცოდინარობისა.

„წერილი რედაქციასთან", უთარიღო

\+ + +

Всякому известно, что самая великая сила, которая управляет прогрессом, есть образование.Стоит припомнить то бессознательное, первобытное состояние человечества, когда оно влачило свое жалкое существование, чтобы оценить великое значение этого стимула прогресса. Но образование дает роскошные результаты только в том случае, если оно имеет широкое применение, а не ограничивается узкой сферой людей.

... Великая задача сельских учителей состоит именно в том, чтобы проводить образование в темную массу, приготовлять детей для лучшей жизни, развивать им ум, чтобы они могли свободно и сознательно вращаться в своей сфере, доводить их до понимания полезного

и вредного и тех нужд, которыми обильна их жизнь, нужно воспитать в молодом поколении общественное чувство, общественную нравственность. Недаром Мольтке, во время прусско-французских войн, восклицал, что сельский учитель побеждает. Итак сила учит[ельской] семинарии состоит в том, что она имеет своим предметом и принципом народ и специальное служение ему. Разиков.

"В чем сила учительской семинарии?", 1882

„მწერლობა ბალაა,
ერთი უმთავრეს
იერალთაგანია ერის
ნიხვლისა"

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ \+ \+

ბერნემ სთქვა: თუ გინდა ორიგინალური, თავისებური მწერალი დაგიძახონ, სწერე ის, რასაც ჰფიქრობ; ისე, როგორც ჰფიქრობდე, როგორც შენს სულსა და გულს უნდოდეს, მოსწონდესო. ნათქვამს გაგება სჭირია. შეიძლება სოფლის „კანცელიის" მწერალმა დიდებულის პუბლიცისტის აზრი გარექცევ გაიგოს, ადგეს და აქაო და მწერლის სახელს მოვიხვეჭო, გვიწეროს სამეცნიერო თუ სიტყვაკაზმული თხზულებანი, გვიგზავნოს გაზეთში დასაბეჭდად და თანაც ორის სრულს თაბახზე გაჭრელებული ბარათი გამოატანოს, რომაო: „უნდა მოგახსენოთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომელიცა რომ მე, სოფელ უპატრონოს მწერალი, ვწერ ამ თხზულებასა, რომელიცა კვალად და კვალად ჩემს სულსა და გულს ეგ მოსწონდა და ეგრე დავსწერე, ესე იგი ისრე, როგორცა ვფიქრობდიო"...

... რომ ეს უბედურება ავიცილოთ თავიდამ, ნათქვამს კიდევ ის უნდა დავუმატოთ უსათუოდ, რომ ვისაც ჰსურს გაიგოს, მწერალია თუ არა, ჯერ თავისს სულსა და გულს დააცქერდეს: აქვს მართლა სული და გული? დახე, კიდევ რა წამომცდა! ახლა ამაზე მეტყვიან: სული და გული ვის არ უდევს, ვინც კი ცოცხალია და დედამიწასა სთელავსო. იტყვით, მართალია, მაგრამ ეს თქმა სამართლიანი არ იქნება. მე მაინც ჩემსას ვამბობ: არ უდევს ყველას სული და გული, თუმცა ყველა ცოცხალი ადამიანი ჰსუნთქავს და ფეხზე დაიარება. მწერლობის გარეშე მცხოვრებელი კაცი უსულგულობით განაღამც იოლად გამოვა, შეიძლება დიდ ბედნიერადაც ჰრაცხდეს თავისს თავს, მაგრამ ვაი თქვენს მტერს, თუ ეს

უბედურება მწერალს დაატყდა თავზე და მაინც კიდევ მწერლობას არ იშლის! აბა მაშინ დატრიალდება უკუღმა ჯარა, აბა მაშინ „დავალდებიან ყურნი მსმენელთანი!"...

... მწერლის სულის და გულის ქონა იქიდამა სჩანს, აქვს რამე იდეალი, უყვარს რამ ამ ქვეყანაში, უნდა ქვეყნისათვის, ცხოვრებისათვის სიკეთე თუ არა. თავი და თავი აზრი მიწის შვილთა, ჩემის ფიქრით, ცხოვრება უნდა იყოს, მისი სიავ-სიკეთე. მწერალი კიდევ, როგორც გამომხატველი ცხოვრებისა, უსათუოდ ამ წრეში უნდა ტრიალებდეს, მისი გრძნობა იმას უნდა დაჰფოფინებდეს, თვით ცხოვრებიდამვე გამომდინარი, თვით ცხოვრებისაგან შობილი. უამისოდ მწერალი უაზრო ხმაა, გაურჩეველი, გაურკვეველი, ყველასათვის გაუგებარი.

ბევრი რამ გამიგონია ჩვენს მწერლობაში ჩვენის მწერლებისაგან უსულგულოდ ნათქვამი სიტყვა, უმარილო... უგემური, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ გულიდამ ჟანგი გადასწმინდოს კაცსა, უფრო უმატებს ჟანგსა და ობსა...

... მაინცდამაინც წერის უფლებას ჩვენ ვერავის წავართმევთ; ყველას ნება აქვს წერისა და ფიქრისა, როგორც სიყვარულისა, სიხარულისა, სიცოცხლისა და ხეირიანის ცხოვრებისა, მაგრამ ყველას კი ვერ დავაჩემებინებთ მწერლის სახელს, მით უმეტეს უსულ-გულო ადამიანს...

„ფიქრები", 1891 წ.

+ + +

პოეზიას საზოგადოდ და უფრო კი ხალხურს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს: გამოხატვა, დასურათება თანამედროვე ცხოვრებისა, აწმყოს ჭირ-ვარმისა და ლხინ-გახარებისა. ინტელიგენტურს, მწერლობითს პოეზიას ხშირად

ეს თვისება აკლია: ბევრჯელ იგი თავის საკუთარის თვალთა ხედვას და ყურითა სმენას იხშობს და იმეორებს სხვისგან გაგონილს, სხვის ჩანაგონარს ჰანგსა. ცალკე მგოსანი და ბევრჯელ მთელი ლიტერატურა რომელიმე ერისა სხვა, უცხო ქვეყნის მწერლობასა ჰბაძავს, იდეალად იგი აქვს დასახული. ეს ხანა გამოიარა რუსეთმა (ცრუ კლასიციზმი, ბაირონიზმი), გამოვიარეთ ჩვენც, არ ვიტყვი თამარის ოქროს საუკუნის აქეთა საუკუნეებს, უფრო ამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, სპარსული „ვარდ-ბულბულიანების", ბაიათ-მუხამბაზების წყალობით და ვერც დამისახელებთ ერთი რომელიმე ერის მწერლობას, რომ თავისთავად ამოეფეთქოს უცებ, აყვავებულიყოს და არ გამოევლოს ეს დრო სხვის ზედმოქმედებისა, გავლენისა. მდაბიო ხალხის, ერის შემოქმედება სულ სხვა გზით მიმდინარეობს: ერის შემოქმედობას ძირითად ვერ შესცვლის და ვერც გადააგვარებს ვერა რა წიგნი. მდაბიო მგოსანი რამ უნდა აამღეროს, აალაპარაკოს, თუ არ გარე შემორტყმულმა ცხოვრებამ, მისმა სიტკბომ თუ სიმწარემ, სხვა და სხვა ბუნების მოვლენამ, მით უმეტეს, რომ ხშირად წიგნს მისკენ ბილიკი დახშული აქვს...

„ძველი და ახალი ფშაველების პოეზია", 1896 წ.

+ + +

... ჩვენში ძალიან სათაკილოდ და ვითომ ნიჭის დამამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხვის გავლენა. მე კი ეს წესიერი, საღ, ნორმალური და აუცილებელ მოვლენად მიცნია იმ კანონის ძალით, რომელსაც ჰქვიან კანონი თანდათანობისა. აქ საკვირველი არა არის-რა. გამოჩენილი რუსების კრიტიკოსი ბელინსკი განა ტყუილად ამბობს სახელოვანს რუსების პოეტს პუშკინზე: რომ დერჟავინი არ ყოფილიყო, პუშკინიც

არ იქნებოდაო. დიდებული პოეტები, გენიოსად ცნობილნი, ხშირად უნიჭო პოეტებს ჰბაძავდენ წინა-პირველად, მაგრამ იმათ თავისებურებას ეს არაფერს უშლიდა. ზედმოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდილებათა. რამ უნდა ააჟღეროს მისი ჩანგი თუ ან ამბავი არ გაიგონა, ან ლექსი, ან საქმე, გარემოება ცხოვრებისა არა ნახა ამაღელვებელი, ან ბუნების მოვლენათ მოუყრუა ყური? აი ეს გარეგანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი გული გახლავთ, რომელიც ამათ ითვისებს, ყალიბში ასხამს. ზღვაში ბევრი სხვადასხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვიან და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისისხლხორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავს...

... უნდა გატეხილი მოგახსენოთ, რომ თუმც არავითარი მსგავსება არ არსებობს, და იქნება ვერცა ვის შეენიშნოს, „მოხუცის ნათქვამსა” და თ. ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულს” შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „დიმიტრი თავდადებულს” ჰქონდა ჩემზე გავლენა, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლიტერატურის ნაწარმოებს, უფრო კი მის ფორმას...

ასეთია ხშირად საიდუმლოება წერისა, მოდი, რას იზამთ. რად გიკვირთ? გრ. ლეონ ტოლსტოი შესანიშნავი მწერალია; იმას თვით ტურგენევმა უწოდა „დიდებული მწერალი რუსეთისა” და იცით რასა სწერს თავის თავზე?! (იხ.: ტ. XII) „მთელს ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ორს რუსის მოაზრე კაცს ჰქონდათ დიდი ზნეობრივი გავლენა, გამიფართოვეს აზრი და ნათლად დამიხატეს ჩემი შეხედულება ქვეყანაზე. ეს კაცები არ იყვნენ არც რუსის პოეტები, არც სწავლულები, მქადაგებელნი; ეს კაცები იყვნენ, და დღესაც ცოცხალ-

ნი არიან, მიწის მუშა გლეხკაცნი სიუტაევი და ბონდარევი, რომლებიც მთელს სიცოცხლეს მიწის მუშაობას ალევენ".

ამას ამბობს ლეონ ტოლსტოი და ვინ იქნება ისეთი თავხედი და გაუგებარი, რომ აქაო და სიუტაევს და ბონდარევს ჰქონიათ გავლენა ტოლსტოიზე, ამიტომ ყველა ტოლსტოის ნაწერები მისი კი არა, გლეხთა სიუტაევისა და ბონდარევის გონების ნაწარმოებიაო.

თვით პუშკინი ეუბნებოდა ერთს გამოჩენილს საერო ნაწარმოებთა მკრებელს, როცა იგი მივიდა მასთან: იცით, მე თქვენს ლექსებს ვიპარავო. ჩვენებმა რომ ეს გაიგონონ, დაიძახებენ: „ბიჭოს! პუშკინი ქურდი ყოფილა, ხალხისათვის უპარნია ლექსებიო!" დიახ, პუშკინის შემოქმედობაზე საერო ნაწარმოებთა, ვინც კი იცნობს რუსეთის საერო ლიტერატურას, დამეთანხმება, რომ დიდი ზემოქმედება ჰქონდა. იმან შეისისხლხორცა ერის სულიერი სალარო და ამაშია კიდეც მისი დიდებულება, ამას ნაკლად კი არა, უდიდეს ღირსებად უთვლიან ჰკვათამყოფელნი.

თქვენს უმორჩილეს მონაზე — ვაჟა ფშაველაზედაც — უნდა მოგახსენოთ, დიდი ზედმოქმედება აქვს ხალხურ თქმულებათა. უმეტესი ჩემი პოემები ხალხში გაგონილ ორ-სამ სიტყვაზეა აშენებული. იქნება ეს ჭირიც იყოს? რა ვქნათ, ასე კია და... ნათქვამია: კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო.

"PRO DOMO SUA", 1896 წ.

+ + +

... სათითაოდ რომ ელაპარაკო ამ ადამიანებს, მხურვალე მამულიშვილობას იჩენენ, გული შესტკივათ სამშობლოსათვის; აღარ დაგაცლიან და თავადვე დაგიწყებენ მტკიცებას, რომ ჩვენი მწერლობა უნდა აყვავდეს, რომ იგი დაცემულია,

რომ დედა-ენა უნდა გავრცელდეს, განვითარდეს, რადგან იგი ათვალისწუნებულია, რომ თუ სხვა ყველაფერი დავკარგეთ, ზნეობა, გრძნობა მამულიშვილობისა, სიმტკიცე რწმენაში, იდეალი მაინც არ უნდა დავკარგოთო. იმდენს „რომ”-ს ნაცვალსახელს ატანენ თავის საუბარში, აქ რომიც კი მოაგონდებათ და მიგვითითებენ იქაურ პატრებზე, რომელნიც ილვწიან მედგრად ქართული ენის და მწიგნობრობის ასაყვავებლად და ისეთს სქელ ქართულ წიგნებს ჰბეჭდავენ, ჩვენ დედაქალაქში, შუაგულ საქართველოში, იმის მესამედი ვერ მოგვიხერხებია. საქმით ჰხედავ და სულ სხვანი არიან: როგორი სხვანი? ისე, რომ თავის დედა-ენას, თავიანთ ქვეყანას ძირს უთხრიან, ფესვებს აჭრიან; ოფლში იწურებიან, იმოდენასა სწერენ რუსულად მხოლოდ და მერე როგორი ცდილობენ, რომ ლამაზი რუსულით დასწერონ თავის წერილები: რუსეთის საუკეთესო მწერლების ფრაზების ლექსიკონი აქვს ყველა იმათ შედგენილი, რათა კოხტა, კოპწია გამოვიდეს იმათი ნაწერი. — წაიკითხოს ქართველმა კაცმა, გულში შური აღეძრას და თქვას: ნეტავი ამისთანა რუსული მეც მასწავლა, ნეტავი ამისთანა „სტატია” რუსულად მეც დამაწერინაო. მოკლედ რომ ვსთქვათ, მკითხველი გადაბირების გზაზე დგება.... ამისთანა, ლამაზი რუსულის ენის პატრონი მწერალი კი ფიქრობს, სამშობლოს ვემსახურებიო. ვაი ამისთანა სამსახურს! ამას ჰქვიან განა სამშობლოს სიყვარული? განა ამისთანა ოინებით აყვავდება ქართული ენა და მწერლობა? განა ეს ღვაწლია? ღვაწლი კი არა, ეს პირდაპირი ღალატია, თაღლითობაა! ამას ჰქვიან ციხისა შიგნიდან გატეხა და, ხომ მოგეხსენებათ, იმაზე მეტი უბედურება ქვეყნისათვის სხვა არ შეიძლება იყოს, როგორიც ღალატი შინიდან გამომდინარე.. ამ გვარი მოღვაწეობა არის პირდაპირი გამრყვნელი ახალთაობისა, რომელთა სულიც ახლად იფურჩნება და რომ კარ-

გაღ აყვავდეს და ნაყოფი გამოიღოს, მშობელი დედის რძე ესაჭიროება, მშობლიური ხმები, სამშობლოს სიყვარული და იდეალი იმისა, რომ იგი უნდა ოდესმე გახდეს მუშაკი თავის ქვეყნისა, თავის ერისა, ნაზი მოყვარული თავის დედა-ენისა, მისი მოამაგე, მის ტკივილების მოზიარე და ჭირისუფალი...

... ნუთუ ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო რუსული გაზეთი გამოეცა, ეწერა რუსულად და ესაზრდოვებინა თავის ნაწარმოებით ქართველი საზოგადოება, როგორც მისი თანამედროვენი შვრებოდნენ? მაგრამ არა, ის კარგად ჰხედავდა, ჰგრძნობდა, რაც ვნება და გათახსირება საზოგადოებისა მოჰყვებოდა ამგვარ მწერლობას...

... სკოლაო, წინად და დღესაც საუკეთესო ადამიანები რუსეთისა გაიძახიან, უნდა იყოს ეროვნული, ვინაიდგან მაშინ მიაღწევს იგი თავის დანიშნულებას, მაშინ აღზრდის ნამდვილ ადამიანებსო.

მწერლობაც ნუთუ იგივე სკოლა არ არის, რომელიც სწვრთნის ყველას, დიდს და პატარას, ურჩევს აზრებს, გზას ცხოვრებისას, აღძრავს საუკეთესო გრძნობებს, მაშ ის რატომ აღარ უნდა იყოს ეროვნული? რატომ არ უნდა უწყობდეს ხელს, განავითაროს ერმა თავის გონებრივი და სულიერი ძალები?

ვაგლახ, რომ ჩვენში წინააღმდეგს ვხედავთ.

„მცირე შენიშვნა", 1910 წ.

\+ + +

... უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი

გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნური ნაწარმოებად ჩაითვლება...

... სალი ფანტაზია ისეთს არაფერს შექმნის, სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს, არ შეეფერებოდეს...

... როგორც ხალხური თქმულების მითვისების უფლება არა აქვს არავის, ისე – თავის ფანტაზიის ნაცოდვილარის ხალხისთვის მისაკუთრება, ხალხურ ამბად გასაღება...

... რამდენად შევძელ საქართველოს მომავალი ბედის თუ უბედურების განსჭვრეტა? ამგვარი კითხვის პასუხი არ შეიძლება ერთმა ლექსმა ან მოთხრობამ გამოხატოს, არამედ მთელმა პოეტის ცხოვრებამ, მის მოღვაწეობამ, მთელმა იმის ნაწერებმა. როგორ გგონიათ? არ მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემის ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არა მწამდეს, თქვენ გგონიათ, მე კალამს ავიღებდი ხელში?! ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიც მგონია: იმ ხიდს, რომლის გადებაც მუშამ შეუძლებლად იცნო, თავის დღეში გასადებლად არ შეუდგება...

... მაინც და მაინც წინ სირბილი და მომავალი ჩვენის ცხოვრების სურათის დახატვა არ არის საჭირო; ამისთანა შრომის შესრულება არავის გვირგვინს გენიოსობისას არ დაადგამს...

... ჩვენც, პოეტნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ეროვნულ რეალურ თუ გონებრივ ღირებულებას ჰქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის, დღევანდელი ხალხი ცალ-ცალკე და საერთოდ საჭირო აზრით და გრძნობით აღიჭურვოს. მოქმედებაც თვითეული ჩვენგანისა იყოს აზრშეწონილი. დღევანდელს თვითეულის ჩვენგანის მოქმედებას უნდა მივყვანდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მოსვლა. თვითეულის

ჩვენგანის მოქმედება, მაშასადამე, ის გზა უნდა იყოს, რომელმაც უნდა რომში მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია და თუ რომში მიმავალი გზით არ წავედით, სწორე გზით, რომს ავცდებით. სწორე გზა აწმყოა. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის; ვინც ბევრსა ჰხნავს და სთესავს, იმას ბევრი პური მოსდის; თუნდაც მოუსავლობა იყოს, მაინც სხვაზე მეტი მოუვა.

სამოთხე იმისია, ვინც დიდ მადლსა სჩადის; აწმყო საქაო, ხოლო მომავალი – საიქიო. სულის მოგება კი მხოლოდ საქაოს შეიძლება. მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურება.

„კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი", 1914 წ.

\+ + +

... ყველაფერში, რასაც ბუნებრივობა ეტყობა: სიძულვილი თუ სიყვარული, შური, მტრობა, სიმამაცე და სიმხდალე, ქველობა თუ სიძუნწე და სხვ. და სხვ., – იქ უსათუოდ პოეზიაა. ყველაფერს თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, მიზეზი, გარემოება. მწერალს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივს კანონს არ უმტყუვნოს. წესიერება ბუნებისა დაიცვას – ისე უნდა გადმოგვცეს სურათი, რომ არა ვსთქვათ – ეს ყოვლად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგიაო... ყველა ვნებას, ყველა გრძნობას თავისი ბუნება აქვს, თავისი აგებულება, საათი დაბადებისა, ხანა სიყრმისა, სიჭაბუკისა და სიკვდილისა, – ყველა ეს უნდა მხედველობაში ვიქონიოთ. იმიტომ არიან უკვდავნი ქმნილებანი უკვდავთა ავტორითა, რომ ამ წესს არა ჰღალატობენ იმ ნაწარმოებთა მთხზველნი...

„სად არის პოეზია? ", უთარიღო

\+ + +

... მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრეს იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მის გონების და ცხოვრების გაუკეთესებისა. თუ სხვანი ჰხვნენ, სთესენ, ერთის სიტყვით რომ ვსთქვათ, მეურნეობენ და ერს ამდიდრებენ, მწერლობა კიდევ იმას უჩვენებს, თუ ეს სიმდიდრე რაზე და როგორი უნდა იქმნას მოხმარებული, რათა ცხოვრება უფრო სარგებლიანი და ნაყოფიერი შექმნეს. მაგრამ მწერლობაც არის და მწერლობაც. მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყნის სამსახური მწერლობისა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი, თავის ქვეყნისა ესმოდეს, შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვებსაც შეაგნებინოს ესევე. – ყველა ავადობას, ყველა წყლულს წამალი დასდვას და, მაშასადამე, კარგი მწერალიც ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს.

სიმართლე მწერლობაში ორნაირად ითქმის, ამ თქმას ორგვარი ფორმა აქვს: ერთი პოეტური-ბელეტრისტული და მეორე – პუბლიცისტური. საგანი იმათი ერთი და იგივეა – ცხოვრება, მისი მოვლენანი ძველი თუ ახალი, მიზეზი ამ მოვლენათა და შედეგი. ორივენი, ვსთქვათ, ერთსა და იმავე ჭეშმარიტებას ამბობენ, ერთსა და იმავე გზას ადგანან, მაგრამ ერთის თქმა ძლიერ ღონიერია, ხოლო მეორესი, თუმცა სიმართლეა, მაგრამ ვერ აღელვებს კაცის გულს და გრძნობას პირველივით. ეს ასეა იმიტომ, რომ პოეტი აზრს ტანსაცმელს ურჩევს, აკოხტავებს, ალამაზებს და ყველასათვის თვალგულმისასვლელს და მოსაწონარსა ჰხდის, ხოლო პუბლიცისტი ამას არ დასდევს. პოეტი სურათებით გვესაუბრება, ტიპებსა ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბამავს,

ისეთს ტიპებს, რომლის მსგავსნიც უნდა რომ იყვნენ პოეტს ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალში ამოღებული ნაკლი. პუბლიცისტი კი ცხოვრების მოვლენათ არკვევს და მის მიზეზებს უჩვენებს...

საზოგადოებაზე ნაყოფიერი ზედმოქმედება აქვს პოეტისაგან შექმნილს ტიპებს; პოეტური მწერლობაც მაშინ არის ღონიერი, როცა მარტო ფრაზებით კი არაა სავსე, არამედ ვპოვებთ მასში ან დაქვეითებულს კაცს, პოეტისაგან დახატულს, ან დიდსულოვანს ადამიანს... სურათი უფრო ცხოვლად გვიდგება თვალწინ, ცხოვლად, როგორც მაგალითი, – რომელიც კეთილის თვისებისაა, კეთილს აღძრავს ჩვენს გულში და თუ საზიზღარია – ზიზღს და სიძულვილს. პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ტიპების ხატვა, – ისეთის ტიპებისა, რომელნიც უვარგისნია და მეორე, რომელნიც საჭირონია ცხოვრების გასაუკეთესებლად. ამიტომ დიდი ცოდვა და ნაკლია მწერლებისა და პოეტებისა, თუ იმათ შეუძლიანთ და ვერა ჰხატავენ ახალგაზრდობის მისაბამავს, ახალგაზრდობის აღმზრდელს ტიპებს. თვითონ მწერლობაც ამისთანა შემთხვევაში სუსტი და უმარილოა...

... ყველა პოეტური ნაწარმოები, ასე თუ ისე, ტენდენციურია, მხოლოდ თვით ტენდენციაა სხვადასხვა ჯურისა და ამიტომ ადვილად ერთი ეჩვენება გამოუცდელს მკითხველს ტენდენციად და მეორე კი არა...

დიაღ, პოეზიისათვის სათაკილო არ არის ერის საჭიროებას ემსახუროს და ამისთვის შექმნას ტიპები რეალური თუ იდეალური.

„რამე-რუმე", უთარიღო

+ + +

კაციც ბევრშია გასამტყუნარი. იქამდის მამაცია, დაფიქრდება და იტყვის: ერთხელაც იქნება მოვკვდებით, მაგრამ იმდენად მხნე და გონიერია, არა გიჟდება. ამ ფიქრს ინელებს ადვილად, აღარია ფიქრობს ბევრს და იმავ წამს თავს არ იკლავს. მეტი ჩარა არ არის, მონელება უნდა. აკვანი და კუბო ტყუპნი არიან; ვიბადებით, აკვანში გვაწვენენ და გვარწევენ. ვიხოცებით – კუბოში გვასვენებენ და სამარისაკენ ქანაობით მიგვათრევენ...

... დღეს რომ ცოცხალი ვარ, – ეს მეტი მადლია ჩემთვის ღვთისაგან მონიჭებული და ვცდილობ სიცოცხლე რაშიმე გამოვიყენო. ვფიქრობ, ვგრძნობ, მიყვარს, მძულს და კაცი მქვიან, დიაღ, კაცი. საუკეთესო ბუნების წევრი ვარ, – ალბათ სიცოცხლესთან სიკვდილიც ერთი მადლია, ერთი მშვენიერებათაგანი, დამამძიმებელი, ამამაღლებელი ჩემის კაცობისა...

... პოეტს ნიჭი მანამ შესწევს, უფლება აქვს იპოეტოს, განამტკიცოს კაცთა შორის მაღალი აზრი, მაღალი გრძნობა, წყლულიანი გული გაგვიმთელოს და, როცა საჭიროა, მთელი გული გაგვიწყლულიანოს და უკეთუ თავის თავს ატყობს, რომ ძალ-ღონე ელევა, სჯობს, დასტოვოს საზოგადოება და გაიხიზნოს სადმე უდაბნოში, რადგან იგი მკვდარია მაშინ ცოცხლებში გამორეული, – ისეთი მკვდარი, რომელსაც თუმცა სული კიდევ უდგა, მაგრამ ეს სული ჰკლავს კიდეც იმას და სიცოცხლეს უმწარებს. გულსაკლავია, ძნელი ასატანი და მოსათმენია მტრის ჯარიდამ გამოსული მხედარი მოპირდაპირეს ითხოვდეს და შენის ქვეყნის ლაშქარში კი დალეულიყოს მამაცი და შენნი თანამოძმენი შერცხვენილნი თავდაკიდებით უცდიდენ ციდამ მოვლენილს ვაჟკაცს, იმათში კი გაწყვეტილიყოს...

„ფიქრები, მოგონება და ოცნება", უთარიღო

„თავისუფლება
მოქმედებისა,
განხორციელებაა
ნებისა, აზრისა,
გრძნობისა"

# პუბლიცისტური წერილებიდან

\+ + +

ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. სადაც არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას...

... თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი...

... ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოებლად... და რა არის თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურობის მეტი? – არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება...

... რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს, საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად; ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის...

... თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას, განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება, პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორიად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

„რა არის თავისუფლება?", უთარიღო

+ + +

... გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომელთა წევრებიც მონურად, ყეყეჩ-ჩერჩეტად არიან აღზრდილნი და არ უყვარსთ თავისუფლება, ჰხდება თავის თავის მტერი, სთელავს ფეხით თავისივე ბედნიერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდეა ყოველნაირის უსამართლობისა, ადვილად ჩნდებიან დაჩაგრულნი და მჩაგვრელნი, გაცარცულნი და მძარცველნი და იმართება მათ შორის ბრძოლა.

„რას ჰქვიან თავისუფლება? ", უთარილო

# მცირე ლექსიკონი

| | |
|---|---|
| აბორგოვებდეს | აღელვებდეს, აფორიაქებდეს. |
| არიოთ | ალბათ არი. |
| არცროს | არასდროს. |
| ახლები | ახალგაზრდები. |
| ბაგა | კედლის გასწვრივ გაკეთებული მოლობილი, სადაც საქონელს თივას უყრიან. |
| ბატონი | ღვთისშვილთა, ლოკალურ ჯვარ-ხატთა ეპითეტი. |
| ბექი | ბექობი; ალაგ-ალაგ ჩამომზვლეული უსწორმასწორო ფერდობი. |
| ბეჩავი | ბედშავი (ა. შან.); საბრალო, საწყალი. |
| ბილწი | რიოში, უსუფთაო, უწმინდური. |
| ბრმამი | ტყის ბალახი, რომელიც ზამთარშიც მწვანეა. |
| ბრჯღალი | ბრჭყალი. |
| გავლევ | გატარებ. |
| გამდელი | გამზრდელი. |
| გამიმსუბუქებ | გამიუფასურებ, გამიუბრალოებ. |
| გამომჯრელი | გამომხურავი, გამომკეტავი (კარის). |
| გარექცევ | შიგანგარ, გამობრუნებით, უკუღმა, აქ: უკუღმა |
| გუდანის ჯვარი | ხევსურეთის სატომო სალოცავი; ლაშქრობის მფარველი დარგობრივი ღვთაება. |
| გძე | გადევს. |
| დაგელაობდეს | დაჰქროდეს, დანავარდობდეს. |
| დაიფევს | ჩაიდებს (წყლულში, ჭრილობაში). |

| | |
|---|---|
| დამწყაზრული | გალამაზებული, მოკოხტავებული. |
| ზენით | ზემოდან. |
| ზვარაკი | შესაწირავი, ტარიგი. |
| ზიდილი | მტრისკენ, მოწინააღმდეგისკენ ტევება. |
| კავი | თივების შესაკონი ხის ორკაპა იარაღი. |
| კუნჭვა | მალვა, კუთხეში მიგდება. |
| კურატი | ჯვარ-ხატისთვის შესაწირად შესახელებული ორი-სამი წლის მოზვერი. |
| კურუმი | შავი, ბნელი (ტყე, ღრუბელი, ადგილი). |
| მეკოპარი | მზირი, მზვერავი, ორ-სამკაციანი რაზმი. |
| მითამ | ვითომ. |
| მინდი | ფქვილის ნაწილი, რომელიც წისქვილის პატრონს ერგება დამფქველისაგან. |
| მლივი | ეშმაკი, ჩუმჩუმელა, უდუმალი ადამიანი. |
| მომკერმო | მარგუნო, მიწილკერმო. |
| მქისი | სწრაფი, ფეხმარდი. |
| ნაჭრევი | ჭრილობა, იარა. |
| პირიმზე | ალპიური ზონის წითელი ყვავილი. |
| ქინქლი | წვრილი წვიმა. |
| რიგი | მიცვალებულის ხარჯი (ორმოცი, წლისთავი). |
| როს | როცა. |
| როჭო | გარეული ქათამი. |
| რჩოლა | ჩხვერვა; სახარე ხბოს ანდა მოზვრის ტევება ადამიანისკენ. |

| | |
|---|---|
| სადიაცე | ტრელი, ლაჩარი. უმარიფათო. |
| საგმალი | საგზალი, ნუზლი. |
| საკირე | კირის გამოსაწვავი ორმო. |
| სამ | სადღაც; ოდესღაც. |
| სამკლავე | ფოლადის ფარი, რომელიც მაჯიდან იდაყვამდე იცავს კაცის მკლავს. |
| საუფროსო | უფროსებისთვის განკუთვნილი (ადგილი, სკამი). |
| საფთხული | საფრთხობელა; ჯოხზე ჩამოცმული ძონძები და ძველმანები. |
| საყმო | ჯვარ-ხატების მფარველობაში მყოფი მამაკაცები. |
| სითლაც | საიდანღაც. |
| სიპი | ფიქალი; სახლის სამშენებლო ბრტყელი ქვა. |
| სიყმილი | შიმშილი. |
| სუდარა | მიცვალებულის გადასაფარებელი ქსოვილი. |
| სულეთი | საიქიო. მიცვალებულთა სამუდამო სამყოფელი. |
| სურიელი | ქვეწარმავალი. |
| სხვაფრივ | სხვად, სხვაგვარად. |
| უგზოდ | უგეზოდ, უმისამართოდ. |
| უკლო | უძეოდ, უშვილძიროდ გადაგებული ადამიანი. |
| ქავი | თადაცვითი დანიშნულების ციხე-სიმაგრის გალავანი. |
| ქალაჩუნა | მექალთანე. მხდალი ახალგაზრდა. |
| ქუჩი | მზისპირის ძნელად სათიბი ფერდობის ბალახი. |
| ღვია | მთის მარადმწვანე მცენარე. |
| ყორე | სიპით ანდა რიყის ქვით მშრალად ნაგები კედელი. |
| შავეთი | სულეთი, საიქიო. |

| | |
|---|---|
| შურთხი | გარეული ინდაური, ბინადრობს საჯიხვეებში. |
| ჩადუნა | გვიმრის სახეობის მხალი. |
| ჩირთი | ტყის კოკორი გაზაფხულზე. |
| ჩოხისძველა | იგივე სადიაცო. ძველი, გამცვდარი კაბა. |
| ცდა | თავის გამოცდა ბრძოლაში; გმირობა. |
| ცუდა | ლაჩარი, უვარგისი ახალგაზრდა. |
| ძეგლიგი | კონდახი; ხის ბუდე, რაშიც თოფის ლულა და მექანიზმი დევს. |
| ძველებრივ | ძველებურად, წინანდებურად. |
| წალივი | მწკრივი (მგლის ჯოგის, ჯიხვების). |
| წერამწერელი | ადამიანის ბედ-იღბლის განმსაზღვრელი ირაციონალური ძალა. |
| წივა | ნაკელის საწვავი. |
| წიწკრები | ცეცხლის დასანთები ხის ხმელი, წვრილი ტოტები. |
| ხარო | ორმო, ხნარცვი. |
| ხვიოდეს | გუგუნებდეს, ხმაურობდეს (ქარი, მდინარე...). |
| ხორხოშა | მსხვილი სეტყვა. |
| ჯანღი | თოვლნარევი შავი ნისლი. |
| ჯოყარი | შამბნარის ხმელი ღეროები. |
| ჯღრიდე | ხის ტოტების ანდა რქების (ირმის, ჯიხვის) გროვა. |

\+ + +

... მე რომ ტირილი მეწადოს,
თქვენ ვის რა გინდათ, ნეტარა?
ერთი იცინის, სხვა სტირის:
ესეთი არის ქვეყანა.
ვისაც არ მოგწონთ ტირილი,
ის ნუ დასჯდებით ჩემთანა:
მტირალის სტვირის პატრონი
ფეხს როგორ გავსწვდი თქვენთანა!
მაგრამ გაიგებთ, ერთხელაც,
ვინ ახლოს ვსდგევართ ღმერთთანა.

„მე რო ტირილი მეწადოს", 1886 წ.



# ძველ-ქართული

## მარადიული ღირებულებები

ISBN 978–9941–0–9373–9

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით.

© თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი